



ტიტა მოსია

„ვეფხისტყაოსნის“
ისტორიულ-
ლიტერატურული
საკითხების
კვლევის
მასალებიდან

ტიტე მონია

**„ვეფხისტყაოსნის“
ისტორიულ-ლიტერატურული
საკითხების კვლევის
მასალებიდან**

**თბილისი
2017**

ნაშრომში წარმოჩენილია „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების კვლევის მასალები, რომლის ხანგრძლივობა თითქმის სამ საუკუნეს ითვლის. ინტერესის სფეროში მოქცეულია შემდეგი პრობლემატიკა: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის კვლევის ისტორიიდან; „ვეფხისტყაოსნის“ თარიღისათვის; რუსთაველის პოემის ფაბულის წყაროს ანუ მისი სადაურობის მეცნიერული შესწავლის ასპექტები თუ ქრონიკები. მოცემული მასალები მკითხველს მწყობრ წარმოდგენას შეუქმნის აღნიშნული საკითხების მასშტაბურობასა და აქტუალობაზე, ხელს შეუწყობს მათ ღრმად გაცნობიერებას. რათა თავად განსაჯოს მკვლევართა სიმართლისა თუ შეცდომების შედეგები და გამოიტანოს სწორი დასკვნები.

წიგნი განკუთვნილია დასახელებული პრობლემებით დაინტერესებულ პირთათვის, განსაკუთრებით ქართული ფილოლოგიის სტუდენტებისათვის, რომელთაც ეკითხებათ სალექციო კურსი რუსთველოლოგიაში.

რედაქტორი: ლუარა სორდია

პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები: ომარ გვეტაძე

პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ოლეგ გოლიამე

პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

© ტიტე მოსია, 2017

გამომცემლობა „საარი“, 2017

ISBN 978-9941-461-64-4

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ზინათის კვლევის ისტორიიდან

„ვეფხისტყაოსანზე“ თუ რა წარმოდგენისა იყო რუსთაველის თანამედროვე ან XVI საუკუნემდელი ქართველი მკითხველი საზოგადოება, უცნობია. ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტური მასალების მიხედვით, XVI საუკუნიდან თანდათან იკვეთება რუსთაველის გენიალური პოემის შეფასებანი. წარმოჩენილია ავტორის პირველპოეტობა. ფილოსოფიურობა, სიბრძნე, განუმეორებლობა. ამის სათავედ მოჩანს XVI საუკუნის I ნახევრის პოეტი სერაპიონ საბაშვილი (კედელაური). „როსტომიანის“ გამლექსავი პოეტობაში თითქოს გაჯიბრებია რუსთაველს: „ნამღევი ვარ რუსთაველისა, თუ მეტი ქმნა ჩემოდნობა“. ამაზე „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს თვითონვე აპასუხებინა (მხატვრული ხერხით);

„რას მომერჩი ბერი ბერსა? – მე გავლექსე ლამაზ ენა,
აშიცი ვარ თვალ-წარბისა, ვინ სოფელი დააშვენა,
თუმცა ფასი არ მიბოძა, მან რუსთავი ამიშენა“.¹

რუსთაველზე, როგორც სიბრძნის პოეტზე, პირველად ალაპარაკდა არჩილ ბაგრატიონი (1647-1713). მის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ პაექრობაში თეიმურაზ პირველი დამარცხდა: „თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამსიბრძნესკიარ გასცემს“ (იგულისხმება: რუსთაველივით ბრძნულად ვერ მეტყველებს თავის პოეზიაში).

თეიმურაზ მეორე (1700-1762) 1761 წელს დაწერილი

¹ შაჰ-ნამე: ქართული ვერსიები, II, ტფ. 1934.

ლექსის სათაურშივე გვამცნობს: „ყოველთა მელექსეთა უმჯობესსა, დიდსა ფილოსოფიისა მცოდნესა ბრძენსა რუსთველსა ზედა ბაასი მეფის მეორისა თეიმურაზისაგან“.¹ შუა საუკუნეების მეორე დიდმა და განუმეორებელმა პოეტმა დავით გურამიშვილმა (1705-1792) სწორუპოვარი შეფასება აღავლინა რუსთაველის გენიისა:

„ოდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხეო და,
ფესვ ღრმა-ჰყო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა.
ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოირხეოდა,
ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეო და.
ვით მხედარს – ყრმისა მცირისა წკეპლასა ზედან ჯდომანი
მიემსგავსების ცხენოსანს ჯოხით რბენა და ხლდომანი.
ეგრეთვე შოთა რუსთველსა ეს ჩემი ლექსთ მიხდომანი
ცუდად მომიხდა გვაჯითა ბაძით უმსგავსო ნდომანი...
მე რუსთველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს –
ჩალის ძირსა“.²

XVIII საუკუნის დიდი მოაზროვნე და მოღვაწე ანტონ ბაგრატიონი, რომლისთვისაც მიუღებელი იყო „ვეფხისტყაოსნის“ სამიჯნურო თემატიკა, ვედარ გაურბის რუსთაველის მაღალ შეფასებას:

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყუარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყუელი სპარსთა ენის,
თუ სამ სწადოდა, ღმრთისმეტყუელიცა მაღალ,

¹ **თეიმურაზ მეორე:** თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1939, გვ. 123.

² **დ. გურამიშვილი,** თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1980, გვ. 25-59.

უცხო საკვირველ პიტიკოს-მესტიხე,
მაგრა ამაოდ დაჰშურა, საწუხ არს ესე“.¹

XIX-XX საუკუნეებში ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიერ „ვეფხისტყაოსანი“ გამოცხადდა მსოფლიო ლიტერატურის შედეგად, მისი ავტორი კი გენიოს პოეტად. იგი კანონზომიერად ამოუყენეს გვერდით ჰომეროსის, დანტე ალიგიერის, შექსპირის, გოეთეს... უკვდავ სახელებს. ქართველი ერი ამაყობს რა განუმეორებელი, უნიკალური, გენიალური პოემით, მუდამ სინანულის და წუხილის განცდაში იმის გამო, რომ ამ ღმერთივით შეუცნობელი, ფენომენალური პოეტური ნიჭის მქონე წარმოშობით ქართველ, მაგრამ მსოფლიო პოეტად აღიარებულ შოთა რუსთაველზე ბიოგრაფიული ცნობები არ შემოგვენახა. ეს ერთ-ერთი მეტყველი დასტურია ჩვენი ისტორიული წარსულის ბედუკუღმართობისა. ასახელებენ რამდენიმე მიზეზს. პირველ მიზეზად მართებულად თვლიან შემდეგ გარემოებას: თამარისა და რუსთაველის ბრწყინვალე ეპოქის მზის ჩასვენებისთანავე საქართველოს მტრები მოუმრავლდნენ: 1220-1221 წლებში მონღოლებმა დაგვამარცხეს, 1225 წელს ჯალალ ალ-დინის მეთაურობით ხვარაზმელებმა მიწასთან გაგვასწორეს. თბილისის აღებით ვერაგმა მტერმა გაჟლიტა ქრისტიანი მოსახლეობა, დაარბია და ააოხრა ქალაქი, ასევე ჯავახეთი, სამცხე, არტაანი, ტაო და სხვ. ამას მოჰყვა 1228-1240 წლებში კვლავ მონღოლების ამაოხრებელი შემოჭრა,

¹ ანტონ ზაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, ი. ლოლაშვილის რედაქციით, თბ., 1980, გვ. 281.

რაც განმეორდა 1261, 1268-1270 წლებში. 1275 წელს სამხრეთ საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შედეგად „დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი, ციხენი, სახლნი ნაშენებნი მოოხრდეს“.¹ 1386 წლიდან მოკიდებული მონღოლ-თათართა ავადსახსენებელმა სარდალმა მრავალგზის დაარბია და გაანადგურა ჩვენი ქვეყანა. XV საუკუნეში (1416, 1477, 1486, 1500 წლები) თურქმანებისა და ირანელების ლაშქრობებმა შეგვარყია. XVI საუკუნეში თურქ-ოსმალებმა სამხრეთ საქართველოზე მიიტანეს იერიში (ხუთგზის).

ერთი სიტყვით, თამარის დროინდელი საქართველოს ძლიერების დასრულების შემდეგ ზემოთ ხსენებული მტრების მიერ საუკუნეთა მანძილზე ნადგურდებოდა ჩვენი ქვეყანა, იხოცებოდა მოსახლეობა, ისპობოდა მატერიალური და სულიერ-სიტყვიერი კულტურა, ცეცხლის ალში ეხვეოდა უნიკალური ქართული ხელნაწერები. სწორედ ამ ბედის უკუღმართობამ შეიწირა, ბუნებრივია, რუსთაველის ბიოგრაფიული მასალებიც.

რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობების ჩვენამდე მოუღწევლობის მიზეზად სახელდება სამღვდელოების რეაქციული ნაწილის აგრესიული დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნისადმი“. თუმცა, ეს მიზეზი ნაკლებად დამაჯერებელი ჩანს, ტიმოთე გაბაშვილის დარ სასულიერო ერთეულ პირებს როდი შეეძლო ისტორიის ფურცლებიდან ამოუძირკვა ჩვენი უდიდესი პოეტის ვინაობის მაუწყებელი მასალები, ამ მიზეზზე აქცენტირება საეკლესიო-სასულიერო

¹ ქართლის ცხოვრება, II, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1959, გვ. 277.

საზოგადოების შეურაცხმყოფელ აქტადაც შესაძლოა ჩანდეს, ვინაიდან სამღვდელოება დღემდე მაღალ შეფასებას აძლევს „ვეფხისტყაოსანს“, მიუხედავად მასში განვითარებული მიწიერ-ხორციელი სიყვარულის თემატიკისა.

სავსებით სამართლიანად კ. კეკელიძე მეორე მთავარ მიზეზად სამღვდელოების ქმედებებს კი არ ასახელებს, არამედ იმ გარემოებას, რომ ჩვენში, ჩვენდა სავალალოდ, უძველეს დროში ყოველთვის არ იწერებოდა და არ ინახებოდა ბიობიბლიოგრაფიული ცნობები.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის კვლევის პრობლემატიკა სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე აქტუალურია და იგი ამოწურულად არ ჩაითვლება მომავალშიც. მასზე დაიწერა ბევრი ნარკვევი, გამოკვლევა, წერილი, სტატია, რაც მთავარია, წიგნი თუ მონოგრაფია. ამჯერად ჩვენი სურვილია მკითხველს გავაცნოთ საკითხის შესწავლის ისტორია, ის ვერსიები თუ ჰიპოთეზები, რაც დაფიქსირდა რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში რუსთველის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით.

დავიწყოთ პოეტის საკუთარი სახელიდან – „შოთა“. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგსა და ეპილოგში მოხსენიებული „რუსთველის“ გვერდით „შოთა“ არ ფიგურირებს. კ. ინგოროყვას დაკვირვებით, ეს აიხსნება იმით, რომ ასეთი შემოკლებული ზედწოდება (იგულისხმება „რუსთველი“) უფრო პოპულარული და გავრცელებული ყოფილა. ინტერპოლატორი არ მოიხსენიებს არა მარტო რუსთაველის სახელს. არამედ შავთელისას. გადმოცემა პოეტის სახელის შესახებ

მომდინარეობს „ვეფხისტყაოსნის“ უძველეს ხელნაწერთა ზედწერილებიდან (იხ. წარწერა პოეტის მინიატურისა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერში).

როგორც კ. კეკელიძე მიუთითებს, სახელი „შოთა“ XII საუკუნიდან მეტად პოპულარული ყოფილა: შოთა ართავაჩოს-ძე (1177 წლის აჯანყების მონაწილე და მეთაური), შოთა კუპრი (ჰერეთის ერისთავი, რუსუდან დედოფლის, ულუ-დავითისა და ნარინ-დავითის დროის პოლიტიკური მოღვაწე); მანდატურთუხუცეს ჭიაბრის სიგელზე (1184-1188) ხელისმომწერი შოთა, ჟინვანის პატრონი; ზარზმის რესტავრატორის გაბრიელ ხურსიძის მამა შიო შოთა ყოფილა; მთავარი შოთა, გამოხატული სოფ. აძიკვის ეკლესიის ბარელიეფზე; პალესტინის ქართველთა ჯვარის მონასტრის სვეტზემოცემულწარწერაში ნახსენები შოთა, ამავე მონასტრის ალაპთა წიგნში დასახელებული შოთა მეჭურჭლეთუხუცესი. აქვე უნდა დასახელდეს მესხეთში, ქვაბისხევის მონასტერში აღმოჩენილი XII საუკუნის ფრესკა, სადაც გამოხატულია ჭაბუკი ფეოდალი, რომლის სახელია შოთა (ნ. ბერძენიშვილი).

ბუნებრივია, მკვლევარნი ამათ შორის ეძებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს. პოემის შემქმნელს რომ შოთა რქმევია, ამის შესახებ ქართულ წყაროებში არანაირი ცნობა არ შემოგვენახა. 1941 წელს ილ. აბულაძემ და ქრ. შარაშიძემ აღმოაჩინეს პირველი ლიტერატურული ნაწარმოები, სადაც მინიშნების დონეზე მითითებულია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელი – „შოთა“. ეს არის სადგერის ეკლესიის დეკანოზის სვიმონ შოთას ძის (ანუ შოთაშვილის) მიერ

ლექსად დაწერილი ანდერძი. მასში სვიმიონი სიამაყით ლაპარაკობს თავის გვარზე, ირკვევა, რომ მას სცოდნია თავის შორეულ წინაპარზე, როგორც პოემის ავტორზე. ეს საკითხი უფრო ღრმად შეისწავლა რ. ფირცხალაიშვილმა და ახალ მასალებზე დაყრდნობით დაასკვნა: სეფე ჯვარის მტვირთველ შოთასძეთა გვარი სამცხე-ჯავახეთის დიდი ნაწილის მფლობელთა – თორელთა საგვარეულოდან მომდინარეობს.¹

ილ. აბულაძის და ქრ. შარაშიძის მიერ ნაპოვნ მასალას გამოეხმაურა კ. კეკელიძე: „ილ. აბულაძესა და ქრ. შარაშიძეს უპოვნიათ მეხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრის ერთი შაირი, რომელიც შეუთხზავს გიორგი კაბადოკიელის სახელზე მისი ხატის მხლებელსა და მსახურს. დეკანოზს სვიმონ შოთაძეს და რომელშიაგ ავტორი თავისი გვარის დამწყებად თითქოს შოთა რუსთაველს გულისხმობს. თუ ეს მართლა ასეა, მეხუთმეტე საუკუნეში უკვე ყოფილა ტრადიციული ცნობა იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელი იყო შოთა.“²

ილ. აბულაძის და ქრ. შარაშიძის მტკიცებულებანი ეფუძნებოდა მათ მიერ აღმოჩენილი წმ. გიორგის ქების ბოლო ნაწილს: „დასაბამითგან გხლებივართ, ქებით ვართ მოკამათენი“. მკვლევართ ეს მოაგონებს „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპს: „ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად“. ამასთან დაკავშირებით ალ. ბარამიძე შენიშნავს: „სვიმეონ შოთაძის სიტყვებში, რა თქმა უნდა, პირდაპირი მითითება

¹ რ. ფირცხალაიშვილი, ახალი მასალები შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისათვის, თბ., 1987, გვ. 8.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 111.

არ არის შოთა რუსთველის, ჩამომავლობაზე, მაგრამ რაღაც გარდავლითი მინიშნების არსებობა საგულვეტელი ხდება. ეს მინიშნება შეიძლება შეეხებოდეს სვიმეონის რუსთაველისაგან პირდაპირ ჩამომავლობასაც, მათს მოგვარეობასაც და მათ მონათესაობასაც პროფესიის სფეროში (შოთა და შოთაძე ორივე პოეტია)... ვფიქრობთ, რომ სვიმეონ შოთაძის ქებას არაპირდაპირ მართლაც აქვს ერთგვარი მნიშვნელობა რუსთაველის სახელის გამოსარკვევად¹ (ალ. ბარამიძეს და ზოგიერთ სხვა მკვლევარს სვიმეონ შოთაძე მე-16 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწედ მიაჩნიათ).

პირველი ლიტერატურული წყარო, სადაც კონკრეტულად მითითებულია იმაზე, რომ რუსთაველის სახელი ყოფილა შოთა, არის თეიმურაზ პირველის (1589-1663) მიერ „იოსებ ზილიხანიანის“ (შეთხზულია არაუგვიანეს, 1629 წელს) შესავალში მოცემული ისტორიული მნიშვნელობის მქონე ტაეპები: „ესენი (იგულისხმებიან „ვეფხისტყაოსნის“ გმირები) **შოთა რუსთველმან** შეამკო არსთა მკობითა, თვით მინდობილმან სიბრძნესა, მერე თამარის ხმობითა“. თავის შემოქმედებაში, თეიმურაზ პირველი (მეფე-პოეტი) შოთას სხვაგანაც ახსენებს. ალ. ბარამიძე თვლის, რომ ამ შემთხვევაში, ცხადია, თეიმურაზი ემყარება მის დროს არსებულ ძველ ლიტერატურულ წყაროებს.²

კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ ეს ცნობა უნდა მოდიოდეს ქართველთა ჯვრის მონასტრიდან პალესტინაში. დიდი

¹ ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 36-37.

² იქვე, გვ. 35.

მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს ჯვარის მონასტრის ქართული „სვინაქსარის“ აღაპთა შორის ერთი აღაპიდან (მოსახსენიებელი) ამოკითხულ ტექსტზე: „ამასვე ორშაბათსა აღაპი შოთაძსა, მეჭურჭლეთუხუცესისაჲ“. კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ ეს ცნობა თეიმურაზ პირველს გაგებული აქვს მასთან დაახლოებული პირისაგან. ერთხელ მისი პირადი მდივნისაგან – ნიკიფორე ჩოლოყაშვილისაგან. რომელიც 1614-1626 წლებში ჯვრის მონასტერში ცხოვრობდა და მისი წინამძღვარიც იყო.¹

ასეა თუ ისე, უნდა ვიფიქროთ, რომ თეიმურაზ პირველის ცნობას ემყარებიან XVII-XVIII საუკუნეების მწერლები: მამუკა მდივანი („**შოთამ** გალექსა ტარიას და ავთანდილის ქებანი, ნესტან-ჯარს უქო ციმციმი, თინათინს მოვანებანი“), ნოდარ ციციშვილი („**შოთას** აქებდნენ, აწ რიგი მე მომხვდა მელექსობისა... რუსთველს არ დარჩა უთქმელი, რაც ოდენ მისწვდა გონება, მისთა ლექსების მკითხველსა სხვა რამაც მოეწონება“), არჩილ ბაგრატიონი („**შოთას** რად ვერ წაბაძესა“), დავით გურამიშვილი („ოდესაც ბრძენმან როტორმან შოთამ რგო იგავთ ხეო და“...) და სხვ.

თეიმურაზ ბაგრატიონი სახელ შოთას მიიჩნევდა სპარსულიდან წარმოშობილად: „შოტტა ანუ შოთთა დიად ძუელი სახელი არის ქართული. არმაზ კერპისა სახელივე არის შოტტა. და ესე სახელი დაშთა შემდგომად კერპთმსახურებისაც

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 111-112.

ივერიელთა შორის“.¹ როგორც ვნახეთ, აქ სახელი შოთა წარმოდგენილია ორი თანით (შოთთა). ალბათ, თეიმურაზის გავლენით მას ამ ფორმით წერდნენ მარი ბროსე და დავით ჩუბინაშვილი.

ახლა კი ს. კაკაბაძეს მოვუსმინოთ: „შოთა მომდინარეობს ღვთაება იაზდანი სახელიდან, რომელმაც ქართლში მიიღო ფორმა აშოთან. ძველ სპერში (ჭოროხის ხეობა) ქართველ ბაგრატიონთა შორის გავრცელებული იყო სახელი აშოტ. აქედან გადავიდა ის მეზობელ სომხეთში V-X საუკუნეებში, ხოლო საქართველოში გავრცელდა აშოთანის და შოთას სახით.“²

ზედწოდებას „**რუსთველი**“ ვეცნობით „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგსა და ეპილოგში. პროლოგში ავტორი ჯერ იხსენიებს თავის თავს:

„დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის
გულლახვარსობილი“; (7)

„მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“.³

სამწუხაროდ, პ. ინგოროყვა ამ ტაეპებს ინტერპოლატორს მიაწერს: „ტექსტუალური ანალიზი პოემის შესავალისა ჩვენ გვიჩვენებს, რომ ეს სტროფები ინტერპოლაციას

¹ თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, თბ., 1960, გვ. 5.

² ს. კაკაბაძე, რუსთველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 95-100.

³ ციტატებს ვიმოწმებ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის „ვეფხისტყაოსნის“ აკად. ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის მიერ გამოსაქვეყნებლად მომზადებული ტექსტიდან, რომელიც დაისტამბა 1988 წელს.

წარმოადგენენ, მაგრამ ამით ამ ისტორიულ მოწმობას თავისი მნიშვნელობა არ ეკარგება.¹ ბუნებრივია, ეს თვალსაზრისი უარყოფილია სამეცნიერო ლიტერატურაში.

პოემის ეპილოგის ფსევდორუსთველური სტროფები გვამცნობს:

„გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა,
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.
ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა დამისა“ (1662).

ვიდრე მეორე სტროფს დავიმოწმებდეთ ეპილოგიდან, მოკლედ უნდა შევჩერდეთ გამოთქმაზე – „რუსთველისა დამისა“, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ კვლავ აღდგენილია უფრო სწორი წაკითხვის ნაცვლად – „რუსთველისად ამისა“. ტაეპის ამ მონაკვეთით თავის დროზე დაინტერესებული ყოფილა კ. კეკელიძე. მას პოემის ხელნაწერებიდან და ბეჭდური გამოცემებიდან დაფიქსირებული აქვს ყველა მაგალითი, თუ როგორ იცვლიდა ეს შეესიტყვება ფორმას. მეცნიერის მიერ კონკრეტულად მითითებულია, როგორ წაუკითხავთ და გაუგიათ იგი სხვადასხვანაირად:

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა თემისა“;
„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა თემისა“;
„მე მესხმან ვინმე დავწერე მე რუსთავისა თემისა“;
„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა და მისა“;

¹კ. ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, I, თბ., 2016, გვ. 112.

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა და მისა“;

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“;

პ. კეკელიძეს ეს ნიმუშები ხელნაწერიდან ამოუკრებია. შემდეგ იგი მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს ბეჭდურ გამოცემებს: „მე რუსთველისა და მისა“ (1712 წლის ვახტანგისეული გამოცემა); „მე რუსთველისა დაბისა“ (ბროსე, დ. ჩუბინაშვილი); „მე რუსთავისა დაბისა“ (ქართველიშვილი); „მე რუსთველისა დამისა“ (კაკაბაძე, კარიჭაშვილი); „მე რუსთველი... სად ამისა“ (იუსტ. აბულაძე); მე რუსთველი სადამისა“ (ჯანაშელი); „მე რუსთველისად ამისა“ (ჭიჭინაძე, ინგოროყვა). ნიკო მარი ჯერ კითხულობდა „რუსთავისა დაბისა“, მერე – „რუსთავისა დამისა“.

ამათგან პ. კეკელიძისთვის ყველაზე უფრო მისაღებია წაკითხვა – „მე რუსთველისად ამისა“, როგორც ეს რამდენიმე ხელნაწერში (N54, 2610; 4499; 4732; 5006) და ბეჭდურ გამოცემაშია (ჭიჭინაძე, ინგოროყვა) დაფიქსირებული. ოღონდ იგი არ ემხრობა ამ გამოთქმის („მე რუსთველისად ამისა“) ჭიჭინაძისეულ და ინგოროყვასეულ განმარტებებს, პ. ინგოროყვას მიხედვით, იგი ნიშნავს: ვწერ ამას ვინმე მესხი მელექსე რუსთველისათვის, რუსთველის თქმულის დამატებად, შესავსებად. პ. ჭიჭინაძის თანახმად: „ეს სიტყვები ნიშნავს, არც მეტი, არც ნაკლები, შემდეგს: ვწერ ვინმე მესხი მელექსე ამას რუსთველის სახელით ანუ ფსევდონიმით, თუ დღევანდელ ტერმინს ვიხმართ“.

პ. კეკელიძემ დაიწუნა რა პ. ინგოროყვასა და პ. ჭიჭინაძის ინტერპრეტაციები, გამოთქვა ყველაზე მისაღები და მარ-

თებული თვალსაზრისი: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“ ნიშნავს: ვწერ მე ამას მესხი ვინმე მელექსე. აი, „ამ რუსთაველის მსგავსად“, „ამ რუსთაველის მიბაძვით“, ან „როგორც ეს რუსთველი“. ამის ნათელსაყოფად მეცნიერი იმოწმებს ანალოგიებს კლასიკური ხანის ქართული მწერლობიდან: „ხმობს ღმერც ხალისად, ა მერაცხალისად, ხმა ტკბილ მხმობარედ „იადონისად“ („აბდულუმესია“); „ნუ გახდი უბრალოსა შეცოდებულისად“ („ვისრამიანი“).

კ. კეკელიძის აზრს იზიარებს ალ. ბარამიძეც: „ამას ვწერ მესხი მელექსე „რუსთველისად“, ე. ი. რუსთველის მიხედვით, ან რუსთველის კვალობაზე, რუსთველის მსგავსად, რუსთველის წაბაძვით.¹ ე. ი. ალ. ბარამიძისთვის მისაღებია – „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“. თავის მონოგრაფიაში სწორედ ამ ფორმით აფიქსირებს მას. ამიტომაც მოულოდნელი ჩანს ერთი გარემოება. 1968 წელს შეიქმნა და მუშაობას შეუდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, რომელსაც გიორგი წერეთლის გარდაცვალების შემდეგ 1973 წლიდან 1984 წლამდე (ამ წელს დასრულდა ტექსტის დადგენა) აკად. ალ. ბარამიძე ხელმძღვანელობდა. საკითხავია, ამ კომისიამ რატომ დატოვა ძალაში წაკითხვა: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“.

ანალოგიურად მოიქცა ნ. ნათაძეც, რომელმაც განახორ-

¹ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, გვ. 34.

ციელა „ვეფხისტყაოსნის“ მეტად საჭირო საყურადღებო გამოცემა. პოემის ყოველ თავს დაურთო განმარტებანი, ბოლოს კი კომენტარები. მან „რუსთველისა დამისას“ ნაცვლად მოგვცა „რუსთავისა დამისა“. ეს გამოთქმა მოგვეპოვება ზაზასეულ ხელნაწერში (N3061). როგორც ვნახეთ, ეს გამოთქმა მისაღები იყო ნიკო მარისთვისაც. ნ. ნათაძის განმარტებით, „დამისა“ უნდა ნიშნავდეს თემს, მხარეს. თუმცა, ამ გამოცემის ბოლოს დართულ კომენტარში ნ. ნათაძე შენიშნავს: „გავრცელებულ და მრავალ გამოცემაში მიღებული წაკითხვა – „მე რუსთველისად ამისა“ (მე ამ რუსთველის მსგავსად) – გულისხმობს, რომ ეს სტროფი რუსთველს კი არ ეკუთვნის. არამედ ვინმე მესხ მელექსეს, რომელსაც პოემა მისი გმირების სიკვდილის აღწერით შეუვსია. საკითხი მეცნიერებაში ჯერჯერობით ღიად რჩება“.¹

ახლა კი დავუბრუნდეთ ეპილოგის ფსევდორუსთველურ სტროფს, სადაც „რუსთველი“ ფიგურირებს:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხომელსა,
აბდულ-მესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა,
ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის

ცრემლშეუშრომელსა“ (1666).

როგორც სარგის ცაიშვილი შენიშნავს: „ეპილოგის ეს სტროფი უფრო ფართო ხასიათის მსჯელობის საშუალებას იძლევა. აქ ერთად არის თავმოყრილი რამდენიმე ცნობა

¹ შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი გამოსაცემად, მო-ამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ, თბ., 1976, გვ. 544.

ქართული კლასიკური ხანის ძეგლებზე. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორზეც ამ კონტექსტშია საუბარი“.¹

რუსთაველი თუ რუსთველი? ჩემი სტუდენტობისას 1966 წლის შემოდგომაზე სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო შეხვედრა თბილისიდან ჩამოსულ გამოჩენილ მეცნიერთან. მათ შორის იყო აკად. ალ. ბარამიძე, მან ისაუბრა „ვეფხისტყაოსანზე“ (შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეები იყო) და ავტორს ყოველთვის „რუსთველად“ მოიხსენიებდა. ამას მოყვა ჩემი შეკითხვა: რატომ რუსთველი და არა რუსთაველი? მეცნიერის პასუხი გახლდათ: ამ ფორმას „რუსთველი“ იმიტომ ვხმარობ, რომ ეს გენიალური პოემის ავტორის ხელწერაა და მას უნდა გაეწიოს ანგარიში. მთელი XVI-XVIII საუკუნეების მოღვაწენი და მწერლები აღნიშნული ფორით (რუსთველი) მოიხსენიებდნენ დიდი შოთას გვარწოდებას. გაშლილი ფორმა „რუსთაველი“ პირველად XVIII საუკუნეში ანტონ კათალიკოსმა შემოიღო, – დაასრულა მეცნიერმა თავისი პასუხი.² ცოტა ხნის შემდეგ ხელში ჩამივარდა აკად. ა. შანიძის წიგნი „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები, სადაც მოთავსებული იყო წერილი „რუსთაველი თუ რუსთველი?“³

ერთი სიტყვით, დღემდე გრძელდება ამ გვარწოდების ორივე ფორმით ხმარების ტრადიციები. რუსთველოლოგთა

¹ ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 13.

² ცხადია, იგივე აზრია გატარებული ა. ბარამიძის წიგნში – შოთა რუსთველი, გვ. 34-35.

³ ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, თბ., 1966, გვ. 260-268.

ერთი ნაწილი ავტორს შოთა რუსთველად მოიხსენიებს, მეორე ნაწილი კი – შოთა რუსთაველად (ეს არ ითქმის მხოლოდ რუსთველოლოგებზე). ფართო საზოგადოება უფრო მიჩვეულია ანტონისეულ გამოთქმას – რუსთაველი. გადაჭრით უნდა დაკანონდეს მხოლოდ ერთი ფორმა და უმჯობესია ეს იყოს – რუსთაველი. გენიალურ პოეტს იმიტომ მოუხდა ამ სიტყვის შეკუმშვა, რომ ამით ტაეპში დაირღვეოდა მარცვალთა რაოდენობა, შაირის მეტრის ნაცვლად მივიღებდით 17-მარცვლიან ტაეპს. ეს გვარწოდება ხომ მოდის სიტყვიდან „რუსთავი“. ამიტომაც გრამატიკული წარმოების მიხედვით, ცხადია, სწორი ჩანს – „რუსთაველი“ და არა „რუსთველი“.

ზ. ალექსიძის მოსაზრების გათვალისწინება გვმართებს: „უმველესი და სწორი ფორმა ამ საგვარეულო სახლისა არის უკუმშველი „რუვისთაველი“ ან მისგან მიღებული „რუსთაველი“. მან სინას მთაზე ყოფნისას (1990 წ.) წმ. ეკატერინეს მონასტრის ახალი კოლექციის ქართული ხელნაწერები შეისწავლა (მიხ. ქავთარიასთან ერთად), ერთ-ერთი ხელნაწერიდან (sin-50) ამოიკითხა ფორმა „რუსთაველი“ უკუმშველად. მისი აზრით, საჭიროა აღდგეს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ჩვენში გავრცელებული სწორი ფორმა „რუსთაველი“.¹

პოემის პროლოგშივე ავტორი მკითხველს დაუკონკრეტებლად აკვალიანებს, რომ ის რუსთავიდანაა. ამან სამეც-

¹ **ზ. ალექსიძე**, ახალი ცნობა „რუვისთაველთა სახლის“ შესახებ, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1991, 5 აპრილი, გვ. 7.

ნიერო ლიტერატურაში წამოჭრა საკითხი – წარმოშობით საქართველოში არსებულ რამდენიმეს შორის რომელი რუსთავიდანაა გენიალური შემოქმედი. ალ. ბარამიძის შენიშვნით: „რუსთველი (რუსთაველი) არც სახელია პოეტისა, არც გვარი, არც ფსევდონიმი. იგი ნიშნავდა ან რუსთავიდან წარმოშობილს (რუსთავის მკვიდრს); ან რუსთავის ციხე-ქალაქის, რუსთავის მამულის, მფლობელ-მეპატრონეს. ჩვენი ქვეყნის მაშინდელი სოციალური ვითარების გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორის ზედწოდება რუსთველი რუსთავის მფლობელობას უნდა გამოხატავდეს. რუსთველი ეწოდებოდა აგრეთვე რუსთავის (თბილისის ახლომდებარე რუსთავის) ეპისკოპოსს“.¹ კ. კეკელიძე წერდა: „ძველად ჩვეულება იყო, რომ გვარი წარმოდგებოდა ხოლმე რომელიმე მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქისაგან, რომელთაგანაც დაკავშირებული იყო ესა თუ ის პირი (ორბელი, თმოგველი, სურამელი).“²

ამ საკითხთან დაკავშირებით, პ. ინგოროყვა იმოწმებს შუა საუკუნეების ისტორიკოსის სტეფანოზ ორბელიანის მატიანეს, სადაც მითითებულია იმაზე, რომ ქართველი ფეოდალური მფლობელი გვარები ღებულობდნენ საგვარეულო სახელწოდებას მათი სამფლობელო რეზიდენციების მიხედვით: „ივერიელთა ხალხს წესად აქვს უწოდონ თავიანთ თავადებს სახელები მათი ადგილების მიხედვით“. მკვლევარი იქვე განაგრძობს: „საისტორიო

¹ ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი, გვ. 35.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 114.

წყაროების განხილვა გვიჩვენებს, რომ ძველ საქართველოში სახელწოდებას გეოგრაფიული სახელებიდან დებულობდნენ ორ შემთხვევაში: ერთად – დიდგვაროვანი არისტოკრატიული მფლობელი გვარები, და მეორედ – სასულიერო პირნი“. ნიმუშად მეცნიერი ასახელებს არისტოკრატიული მფლობელი გვარებიდან: ორბელიანი, ორბელი – ორბეთის ციხიდან; დადიან-ბედიანი-ბედიიდან და დადის ციხიდან; თმოგველი – თმოგვის ციხე-ქალაქიდან: თორელი – თორის ციხიდან; ჩორჩანელი – ჩორჩანის ციხიდან (ზარზმის ახლოს). სასულიერო პირნი: გარეშჯელი, ხანძთელი, შატბერდელი, იყალთოელი, მღვიმელი, გენათელი.

რუსთველოლოგთა აზრი ორად გაიყო. ერთი ნაწილი საკუთარივე არგუმენტებით ამტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი თბილისის რუსთავიდანაა, მეორე ნაწილი კი მესხეთის რუსთავს აღიარებდა პოეტის სამშობლოდ. მკვლევარნი თავიანთი მოსაზრებების დასამტკიცებლად ისტორიულ მასალებთან ერთად ხალხურ გადმოცემებსაც იშველიებდნენ.

შოთა რუსთაველი იყო თუ არა თბილისის ახლოს მდებარე რუსთავიდან? კ. კეკელიძე მიუთითებდა თეიმურაზ ბაგრატიონზე, რომელმაც პირველად გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი დაბადებულა და ცხოვრობდა კახეთის რუსთავში, სადაც ის გამგებელიც იყო. თეიმურაზ ბაგრატიონმა შექმნა ნაშრომი „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“, სადაც მან გაატარა ასეთი თვალსაზრისი:

„თუმცაღა წერილთა შინა რომელთამე მეხილვა და სიტყვითაც მსმენოდა ნამდვილ ჭემმარიტებით შოთა რუსთველისა, რომელი იგი იყო ადგილი ჰერეთით, ქალაქით რუსთავით და ქალაქიცა იგი იყო სამთავროდ მისსა მიცემული მეფისა თამარისაგან. გარნა აწ ახლად ვიპოვეთ რა მოთხრობა საქართველოდსა აღწერილი ფარსადან გორგიჯანიძისა, მას შინა წერილ არს რუსუდან მეფისა მოთხრობასა შინა შემდგომნი ესე სიტყვანი: „მეფემან რუსუდან მოინება წარგზავნა თათართა თანა ძისა თვისისა დავითისა და აღიღო შინა და ფიცი მათგან უვნებელობისა, ხოლო მოციქულად გაგზავნა თათართა მიმართ მთავარნი თვისნი დიდებულნი კაცნი: შანშე და ავაქ და ვარამ გაგელი და ერეთის ერისთავი შოთთა, რომელიც მელნის სეფობისათვის კუპრობით იხსენების. ამ მოთხრობითაცა აღმოჩნდა შოთა რუსთაველი თუ სადაჲთ იყო იგი“.¹

გ. არაბული ამ ამონარიდს სამართლიანად უწოდებს საჩოთირო არგუმენტს, ვინაიდან მას სათანადო დასაბუთება აკლია: „ეს ამონაწერი ეხება საქართველოს სამეფო კარსა და დამპყრობელ მონღოლთა ხელისუფლებას შორის საზავო მოლაპარაკებას 1241-1243 წლებში. თ. ბაგრატიონის მსჯელობით. თამარ მეფის ყოფილი მეჭურჭლეთუხუცესი და უპირველესი პოეტი შოთა რუსთველი აქ მოგვევლინა ჰერეთის ერისთავად და შორეული ელჩობის მონაწილედ“.²

¹ თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ. 291.

² გ. არაბული, შოთა რუსთაველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში, თბ., 1992, გვ. 17.

ბუნებრივია, თ. ბაგრატიონის მოსაზრება შემდგომი პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურამ აღარ გაიზიარა. წარმოუდგენელი ჩანდა ჰერეთის ერისთავის შოთა კუპრის გაიგივება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორთან.

მიუხედავად ამისა, თ. ბაგრატიონის მტკიცებულებას, შოთა რუსთაველის თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავის მკვიდრად აღიარებისა, მომხმარებებიც გამოუჩნდნენ მარი ბროსეს, სარგის კაკაბაძის, პავლე ინგოროყვას, პროკოფი რატიანის, იუსტ. აბულაძის სახით.

განსაკუთრებით მასშტაბური კრიტიკა იწვნია სხვადასხვა მეცნიერთა მხრიდან პ. ინგოროყვას მიერ შედგენილმა რუსთაველის ბიოგრაფიამ და მასთან დაკავშირებულმა დებულებებმა (კ. კეკელიძე, ზ. ავალიშვილი, ს. იორდანიშვილი, ა. ბარამიძე, ნ. ბერძენიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, დ. გვრიტიშვილი, დ. მუსხელიშვილი, ნ. შოშიაშვილი, დ. ქუმსიშვილი, ს. ცაიშვილი, გ. არაბული და სხვ.).

პ. ინგოროყვა თავის „რუსთველიანაში“ შოთა რუსთაველის სადაურობის კვლევისას მივიდა დასკვნამდე, რომ პოეტი იყო ჰერეთის რუსთავიდან. იგი წერს: „რუსთავი ჰერეთისა მდებარეობდა თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ძველი ქართული პროვინციების ჰერეთისა და კახეთის სანაპიროზე. ეს რუსთავი ითვლებოდა ჰერეთის და კახეთის პროვინციების საზღვრად. ამიტომ პოლიტიკურად რუსთავი და მისი რაიონი ხან ჰერეთის საზღვრებში იყო მოქცეულა, ხან კი კახეთის საზღვრებში შედიოდა“.¹ სწორედ ამ რუსთავის

¹ პ. ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, I, გვ. 121-122.

მკვიდრად იმიტომ ასახელებს მეცნიერი პოემის ავტორს, რომ „ერთადერთი ციხე-ქალაქი რუსთავი, რომელიც არსებობდა თამარის ეპოქაში და საიდანაც შეეძლო შოთას მიეღო რუსთაველის სახელი, ეს არის ჰერეთის რუსთავი.¹

რუსთველოლოგთა უმრავლესობა და ხალხური გადმოცემების ტრადიციები მხარს უჭერს ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას, რომ პოემის ავტორის მშობლიური კუთხე მესხეთის რუსთავია. კ. კეკელიძე ფიქრობდა: წყარო ტრადიციისა, ფოლკლორული მასალების ცნობისა, რომელთა მიხედვით, პოეტის სამშობლოდ მესხეთის რუსთავია მიჩნეული, იგივეა, რაც მეცნიერ-მკვლევართა შეხედულებისა, სახელდობრ, ცნობილი ტაეპი: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დაბისა“. ამ ტაეპის არასწორმა წაკითხვამ და მასთან დაკავშირებულმა ყალბმა ინტერპრეტაციამ წარმოშვა ასეთი შეხედულება. საკმარისია თვალი გადავაავლოთ პოემის ხელნაწერებსა და ბეჭდურ გამოცემებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ამ ტაეპის მეორე ნახევარი სხვადასხვანაირად წაუკითხავთ და გაუგიათ.²

მეცნიერს სწორ წაკითხვად მიაჩნია: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“. როგორც ზემოთაც ვაჩვენეთ, კ. კეკელიძის აზრით, ეს ნიშნავს: ვწერ ამას მე მესხი ვინმე მელექსე „რუსთველის მსგავსად“, „რუსთაველის მიბაძვით ან „როგორც ეს რუსთველი“. გამომდინარე აქე-

¹ კ. ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, I, გვ. 127.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 115-116.

დან, მოყვანილი ადგილით პოემის ავტორის „მესხობის“ დამტკიცება მკვლევარს ეეჭვება. ვინაიდან ეს ადგილი გულისხმობს არა პოემის ავტორს, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი დამატების ავტორს. ერთი სიტყვით, კ. კეკელიძე თავს იკავებს იმის მტკიცებისაგან, რომ რუსთაველი მესხეთის რუსთავიდან იყო. თუმცა, გამორიცხულადაც არ მიაჩნია შოთას მესხობა.

პოემის ფსევდორუსთველური სტროფის ბოლო ტაეპზე („ვწერ ვინმე მესხი მელექსე“) დაყრდნობით ნიკო მარი (რომელსაც რუსთაველის სამშობლოდ მესხეთი მიაჩნია) პოემაში მესხიზმებს ეძებდა, ასეთებად მიაჩნდა ნაწარმოების სომხური, სვანური და არაბულ-სპარსული სიტყვები, აგრეთვე პოემის ის პოეტურ-სტილისტიკური პარალელიზმები, რომელთაც ის მესხეთში მუსლიმანური გავლენის შედეგად თვლიდა. აკრიტიკებს რა ამ თვალსაზრისს, კ. კეკელიძე მიუთითებს: სხვა საქმე იქნებოდა, ნ. მარს პოემაში წმინდა მესხური, სპეციფიკურად მესხეთში ხმარებული სიტყვები და რეალიები რომ ეჩვენებინა.

აქვე კ. კეკელიძე ეხმიანება აკად. არნ. ჩიქობავას დაკვირვებებს „ვეფხისტყაოსანში“ დიალექტიზმების შესახებ: პოემაში არის აღმოსავლური (ქართლ-კახეთი) და დასავლური (იმერულ-გურულ-აჭარული) დიალექტიზმები, მაგრამ ის ავტორის კი არარის, არამედ თვით იმდროინდელი სალიტერატურო ენის კუთვნილებაა. მათი მიხედვით, შეუძლებელია გარკვევა, თუ რომელი კუთხიდან უნდა ყოფილიყო ავტორი.

ერთი სიტყვით, კ. კეკელიძე გამოკვეთილად და გა-

დაჭრით არ მიუთითებს თუ რომელი რუსთავიდან უნდა ყოფილიყო პოემის ავტორი – თბილისთან ახლოს მდებარე თუ მესხეთის რუსთავიდან და იქვე საინტერესოდ შენიშნავს: „თუ ძველ ელადში შვიდი ქალაქი ეცილებოდა ერთიმეორეს დიდი ჰომეროსის სამშობლოდ სახელწოდების პატივს, ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ „შვიდთა სამეფოთა“ ფარგლებში დღესაც შესაძლებელია ცილობა და კამათი რუსთაველის გამო“.¹

რუსთაველის მესხური წარმომავლობის დამტკიცებას სხვადასხვა არგუმენტებით ცდილობდნენ შ. ნუცუბიძე, ალ. ბარამიძე, ს. ცაიშვილი, ნ. შოშიაშვილი, რ. ფირცხალაიშვილი და სხვ. ალ. ბარამიძე ორაზროვნად წერს: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შეიძლება ყოფილიყო მესხეთის რუსთავიდანაც და თბილისის რუსთავიდანაც. ამ საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად ჯერჯერობით რაიმე მტკიცე საბუთი არ მოგვეპოვება. თუმცა ზოგი რამე გარკვეულად რუსთაველის მესხობის სასარგებლოდ მეტყველებს. მისი აზრით, შემთხვევითი არ უნდა იყო ის გარემოება, რომ მესხეთში ძალზე პოპულარული ყოფილა „ვეფხისტყაოსანი“. მესხეთში დაიწერა ამ პოემის ინტერპოლაციები და გაგრძელებანი, მესხეთში აღმოჩნდა ვიღაცა დიდებული შოთას ფრესკა“.² მეცნიერს მიაჩნია, რომ სვიმეონ შოთაძის მოღვაწეობა მესხეთის მხარეში (ს. სადგერში) ვერ განამტკიცებს შეხედულებას შოთა რუსთაველის მესხობაზე. წმ. გიორგის ჯვარი თავდაპირველად ყოფილა მაშავერის ხეობაში, შემდეგ ის გადაუტანიათ

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 122.

² ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, გვ. 39.

სადგერში, შოთაძეებიც, როგორც ამ გვარის მხლებელნი და მცველნი, გვიან მოსულან მესხეთში.

ს. ცაიშვილს რუსთაველის მესხობაზე ტრადიციული შეხედულებების გაზიარებისას, მნიშვნელოვან მონაცემებად ესახება ქვაბისხევის მონასტერში არსებული XII საუკუნის ფრესკა, რომელზეც გამოსახულია ჭაბუკი ფეოდალი „შოთა“. იგი ემყარება ნ. ბერძენიშვილის შენიშვნას: არაფერი მოულოდნელი არ იქნება, რომ აქ გამოხატულ ჭაბუკში შევიცნოთ შოთა რუსთაველი. მას მხარი დაუჭირა აკად. გ. ჩუბინაშვილმაც. ს. ცაიშვილმა იქვე დაამატა: „ვინც არ უნდა იყოს ფრესკაზე გამოხატული ჭაბუკი, ფაქტია, რომ სახელი შოთა უკვე დადასტურებულია XII საუკუნის მესხეთში“¹ (გ. ჩუბინაშვილმა XII საუკუნით დაათარიღა აღნიშნული მხატვრობა).

საგულისხმოა, რომ შოთა რუსთაველის მესხობაზე აკეთებს აქცენტს არჩილ ბაგრატიონი თავს ვრცელ პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (სტროფი 127). ადრე ამავე აზრისანი იყვნენ დ. ჩუბინაშვილი (XIX ს. 40-იანი წლები) და ალ. ხახანაშვილი.² რუსთაველი რომ სამცხე-ჯავახეთში დაიბადა და იქაური მკვიდრი იყო, ამაზე ქართული ხალხური გამოცემები არსებობს, რომელთაც მკვლევარები გარკვეულწილად ემყარებიან და იზიარებენ იქ დაცულ მონაცემებს, რათა განამტკიცონ თვალსაზრისი

¹ ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 23.

² ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფ., 1904, გვ. 341.

პოეტის მესხურ წარმომავლობაზე. გამომდინარე აქედან, შოთას მესხობას ასაბუთებდნენ: სერგი მაკალათია,¹ ი. მეგრელიძე.²

საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურის დაწვრილებითი გადმოცემით და ანალიზით მკითხველს არ გადავლლით. ერთი რამ ფაქტია და სარწმუნო: გაცნობილი დამაჯერებელი მასალები ადასტურებენ, რომ შოთა რუსთაველი წარმოშობით იყო მესხეთის მკვიდრი. ამას აუცილებლად ასაბუთებს ქვემოთ წარმოდგენილი მასალები არა მხოლოდ სადაურობაზე, არამედ დიდი პოეტის ვინაობაზეც.

კვლავ დავუბრუნდეთ იმათ შეხედულებებს, რომლებიც თავგამოდებით ამტკიცებდნენ: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი წარმოშობით იყო კახეთის რუსთავიდან ანუ თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავიდან. ზემოთაც გაკვრით აღინიშნა, რომ პირველად თეიმურაზ ბაგრატიონმა სცადა მკითხველის დარწმუნება ამაში. თავის ნაშრომში „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“ მან მოუხმო ფარსადან გორგიჯანიძის აზრდილს: „გარნა აწ ახლად ვპოვე რა მოთხრობა საქართველოდსა აღწერილი ფარსადან გორგიჯანიძისა, მას შინა წერილ არს რუსუდან მეფისა მოთხრობასა შინა შემდგომნი ესე სიტყვანი: „მეფემან რუსუდან მოინება წარგზავნა თათართა თანა ძისა თვისისა დავითისა და აღიღო შანა და ფიცი მათგან უვნებლობისა. ხოლო მოციქულად გაგზავნა თათართა მიმართ მთავარნი თვისნი დიდებული კაცნი: შანშე და ავაქ და

¹ ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938, გვ. 40-43.

² ი. მეგრელიძე, გადმოცემები რუსთაველის შესახებ, თბ., 1954.

ვარამ გაგელი და ერეთის ერისთავი შოთა, რომელიცა მელნის სეფობისათვის კუპრობით იხსენების“... ამ მოთხრობითაცა აღმოჩნდა შოთა რუსთაველი თუ სადაით იყო იგი.¹ როგორც საქმეში ჩახედული მკითხველი მიხვდება, საუბარია 1241-1243 წლებში საზავო მოლაპარაკებაზე საქართველოს ხელისუფლებასა და მონღოლთა ხელისუფლებას შორის. გამომდინარე დამოწმებული ციტატებიდან, თ. ბაგრატიონის თანახმად, შოთა რუსთაველი ყოფილა თურმე ჰერეთის ერისთავი და აღნიშნული ელჩობის მონაწილე.

როგორც ცნობილია, XX საუკუნის 20-იან წლებში პ. ინგოროყვამ კოლოსალური ენერჯია შეაღია ბაგრატიონის თვალსაზრისის გაშლას და განმტკიცებას. ამაზე მეტყველებს 1926 წელს გამოქვეყნებული მისი მონოგრაფია „რუსთველიანა“. იგი რვა კარისაგან შედგება: ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია (ორი კარი ეთმობა), ვეფხისტყაოსნის თარიღი, პოეტის სახელი და ზედწოდება. შოთა რუსთაველი; შოთა რუსთაველის ვინაობა; ცნობები შოთას შესახებ დაცული „ჟამთა აღმწერელის“ საისტორიო თხზულებაში. შოთას მსოფლმხედველობა; ძიებანი შოთას ბიოგრაფიის აღდგენისათვის; ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-ტერიტორიული საკითხები; შოთას იკონოგრაფია. ამ კარებიდან ამჯერად გვინტერესებს კარი მეოთხე; შოთა რუსთაველის ვინაობა, მკვლევრის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ეკუთვნოდა სამეფო კარის წრეს, სამეფოს უმაღლეს არისტოკრატას. იგი თავიდანვე აკვლიანებს მკითხველს:

¹ თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ. 231.

„დაპირისპირება და სინქრონული შეხვედრა სხვადასხვა ისტორიული რეალობისა ჩვენ დოკუმენტურად დაგვიმტკიცებს, რომ ცნობილი ისტორიული პირი მე-12-13 საუკუნეებისა – ჰერეთის ერისთავი შოთა, ჰერეთის ბაგრატიონთა გვარისა „არის იგივე შოთა რუსთველი, ავტორი გენიალური ქართული პოემისა“.¹

პ. ინგოროყვას სათანადო წყაროების გათვალისწინებით რუსთაველი ეგულება მესამე მფლობელად ჰერეთისა და რუსთავისა (ასათ და გრიგოლის შემდეგ). შოთა მას მიაჩნია ჰერეთ-რუსთავის მეორე მფლობელის გრიგოლის უფროს შვილად. მისი აზრით, ეს შოთა ცხოვრობდა 1166-1245 წლებში. ამის შემდეგ ავტორი განიხილავს ავტორის გვარის ისტორიას: „ჰერეთის ერისთავთა ის შტო, რომელსაც ეკუთვნოდა შოთა, მომდინარეობს ჰერეთის ბაგრატიონთაგან“. გამოყოფს ბაგრატიონების სამ შტოს (ქართლისა, კახეთისა, ჰერეთისა). მისივე მითითებით, ემყარება XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის სუმბატ დავითის-ძის საისტორიო ძეგლს „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“. პ. ინგოროყვა წერს: „შთამომავლობით ბაგრატიონთა გვარი მესხები იყვნენ. მათი სამშობლო არის მესხეთის სანაპირო თემი – სპერის პროვინცია, რომელიც მესხეთის და ჭანეთის სანაპირო ზონას წარმოადგენდა. აქ არის მათი პირვანდელი საგვარეულო სამფლობელო და მესხეთის ამ სანაპირო თემიდან გავრცელდნენ ისინი შიდა საქართველოში“.²

¹ პ. ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, I, გვ. 120.

² იქვე, გვ. 159.

აქვე მეცნიერი მკითხველს სთავაზობს ნუსხას ჰერეთის ბაგრატიონთა გვარის გენეალოგიური შტოსი XI საუკუნიდან XIII საუკუნემდე. პ. ინგოროყვა „რუსთველიანას“ მეხუთე კარში ვრცლად განიხილავს „ჟამთა-ადმწერელის“ საისტორიო თხზულებაში დაცულ ცნობებს შოთას შესახებ. ყურადღებას ამახვილებს თხზულების ღირსებასთან ერთად მის ნაკლოვან მხარეებზე: „ამ თხზულებაში შეინიშნება გარკვეული კლერიკალური ელფერი, რის გამო ისტორიული მოვლენების გაშუქება აქ ბევრ შემთხვევაში ტენდენციურია... სარწმუნეობის საკითხებში დიდ მიკერძობას იჩენს. იგი დიდის სიძულვილით მოიხსენიებს მე-13 საუკუნის დასაწყისში საერო კულტურას. საქართველოს უბედურებათა მიზეზად მას მიაჩნია საერო ხასიათის ჰუმანიტარული მსოფლიო-მხედველობა, მიღებული მე-12-13 საუკუნეების განათლებულ წრეებში, რომელიც მას ქრისტიანობიდან გადადგომად მიაჩნია“.¹

მეცნიერი ჟამთა-ადმწერელის ცნობების საფუძველზე მსჯელობს შოთას შესახებ: შოთა მონაწილეობდა სახელმწიფო საქმეებში, მონღოლებთან საზავო მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი იყო, რომელმაც სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად, მონღოლთა ურდოში წაიყვანა უფლისწული დავით-ნარინი (რუსუდანის შვილი) სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად; შოთა იყო მონაწილე და ხელმძღვანელი მონღოლთა წინააღმდეგ კოხტასთავის შეთქმულებისა.

¹ პ. ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, I, გვ. 169.

პ. ინგოროყვას გაოცებას იწვევს ჟამთააღმწერელის მტრული დამოკიდებულება შოთას მიმართ, ვისზეც იგივე „ჟამთააღმწერელი“ სხვა ადგილას დიდი მოწიწებით გვამცნობს შოთას და მის თანამშრომელთა თავდადებულ მოღვაწეობას საქართველოს ძნელბედობის პერიოდში. თუმცა, მისთვის გასაგები ხდება ეს ყველაფერი ჟამთააღმწერლის მსოფლმხედველობისა და კლერიკალური ტენდენციის გათვალისწინების საფუძველზე. „შოთა ორთოდოქსული ქრისტიანობიდან განდგომილად მიაჩნდათ, შოთას თვლიდნენ მიმდევრად მანის ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებისა“.¹ მკვლევარს ჟამთააღმწერელის ტექსტიდან საანალიზოდ მოაქვს შემდეგი ციტატა: „ჰერეთისა ერისთავი შოთაჲ, რომელსა მანისა ფერობისათვის კუპრობით უხმობდეს“... „არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი შოთა კუპარი“.

დამოწმებულ ტექსტს პ. ინგოროყვა კომენტარს უკეთებს: „მანის ფერობა“ აღნიშნავს მანის რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევრობას. „კუპარი“ (არაბული) ნიშნავს „არამართლმორწმუნეს“, „სარწმუნოებიდან“ განდგომილს“. ამის შემდეგ ავტორი ვრცლად საუბრობს მანიქველობის გავრცელებაზე საქართველოში ქრისტიანობის გვერდით უკვე მე-4-5 საუკუნეებში. იგი ფიქრობს, რომ მანიქველობა დამკვიდრებული იყო ჰერეთის მხარეშიც.

პ. ინგოროყვას კვლევა-ძიება იქითკენ მიჰყავს, რომ შოთა რუსთველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის სათავე არის მანიქეიზმი, ვიდრე ნეოპლატონიზმი. იგი

¹ პ. ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, I, გვ. 175-176

ამის დასამტკიცებლად განსაკუთრებით ემყარება ნესტან-დარეჯანის წერილს, ავთანდილის ლოცვას შვიდთა მნათობთა მიმართ, სადაც მოჩანსო თითქოს „მანის ფერობა“ (ამ საკითხზე საუბარი გრძელდება რუსთაველის რელიგიურ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე მსჯელობისას).

ერთი სიტყვით, პ. ინგოროყვას თანახმად, „ვეფხისტყაოსნის ავტორი შოთა კუპრი ერთიდაიგივე პიროვნებაა. შოთა რუსთაველი იყო საქართველოს მეფეთა გვარის-ბაგრატიონების ერთ-ერთი შტოს, კერძოდ, ჰერეთის მმართველი ბაგრატიონების წარმომადგენელი. ჯერ ფლობდა ქალაქ რუსთავს და აქედან მიიღო ზედწოდებაც. შემდეგ თურმე იგი გამხდარა ჰერეთისა და რუსთავის ოლქების („ქვეყნებისა“) ერისთავთ-ერთისთავი. ამ საკითხების გარკვევა-დასაბუთებას მიუძღვნა მეცნიერმა ორი სოლიდური წიგნი „რუსთველიანა“ (1926) და „რუსთველიანას ეპილოგი“ (1963).¹

სამეცნიერო ლიტერატურაში შოთა რუსთაველის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული პ. ინგოროყვას ყველა ძირითადი დებულება უარყოფილ იქნა ქართველი ისტორიკოსებისა და ფილოლოგების მიერ.

პ. ინგოროყვას ოპონენტების მიერ მეცნიერულად დასაბუთებულია: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი რუსთაველი და ერისთავი შოთა კუპრი არ არის ერთი და იგივე პიროვნება; შოთა კუპრი ბაგრატიონი არ ყოფილა, თუმცა, ის ისტორიული პირია, როგორც ჰერეთის ერისთავი; ქალაქი რუსთავი არ

¹ რ. ჩხეიძის და დ. გალავაშვილის რუდუნებით ეს წიგნები გამეორებით დაისტამბა 2016 წელს საერთო სახელწოდებით: პ. ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი ოთხ ტომად.

ეკუთვნოდა ჰერეთს არასოდეს. VIII საუკუნემდე ის შედიოდა კახეთის მხარეში, XII საუკუნის დასაწყისამდე – თბილისის საამიროში. 1115 წელს დავით აღმაშენებლის მიერ ბრძოლით რუსთავის აღების შემდეგ რუსთავი „სამეფო მამული“ გახდა; შოთა კუპრი რუსთავის ერისთავად ისტორიაში არ ჩანს, არც მისი „მამულად“ მფლობელად, რის გამოც იგი „რუსთაველის“ გვარწოდებას ვერ მიიღებდა; შოთა კუპრი მეჭურჭლეთუხუცესი არასოდეს ყოფილა და, ცხადია, ალაპი ჯვარის მონასტერში მას არ ეხება; არანაირი ცნობა არ არსებობს შოთა კუპრის სამწერლო მოღვაწეობის თაობაზე; შოთა კუპრი სინამდვილეში იყო 1245 წლის კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე და მონღოლებთან საზავო მოლაპარაკების (1242-43 და 1245-46) მონაწილეც, თუმცა, ამ ფაქტებს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიასთან არაფერი აკავშირებს.¹

ილ. ანთელავამ კვლავ წამოსწია საკითხი პოემის ავტორის შოთა კუპრთან გაიგივებისა. ჟამთააღმწერელის საისტორიო ნაშრომზე დაკვირვებით თავისებური დასკვნა გამოიტანა. საუბარია გამოთქმაზე: „მანისი ფერობისათვის კუპრობით უხმობდნენ“. მისი აზრით, „მანისი ფერობისათვის“ ნიშნავს: მანის (სარის, ჭიგოს) მსგავსების გამო, ხოლო კუპრი (კუპარი) არისო კვიპაროსი, ალვის ხე ანუ სარო. მკვლევრის დასკვნით, ჰერეთის ერისთავ შოთას, სარივით წვრილი და მაღალი ტანის გამო, კვიპაროსს, ალვისტანას უწოდებენ.² ვფიქრობთ,

¹ შდრ. გ. არაბული რუსთაველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში, გვ. 22.

² ილ. ანთელავა, XI-XII საუკუნეების ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988, გვ. 70.

ეს განმარტება ხელოვნურია და არადამაჯერებელი. მეცნიერს მიაჩნია, რომ ფსევდონიმი რუსთველი ნიშნავს „სამოთხელს“, „ედემელს“ ანუ ზემოთ ნახსენებ კვიპაროსს, ვინაიდან კვიპაროსი (იგივე ალვა, სარო) სამოთხის ხეა. მისი ვარაუდით, შოთას, როგორც ჰერეთის ერისთავს, ორი მეტსახელი ჰქონია: კუპარი (კვიპაროსი) და რუსთაველი (ბოსტან-ქალაქელი, სამოთხელი).

ილ. ანთელავა აღნიშნავს: თბილისის ახლოს მდებარე რუსთავს ეწოდებოდა ბოსტან-ქალაქი, ხოლო ბოსტანი ძველ ქართულში (აგრეთვე არაბულში, სპარსულში, ბერძნულში) უდრიდა ბაღს, სამოთხეს, წალკოტს, ედემს, როგორც მართებულად შენიშნავს გ. არაბული, ქალაქის სახელის, რუსთავის, გაიგივება სამოთხესთან მეტისმეტად პირობითია. მკვლევარის მსჯელობას აბათილებს უფრო სერიოზული დაბრკოლება, კერძოდ, ის, რომ ჰერეთის ერისთავი შოთა არასოდეს ყოფილა იმ რუსთავის მფლობელი, რომელიც ბოსტან-ქალაქის სახელით იყო ცნობილი.¹

ს. კაკაბაძემ დიდი შრომა გასწია რუსთველოლოგიური პრობლემების შესასწავლად, განსაკუთრებით რუსთაველის ვინაობის გამოსაკვლევად. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ მკვლევარი არც თუ იშვიათად საპირისპირო მოსაზრებებსაც ავითარებს, დაუსაბუთებელი დასკვნებით გამოიჩინს თავს, რუსთაველზე არსებულ თქმულება-გადმოცემებს ისე ეყრდნობა, გგონია ლიტერატურულ-

¹ გ. არაბული, შოთა რუსთაველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში, გვ. 78.

ისტორიულ ცნობებთან გაქვს საქმე, თითქმის უკრიტიკოდ ითავისებს მათ. ის სხვის მიერ შეგროვილი ზეპირი გადმოცემებით (ს. მაკალათია, ი. მეგრელიძე, მ. ჩიქოვანი, ნ. ნათენაძე) კი არ სარგებლობდა მხოლოდ, არამედ XX საუკუნის 20-30-იან წლებში თვითონაც აგროვებდა თქმულებებს, ლეგენდებს პოემის ავტორზე.

ს. კაკაბაძე წერს: „შოთა წარმოშობით არის სამცხის მიმდგომი ხევიდან ანუ ხეობიდან, მაშასადამე, მოხევე. ხოლო გვაროვნული შტოს წოდებულებით მესხი ჩახრუხასძე... შოთა წოდებულობას „რუსთველი“ ჩახრუხაანთ ფერის – ციხისაგან, რომელსაც შემდგომ გაღმა-გამოდმა რუსთავი ეწოდა, ამ სახელს ვერ მიიღებდა. წოდებულება „რუსთაველი“ შოთას უნდა მიეღო ახალგაზრდობაში, „ვეფხისტყაოსანის“ დაწერის დაწყებამდე (1188 წელს), ვინაიდან მისი სამფლობელო, სამკვიდრო რეზიდენციას რუსთავი წარმოადგენდა“.¹ ერთი სიტყვით, ს. კაკაბაძის მიხედვით, პოეტის გვარია ჩახრუხაძე, ხოლო ეს გვარი მან დაუკავშირა გაბელისძეთა გვარს. მისი „მტკიცებით“ პოემის ავტორის წინაპრები ცხოვრობდნენ სოფ. ჩახრახში, საიდანაც დამკვიდრებულან ისინი თითქოს სოფ. რუსთავში. ამის გამო იწოდאו რუსთველად. „თამარიანის“ ავტორი ჩახრუხაძე მიაჩნია შოთას ახლო ნათესავად.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, 1990 წლის ნოემბერ-დეკემბერში სინას მთაზე იმყოფებოდა ზ. ალექსიძე მ. ქავთარიასთან ერთად წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული კოლეჯიის ხელნაწერების შესასწავლად. აქ მან მიაგნო ერთ-

¹ ს. კაკაბაძე, რუსთველი და მისი ვეფხისტყაოსანი გვ. 171-175.

ერთ საინტერესო ხელნაწერს (Sin-So), საიდანაც ამოიკითხა „რუვისთაველთა სახლის“ შესახებ საყურადღებო ცნობა: „ოდეს სარკინოზობაჲ აღდგებოდა, ამათ ორთა სახლთა – რუვისთაველთა და მეწკვენელთა – ზედა ზენს მოვიდეს და შექმნეს სამი გუადრუცი ქვისა თლილისა და ორი ლუსკუმაჲ შუენიერ და წარვიდეს და მოიხუნეს ძუალნი მეფეთა მათთა და დედათანი და დასხნეს ლუსკუმიტა მით თანა ზედა ზენს ეკლესიისა შინა“.

როგორც ზ. ალექსიძე შენიშნავს, „მეწკვენელთა სახლი“ მოხსენიებულია სუმბატ დავითის ძის საისტორიო თხზულებაში „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“ (XI ს.): „წარვიდა ბერდუჯს და დადგა გულსა სოფლისასა და გარდაბნით მეფემან მიცვალა ლალს და უწოდა მეწკვენელთა მთავარსა. ნათელ სცა და წარვიდა ბაღდადს“. ზ. ალექსიძის მიერ აღმოჩენილი ხელნაწერის მიხედვით, „მეწკვენელთა სახლი“ უშუალოდ დაკავშირებულია გარეჯთან. იგი VII საუკუნის I ნახევრის კუხეთის გამოჩენილ ფეოდალურ საგვარეულოს წარმოადგენს, ხოლო XI საუკუნის I ნახევარში – კახეთისა.¹

ზ. ალექსიძის თანახმად, მოპოვებული ცნობით დადასტურდა, რომ შოთა რუსთაველამდე X საუკუნის I ნახევარში არსებობდა „რუვისთაველთა სახლი“ ანუ საგვარეულო, „რუვისთაველთა სახლი“ პირველად აქ დამკვიდრდა. გამოდის, რომ რუვისთაველთა საგვარეულოს მესხეთის რუსთავთან საერთო არაფერი ჰქონია და იგი კახეთ-კუხეთის

¹ ზ. ალექსიძე, ახალი ცნობა „რუვისთაველთა სახლის“ შესახებ გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1991, 5 აპრილი, გვ. 7.

რუსთავს უკავშირდებოდა. მკვლევარს აქვე დამოწმებული აქვს „ქართლის ცხოვრება“, რომლის მიხედვით, მირიან მეფის (IV ს.) შთამომავლობა ორ შტოდ გაიყო: რევის ძენი და ბაქარის (ბაკურის) ძენი. ბაქარმა თავის შთამომავლებს ქართლის მეფობა დაუმკვიდრა, ხოლო რევის შთამომავლებს მისცა კუხეთი და დასხნა რუსთავს ერისთავად. ბაქარის შვილიშვილმა ვარაზ-ბაქარმა (ვარაზ-ბაკურმა) ამ ორ შტოს შორის კონფლიქტი იმით მოხსნა, რომ მეორე ცოლად შეირთო რევის შთამომავალი. რუსთავის ერისთავის ფარსმანის ქალიშვილი, რომლისგანაც წამოვიდა სამეფო დინასტია „მამულად ბაქარიანი“ (ბაკურიანი), „დედულად რევიანი“. რევის ჩამომავალთა მამრობით შტოს კი დარჩა კუხეთი და რუსთავი.¹

ზ. ალექსიძე აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ რუსთავის ეპისკოპოსები წყაროებში უმეტესად „რუსთველებად“ იხსენიებიან, თუმცა ზოგჯერ „რუსთაველიც“ გვხვდება. მეცნიერის დასკვნით: „რუსთველი“ არ არის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პერსონალური ზედწოდება. იგი დამოუკიდებელი საგვარეულოს აღმნიშვნელია, რომელიც არსებობდა სულ ცოტა IX-XIII საუკუნეების მანძილზე. რუსთაველთა სახლი ფლობდა კახეთ-კუხეთის რუსთავს და იგი არაფრით არ იყო დაკავშირებული მესხეთის რუსთავთან. იგი მოითხოვს სწორი ფორმის – „შოთა რუსთაველი“ - დაკანონებას, ხოლო შეკუმშული ფორმა „რუსთველი“ რუსთავის ეპისკოპოსების

¹ **ზ. ალექსიძე**, ახალი ცნობა „რუსთაველთა სახლის“ შესახებ გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1991, 5 აპრილი, გვ. 7.

აღსანიშნავად და რუსთაველთა საგვარეულოს განსასხვავებლად ვიხმართო.

აქვე განვაგრძობთ საუბარს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ეპისკოპოსობის ჰიპოთეზაზე. ჯერ კიდევ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები კალისტრატე ცინცაძე და ეფრემ მეორე ფიქრობდნენ ვარაუდის დონეზე, რომ შესაძლებელია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი რუსთავის ეპისკოპოსი ყოფილიყო. ამ ვარაუდის სინამდვილედ ქცევა სცადა პრ. რატიანმა და წარუმატებლობას ვერ დააღწია თავი. მან განიზრახა დამტკიცება იმისა, თითქოსდა ჩვენი დიდი საერო პოეტი სასულიერო პირი იყო. მკვლევარმა შოთა რუსთაველი „დანიშნა“ ქ. რუსთავის ეპარქიის მღვდელმთავრად – ეპისკოპოსად თუ მთავარეპისკოპოსად. ამიტომ იწოდებოდა თურმე იგი „რუსთველად“.

პ. რატიანის არგუმენტი თურმე „მყარია“ იმდენად, რამდენადაც „რუსთველი ეწოდებოდა რუსთავის ეპარქიის მეთაურს, ეპისკოპოსს ან მთავარეპისკოპოსს მის პარალელურად ასეთივე საერო გვარწოდების არსებობა შეუძლებელი იქნებოდა.¹

პ. რატიანს პოემის პროლოგში ნახმარი სიტყვა „ხელობითა“ („მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“) ესმის (უნდა რომ ესმოდეს), როგორც თანამდებობრივი საქმიანობა; ე. ი. ხელობით (ხელის, სახელოს ფლობით, თანამდებობა – საქმიანობით) რუსთველი (რუსთავის ეპისკოპოსი) ვიქ ამ საქმეს.² მეცნიერის ყურადღებას იქცევს „როსტომიანში“

¹ პ. რატიანი, ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი, I, თბ., 1975, გვ. 16-24.

² იქვე, გვ. 25-35.

(გალექსა სერაპიონ საბაშვილმა) ხსენებული „ბერები“ და „მარტვილები“:

„რას მომერჩი ბერი ბერსა? – მე გავლექსე ლამაზ ენა.

აშიყი ვარ თვალ-წარბისა, ვინ სოფელი დააშვენა.

შენ ტყუილად შემოგფიცავს, მათ აუბნეს ტკბილად ენა,

თუმცა ფასი არ მიბოძა, მან რუსთავი ამიშენა.“

„როსტომიანის“ მინაწერში ვკითხულობთ: „აქა მელექსე ავად გახდა, რა ექნა ამ მარტვილების გარდამკვიდე“.¹ პ. რატიანის თანახმად, აქ „ბერი“ ბერ-მონაზონს ნიშნავს, ხოლო „მარტვილი“ – ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებულს, თავგანწირულს. ეს ბერები და მარტვილები თურმე შოთა რუსთველი და ბაგრატ მუხრანბატონი არიან (ისინი სერაპიონ საბაშვილს ლექსებით ეკამათებიან. ე. ი. შოთა რუსთველი საეკლესიო მოღვაწე და ბერად აღკვეცილი ყოფილა. პ. რატიანის მიერ გაგებული „ბერის“ და „მარტვილის“ შინაარსი რომ მცდარია, ამაზე სამეცნიერო ლიტერატურა არ დადუმებულა. მას სამართლიანი ოპონირება გაუწია გ. არაბულმა. დაუსაბუთა პ. რატიანს, რომ სერაპიონ საბაშვილის მიერ გამოყენებული „ბერი“ ბერ-მონაზონს კი არ გულისხმობს, არამედ მოხუცებულს, ხანდაზმულს. „მარტვილი“ სერაპიონთან ქრისტიანობისთვის წამებულს კი არ ნიშნავს, არამედ ყრმობას, ყმაწვილს, ზოგჯერ – ჭაბუკსაც. ამისი დამამტკიცებელი ნიმუშები ამოწერილია „უსწორო კარაბადინიდან“, „მაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიებიდან, „არჩილიანიდან“, სულხან-საბას წიგნიდან „სიბრძნე სიცრუისა“ და ა. შ.

¹ გ. არაბულის დასახ. ნაშრომი, გვ. 28-31.

პ. რატიანი თავისი „დებულებების“ განსამტკიცებლად იშველიებს აღორძინების ხანის მწერლებს, როგორებიც არიან: „არჩილ ბაგრატიონი, ვახტანგ მეექვსე, თეიმურაზ მეორე, ანტონ ბაგრატიონი, ტიმოთე გაბაშვილი – თითქოს ისინი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს სასულიერო პირად მიიჩნევდნენ. საკვირველია, დასახელებულ მწერალთა გონითი ნაღვაწიდან, მათივე შემოქმედებიდან როგორ ამოიკითხა მეცნიერმა ისეთი რამ, რაც შიგ არ წერია.

პ. რატიანის „არგუმენტებიდან“ კიდევ ერთ მომენტზე შევაჩერებთ ყურადღებას. მკვლევარს დაკვირვების ობიექტად გაუხდია 1712 წელს კახეთის მმართველის დავით იმამყულიხანის მიერ გაცემული „ღმთიების გუჯარი“. მისი ძალით თურმე რუსთაველ ეპისკოპოსს უფლება მიეცა ჩაეცვა ქვეყნის უმაღლეს მოხელეთათვის განკუთვნილი (სამეფო სამოსელის მსგავსი) პორფირ-ბისონი. ამან დაარწმუნა პ. რატიანი, თითქოსდა ეს უფლება XII-XIII საუკუნეებშიც უნდა ჰქონოდა რუსთავის მღვდელმთავარს. მკვლევარი აქ არ სვამს წერტილს და იქვე ასკვნის: სწორედ ასეთი სამოსი აცვია თურმე შოთას ჯვარის მონასტერში არსებულ სურათზე.¹

პ. რატიანის ზემოთ დაფიქსირებული რუსთველოლოგიური ძიებანი მოექცა მკვლევართა და სპეციალისტთა კრიტიკის ქარცეცხლში (ალ. ბარამიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. მეგრელიძე, შ. ბადრიძე, ნ. შოშიაშვილი, გ. არაბული).

თამარ ერისთავს ქართველი საზოგადოება იცნობდა

¹ პ. რატიანი, ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი, I, გვ. 93-101.

როგორც პოეტს. მაგრამ თურმე მან რუსთველოლოგიაშიც სცადა კალამი.¹ იგი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად თვლის თამარ მეფის ბიძაშვილს – დემნა ბატონიშვილს, რომელიც ტრაგიკულ პიროვნებად დამკვიდრდა საქართველოს ისტორიის ფურცლებში. აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ სიმონ ქვარიანის თვალსაზრისი, რომელიც ტარიელის სახეში კითხულობდა დემნა ბატონიშვილის პიროვნებას.² თ. ერისთავს ფაქტიურად ს. ქვარიანიდან „გადაუმღერებია“ ის „შეხედულება“, თითქოს დემნა ბატონიშვილი თამარზე ყოფილიყო გამიჯნურებული. განსხვავება ის არის, რომ თ. ერისთავი რუსთაველს აიგივებს გიორგი მესამის ძმისწულ დემნასთან. ს. ქვარიანი კი ტარიელის და დემნას იდენტიფიკაციას ახდენს. დემნა თავისი სიმამრის (ივანე ორბელი) წაქეზებით თუ მხარდაჭერით აუჯანყდა ბიძამისს, გიორგი მესამეს, საქართველოს მეფეს და სამეფო ტახტის დაპყრობა განიზრახა, რასაც ემსხვერპლა კიდეც. მას თვალეზი დასწვეს და დაასაჭურისეს კიდეც. ამას მოჰყვა მისი სიკვდილი. თ. ერისთავმა კი დემნა „ცოცხლად გამოიყვანა“ ქართული და სომხური მატრიანეების ფურცლებიდან და საქართველოდან „გააპარა“, შორს გადახვეწა იგი. თურმე ნუ იტყვიოთ, ამ ბედკრულ ჭაბუკს თავისი ბიძაშვილი თამარ მეფე ყვარებია, მაგრამ ამ სიყვარულის „დაგვირგვინება“ არ ეწერა ქრისტიანული ზნეობის შენარჩუნების გამო. სამაგიეროდ

¹ თ. ერისთავი, „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები ანუ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განზომილება, ჟურნ. „განთიადი“, 1988 N1, გვ. 237-255.

² ს. ქვარიანი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 61.

დაწერა „ვეფხისტყაოსანი, სადაც „ტარიელს სახეში თავის თავს გულისხმობდა, ხოლო ნესტან-დარეჯანში – თამარს. პოემას თურმე დემნა მისი სახელით ვერ გაავრცელებდა და ამიტომაც „რუსთველს“ ამოეფარა: „ნაწარმოების წიაღში ნამდვილად დემნა უფლისწულის სიყვარულის ტრაგედიაა ჩამარხული – მისი ტრაგედია და... მისი გადარჩენისა და რუსთველად გარდასახვის საოცარი ამბავი.

აი, ზოგჯერ სანამდე დადიოდა შოთა რუსთაველის ბიოგრაფიული ესკიზების კვლევა-ძიებანი. ბუნებრივია, თ. ერისთავის ეს წერილი. შორს დგას მეცნიერებისგან. ის, არც ლიტერატურულ თხზულებად გამოდგება იმის გამო, რომ დარღვეულია ქრისტიანული ზნეობა-მორალის პრინციპები (ბიძაშვილისსიყვარულიჩვენი საამაყო მეფის – თამარისადმი), რაც შეურაცხყოფს ქართულ სანაქებო ტრადიციებს და წეს-ჩვეულებას. ღირდა კი მასზე ყურადღების შეჩერება? რა თქმა უნდა, არა! მაგრამ შოთას ბიოგრაფიას კვლევის ისტორიიდან მაინც ვერ ამოვავდებდით მას.

აქვე გაკვრით უნდა ვახსენოთ ნიკო ნადირაშვილის წიგნი „რუსთველის ვინაობა – სადაურობის საკითხი“,¹ მას მიაჩნია, რომ ციხე-ქალაქი რუსთავი არსებობდა ჰერეთში, ახლანდელი საინგილოს ტერიტორიაზე. ცხადია, რუსთაველის კოლონ-კელისძეობა არანაირი დოკუმენტური მასალით არ დასტურდება და სპეციალურმა ლიტერატურამ იმთავითვე უარყო ნ. ნადირაშვილის შეხედულებანი.

¹ ნ. ნადირაშვილი, რუსთველის ვინაობა-სადაურობის საკითხი, გამოსცა ტ. კვანჭილაშვილმა, თბ., 1979.

როგორც ითქვა, მკვლევართა უმრავლესობა მივიდა დასკვნამდე, რომ რუსთაველის მშობლიური კუთხე მესხეთია, იგი მესხეთის რუსთავიდანაა. ილია ჭავჭავაძე „ივერიაში“ 1877 წელს წერდა:

„ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხარის კაცი იყო, რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია, ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა. თითქმის იგია ჩვენი სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილი ადამიანობისა, სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამოდებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს“.¹

მოსაზრებები შოთა რუსთაველის ბაგრატიონობაზე, ჩახრუხადეობაზე, გაბელისძეობაზე, ხურსიძეობაზე, კოლონკელისძეობაზე უარყოფილია სამეცნიერო ლიტერატურაში. როგორც გ. არაბული შენიშნავს, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ჩამომავლობის სავარაუდო ვერსიათა შორის ამჟამად სარწმუნოდ დასაბუთებულია მხოლოდ ერთი თვალსაზრისი: შოთა რუსთაველი თორელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი იყო (ნ. შოშიაშვილი, ს. ცაიშვილი, რ. ფირცხალაიშვილი). რ. ფირცხალაიშვილის თქმით: „შოთა რუსთაველის წარმომავლობის კვლევისას რუსთველოლოგია და ისტორიული მეცნიერება უკანასკნელ პერიოდში დიდად

¹ გაზ. „ივერია“, 1877, N9.

მნიშვნელოვანი არგუმენტაციით თორელთა საგვარეულო სახლამდე მივიდა“.¹

პირველი იყო მ. ჯანაშვილი, რომელიც შესაძლებლად თვლიდა პოეტის დაკავშირებას თორელთა საგვარეულოსთან.² ს. კაკაბაძეც თავიდან აღიარებდა პოემის ავტორს თორელთა საგვარეულო სახლის წარმომადგენლად³ (თუმცა, ამ აზრს ბოლომდე არ შერჩენია).

რ. ფირცხალაიშვილი წერს: „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მასალებმა უეჭვოდ დაადასტურა შოთა რუსთაველის მეჭურჭლეთუხუცესობა, ხოლო მეჭურჭლეთუხუცესის სახელის ორიენტირმა კი რუსთველოლოგია მიიყვანა სწორედ თორელთა საგვარეულო სახლამდე. გარკვეულ იქნა, რომ მეჭურჭლეთუხუცესის სახელო თამარის დროს თორელთა საგვარეულოს წარმომადგენლებს სჭერიათ, ხოლო თამარის შემდეგ XIII საუკუნეში. ამ სახელოს მქონებლად სხვადასხვა დროს გვევლინებოდნენ ორი დიდი ფეოდალური სახლის შვილნი – თორელნი ან ჯაყელნი“.⁴

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის დაკავშირება თორელთა საგვარეულო სახლთან მეცნიერულად სცადა და დაასაბუთა ნ. შოშიაშვილმა.⁵ საერთოდ, თორელთა საგვარეულო ისტორია

¹ რ. ფირცხალაიშვილი, ახალი მასალები შოთა რუსთაველს ბიოგრაფიისთვის, გვ. 499.

² მ. ჯანაშვილი, თამარ მეფის მეხოტბენი, გაზ. „ტრიბუნა“, 1923, N 499.

³ ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისთვის, ტფ. 1914.

⁴ რ. ფირცხალაიშვილის დასახელ. წიგნი, გვ. 7-8.

⁵ ნ. შოშიაშვილი, XII-XIII საუკუნეთა საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორია და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „ცისკარი“, 1965, N6.

არქეოლოგმა ლ. მუსხელიშვილმა პირველთაგანმა გამოიკვლია. მისი დასკვნით, თორელები უძველესი ქართული საგვარეულოს სამძივართა შთამომავლები უნდა იყვნენო.

როგორც ს. ცაიშვილი შენიშნავს, სამძივართა გვარი უკვე X საუკუნიდან მაინც იხსენიება ჩვენს წყაროებში. მკვლევარს სანიმუშოდ მოაქვს ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილ ანდრია მოციქულის მიმოსვლაში ნახსენები „დედაკაცი ვინმე ქურივი სამძივარი“ რომელიც აწყურში მთავრობდა თურმე. სამძივარნი თანდათან ძალზე ცნობილი გვარი ხდება ფეოდალურ საქართველოში. თამარის ისტორიიდან მეცნიერი ასახელებს კრავად ჯაყელს, რომელიც იყო მეუღლე დიდი გამრეკელ-თორელისა და მისი შვილების დედა (სახელგანთქმული სარდლების შალვასა და ივანესი). ს. ცაიშვილმა სხვადასხვა ისტორიულ წყაროთა შეჯერებით გაარკვია, რომ ძველქართულ გვარეულობას, სამძივრების, თორის დაუფლების შემდგომ მიუღიათ თორელობა.¹

შენიშნულია, რომ თამარის მეფობის პერიოდში თორელები განსაკუთრებით აღზევებული ჩანან. ეს ითქმის ჭიაბერ თორელზე და მის ვაჟზე. ჭიაბერი სხვა თორელთა მსგავსად მეფის კარზე იღწვის და იღებს მამულებს „ჟინვინს მრავლეთა მთიულეთითა“. ეს იყო ჩვეულებრივი წესი შუა საუკუნეთა ფეოდალურ საქართველოში. არამც თუ მესხეთიდან მთიულეთში. დასავლეთ საქართველოს დიდაზნაურნი სამფლობელოებს დებულობდნენ აღმოსავლეთ საქართველოში, მესხეთში თუ სომხეთის მიდამოებში. მეფის კარზე ასეთივე

¹ ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 28.

აღზევების გზა უნდა გაეწეო მის ვაჟს შოთას თორელსაც, რომელიც მამის მსგავსად ფლობდა -ჟინვანის თემს.¹

როდესაც გაირკვა, თამარის ეპოქაში თორელთა საგვარეულოში დიდგვირის ჭიაბერის ვაჟის შოთა თორელის მოღვაწეობის საკითხი. ს. ცაიშვილის წინაშე დადგა ახალი საკითხის გარკვევა: შეეძლო თუ არა ჭიაბერის ვაჟს შოთა თორელს მიეღო მეჭურჭლეთუხუცესობა და აგრეთვე რუსთველის ზედწოდება. მკვლევარი მივიდა დასკვნამდე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არის თამარის დროის დიდი პოლიტიკური მოღვაწე შოთა რუსთაველი. თამარის დროსვე მომხდარა მისი აღზევება და მას ეკავა ერთ-ერთი დიდგვირის სახელო – მეჭურჭლეთუხუცესობა. რეალური ჩანს იმის დაშვება, რომ შოთა თორელმა, შემდეგში მეჭურჭლეთუხუცესმა, რუსთველობა მიიღო თორშივე შემავალ რუსთავისაგან, რომელიც მას, ალბათ, როგორც თორელთა საგვარეულო წევრს, სამამულედ ებოძა.²

ს. ცაიშვილის აზრით, ჭიაბერის ვაჟი შოთა თორელი მეჭურჭლეთუხუცესად დაუნიშნავთ 1205-1220 წლებში. თითქმის ანალოგიური შეხედულებისაა ნ. შოშიაშვილი – 1207-1220 წლები. სარგის კაკაბაძის მიხედვით, დიდი შოთა მეჭურჭლეთუხუცესობდა 1212-1224 წლებში, უფრო შორს წავიდა პ. ინგოროყვა – 1245-1250 წლები. გ. არაბულის ვარაუდით, შოთა რუსთაველი მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა დაახლოებით ორი ათეული წლის მანძილზე – 1189-დან 1210-იან წლებამდე.

¹ ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 29-30.

² იქვე, გვ. 31-32.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის დიდი შოთას – თორელობის, რუსთველობის, მეჭურჭლეთუხუცესობის გასარკვევად და შესასწავლად მკვლევართათვის შთამაგონებელი, სტიმულის, ტონის და ორიენტაციის მიმცემი აღმოჩნდა პალესტინის ქართველთა ჯვრის მონასტერში დაცული ცნობები და მასალები. XVI-XVIII სს. ქართველი მოღვაწენი, როდესაც ხშირად იხსენებენ პოემის ავტორად შოთა რუსთაველს – თეიმურაზ პირველის მეთაურობით, ვ. კეკელიძის სარწმუნო მოსახრება რომ გავიმეოროთ, ეს ცნობა უნდა მოდიოდეს ქართველთა ჯვარის მონასტრიდან პალესტინაში. ვინაიდან ქართულ წყაროებში არანაირი ხელშესახები ცნობები არ შემოგვენახა.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ XII-XVI საუკუნეებში მრავალი უმძიმესი თავგადასავლის გადამტანი ჯვარის მონასტრისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა ქართველ მოღვაწეთა მხრიდან გააქტიურდა. აქ უდნა დასახელდეს უპირველესად მამია II გურიელის, ლევან დადიანის (II), თეიმურაზ პირველის, ბაადურ და გარსევან ჩოლოყაშვილების, იმერეთის მეფეების გიორგი და ალექსანდრე III, ქართლის მეფე გიორგი XI-ის მიერ გაწეული დახმარებანი. 1643-1649 წლებში ჯვარის მონასტრის წინამძღვრობა უტვირთა საეკლესიო და პოლიტიკურმა მოღვაწემ ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა. 1757-1758 წლებში იერუსალიმში იმყოფებოდა ტიმოთე გაბაშვილი. აქ მოაგროვა მან ცნობები მონასტრის ისტორიაზე. აქ ნახა ქართველმა სასულიერო მოღვაწემ შოთა რუსთაველის სურათი, ასევე, მისთვის ცნობილი გახდა შოთას მონაწილეობის შესახებ ჯვარის მონასტრის რესტავრირება-განახლებაში.

ჯვარის მონასტრის მთავარმა ტაძარმა შემოგვინახა შოთა რუსთველის სურათი, სადაც სვეტის ერთ გვერდზე დიდ ქართველ პოეტთან ერთად დახატულნი არიან საეკლესიო მოღვაწენი მაქსიმე აღმსარებელი (VII ს.) და იოანე დამასკელი (VIII ს.). აქვეა წარწერაც: „ამისა დამხატავსა შოთა (ს) შეუნდოს ღმერთმან. ამინ, რუსთველი“. ამის შესახებ პირველი ცნობა თანამემამულეებს მიაწოდა 1657-1658 წლებში ჯვარის მონასტერში მყოფმა საეკლესიო მწერალმა, მოგზაურმა და არქიეპისკოპოსმა ტიმოთე გაბაშვილმა: „ჯვრის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთა რუსთველს, მეჭურჭლეთუხუცესს, თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“.¹

შოთა რუსთაველის მეჭურჭლეთუხუცესობას ადასტურებს იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერში ნიკო მარის მიერ 1902 აღმოჩენილი აღაპთა წიგნი, სადაც ვკითხულობთ: „ამ(ა)სვე ორშაბათსა, აღაპი შოთ(ა)მსა მეჭურჭლეთ უხუცესის(ა)მ ვინ შეცვ(ა)ლოს, შე-მცა-ცავ(ა) ლებულ (ა)რს სჯ(უ)ლისაგ(ა)ნ ქ(რისტ)ენაეთ(ა)მსა“.² ცაიშვილი წერს: „ტიმოთე გაბაშვილის ვარაუდი, რომელიც მონასტერშივე დამკვიდრებული ტრადიციიდან მოდის, სრული ზედმიწევნით დასტურდება. ფრესკაზე გამოსახული შოთა რუსთაველი და აღაპებში მოხსენიებული

¹ **ტ. გაბაშვილი**, მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო **ელ. მეტრეველმა**, თბ., 1956, გვ. 80.

² აღაპნი ჯვარის მონასტრისანი, იერუსალიმსა შინა, გამოსცა **ნ. მარმა**, პეტერბ. 1912, გვ. 78.

„შოთა მეჭურჭლეთუხუცესი“ ერთი და იგივე პირია. იდენტიფიკაციას ხელს უწყობს დროის თანხვედრა და ამასთან ფრესკის წარწერის ცნობა. თუ რა ღვაწლის გამო (შოთას, როგორც ჩანს, მისივე საფასით განუახლებია კედლის მხატვრობა) შეუტანიათ მისი მოსახსენებელი მონასტერში არსებულ სააღაპე წიგნში... შოთას მოსახსენიებელი, როგორც ჩანს, მის სიცოცხლეშივე შეუტანიათ. ამავე ხანებში არის იგი გამოხატული მონასტრის სამხრეთ-დასავლეთ სვეტზე“.¹

საინტერესოა, რომ ხალხური გადმოცემებიც დადაბლებენ შოთა რუსთაველის ვინაობის დაკავშირებაზე იერუსალიმის ჯვარის მონასტერთან. კერძოდ, აქ საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის წასვლაზე ხანდაზმულობის პერიოდში იერუსალიმში და მის იქვე გარდაცვალებაზე.

არაერთმა მეცნიერმა გამოთქვა თვალსაზრისი შოთა რუსთაველის დაბადების თარიღთან დაკავშირებით. პ. ინგოროყვას მტკიცებით, რუსთაველი დაბადებულია 1165-1166 წლის ფარგლებში. სწორედ ამ მოსაზრების გათვალისწინებით 1966 წელს საქართველოსთან ერთად მთელმა მსოფლიომ იზეიმა გენიალური პოეტის დაბადებიდან 800 წლის იუბილე. ს. კაკაბაძის მიხედვით, რუსთაველი დაბადებულია 1162-1163 წლებში. ამ შეხედულებასთან ახლოს არის ს. ცაიშვილის ვარაუდიც, რომ შოთა დაბადებული უნდა იყოს 1163-1165 წლებში.

პოლონელი ძობკო რუსთაველის დაბადების თარიღად მიიჩნევდა 1183 წელს. იგი იყო თამარ მეფის კარის პოეტი. 1829

¹ ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 16-17.

წელს გაზ. „ტფილისის უწყებანში“ (N3, 21 იანვარი), ქვეყნდება წერილი (ავტორი ლ. ა. – დ.) „რაიმე რუსთველისთვის“, სადაც პოეტის დაბადების თარიღად დასახელებულია 1229 წელი, რაც ცხადია, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

გ. არაბული შენიშნავს: „ზეპირ ხალხურ გამოცემებში და ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში შოთა იხსენიება თამარ მეფის მდივნად, კარის პოეტად, „მწერალთა უხუცესად“, ისტორიკოსად, „ღვთისმეტყველად“, მოლარეთ-უხუცესად, მეჭურჭლეთუხუცესად, ან ზოგან – ვაზირად, ერთგული კაცის, მრჩევლის მნიშვნელობით. მკვლევარს ამის ნათელსაყოფად მოაქვს სათანადო ცნობები XVIII-XIX საუკუნეთა მონაცემებიდან. კერძოდ, მეფე-პოეტი თეიმურაზ მეორე შოთა რუსთაველის თამარ მეფის მდივნად აცხადებს:

„როდესაც საქართველონი იყო ხელმწიფის ერთისა,
მაშინ მის ჟამსა მე ვიყავ შინა-ყმა თამარ მეფისა...
იმისგან პატივცემული ვახლდი მდივანი სეფისა“.¹

გ. არაბულის მართებულ შენიშვნით, თამარ მეფის დროს ქართულ ენაში სიტყვა „მდივანი“ საერთოდ არ იხმარებოდა. ეს ცნება XV საუკუნიდან იჩენს თავს ჩვენს ლექსიკურ ფონდში. ხოლო იმ მოხელეს, რომელსაც თეიმურაზ მეორე მდივანს უწოდებს, XII-XIII საუკუნეებში მწიგნობარი ერქვა.

გ. არაბული აქვე იხსენებს XIX საუკუნის I ნახევრის მოღვაწე იოანე ბაგრატიონის ნათქვამს: თამარ მეფემ შოთა „უცხო მხარეთა მდივნად ყო“.² მკვლევარის ფიქრით, თუ იოანე

¹ თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 123.

² იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, თბ., 1948, გვ. 256.

ბაგრატიონის მიერ ხსენებულ „უცხო მხარეთა მწიგნობარს“ ვიგულისხმებთ, ის უნდა ყოფილიყო მეფის ან ვაჭირთა საბჭოს თანაშემწე სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია არჩილ ბაგრატიონის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ბიოგრაფიულ მომენტებზე, შენიშნულია, რომ არჩილი არაფერს ამბობს პოეტის კონკრეტული სამოხელეო თანამდებობის შესახებ. რუსთაველს ის წარმოგვიდგენს როგორც რიგით აზნაურს, მოყმე-მეომარს, რომელიც ხმლით იცავდა მისი სათაყვანებელი მეფისა და სახელმწიფოს პოლიტიკურ ინტერესს. ეტყობა, არჩილმა არაფერი იცოდა ჯვარის მონასტრის სვინაქსარში შოთას აღაპის არსებობისა და მისი შინაარსის თაობაზე.¹

მკვლევართა ერთი ნაწილი რუსთაველს ისტორიკოს-მემატიანედაც მიიჩნევს (ანტონ კათალიკოსი, ილ. აბულაძე, მიხ. წერეთელი, ივ. ლოლაშვილი, ს. კაკაბაძე, კ. გრიგოლია). რუსთაველი „ღვთისმეტყველადაც“ შერაცხეს (ანტონ პირველი, იოანე ბაგრატიონი). როგორც ზემოთაც ითქვა, რუსთაველი სასულიერო მოღვაწედაც მოინათლა. იოანე ბაგრატიონი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს „მწერალთა უხუცესსაც“ უწოდებდა. გ. არაბული თვლის, რომ აქ მეფის კარის პოეტებისა და მემატიანეების მეთაურობა იგულისხმება. ვფიქრობთ, ამ გამოთქმაში რუსთაველი აღიარებულია უპირველეს მწერლად, მწერალთა მწერლად, ყველა მწერალზე დიდ შემოქმედად.

¹ გ. არაბულის დასახ. წიგნი. გვ. 63.

ზემოთ დაფიქსირებული მოსაზრებების დამამტკიცებელი რაიმე ისტორიული დოკუმენტი თუ ცნობა არ მოგვეპოვება. სწორადაა შენიშნული, რომ პოემის ავტორის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობიდან დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს მისი მეჭურჭლეთუხუცესობა.

არც ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება დარჩენილა გულგრილი რუსთაველის ვინაობის წარმოსაჩენად: შოთას დაბადება, აღზრდა, მოღვაწეობა, რომანტიკული თავგადასავალი, სამეფო კარზე ყოფნა, ნათესაური წრე, ცოლშვილი, მოგზაურობა, უცხოეთში აღსრულება, შოთას მიერ მიღებული სწავლა-განათლება იყალთოს აკადემიაში, პოეტის წასვლა საბერძნეთში („ათინას“). თამარ მეფის მიერ სასახლეში მდივნად მოწვევა, მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობის ბოძება და ა. შ.

ზემოთ ნახსენები იყო: რუსთაველით დაინტერესებული ზოგიერთი პირი პოეტს ისტორიკოსადაც მიიჩნევდა. ანტონ კათალიკოსის „ღრამმატიკაში“ მინიშნებულია, რომ შოთა რუსთაველი იყო „გამომთქმელი მეფის თამარის ცხოვრებისა“.¹ ივ. ლოლაშვილს სჯერა ანტონ ბაგრატიონის მოცემული გამონათქვამის ავთენტურობისა. მკვლევარი რუსთაველს მიაწერს ცნობილ საისტორიო ძეგლს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.² მისი წერილის მიხედვით, რუსთაველი ხომ არ უნდა მივიჩნიოთ „ისტორიათა და აზმანთა“ პირველი

¹ ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ, ენიშკის მოამბე, III, 1938, გვ. 203.

² ი. ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსის ვინაობის პრობლემა, თბ., 1961, გვ. 86.

ნაწილის ავტორად. უფრო შორს წავიდა ისტორიკოსი კ. გრიგოლია, რომელიც რუსთაველს არ მიაკუთვნებს თამარის არც პირველ ისტორიას („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“), არც მეორეს – „ცხოვრება თამარისი“. მისი ვარაუდით, არსებობდა ჩვენამდის მოუღწეველი რომელი-ღაც სხვა ისტორიული თხზულება, რომლის ავტორი უნდა ყოფილიყო ჩვენი დიდი შემოქმედი.¹

ნიკო მარი ერთმანეთთან აიგივებდა რუსთაველისა და ჩახრუხაძის პიროვნებას და ჩვენს განუმეორებელ პოეტს თვლიდა „თამარიანის“ ავტორადაც. მისივე აზრისანი იყვნენ: მარი ბროსე, მ. ჯანაშვილი, ზ. გამსახურდია. ცნობილი მეცნიერი კ. ინგოროყვა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს მიაწერდა ორ თხზულებას: „ქებანი“, „რომანი იოსებ მშვენიერზე.“² დ. ჩუბინაშვილმა რუსთაველს მიაკუთვნა ორი იამბიკო: „ცასა ცათასა“, „ქალწულებრივთა სისხლთა“.³

აქვე შეუძლებელია ერთ გარემოებაზე ყურადღების გაუმახვილებლობა: 1942 წელს ქ. მარსელში ფრანგულ ენაზე გამოვიდა ორიენტალისტის ფრანც ტუსენის წიგნი „სიყვარულისა და ომის ისლამური სიმღერები“. მასში თავმოყრილია სხვადასხვა ისლამური ქვეყნის პოეტთა ლექსების ფრანგული პროზაული თარგმანები. ტექსტები ნათარგმნია არაბულიდან. აქვე ვეცნობით განყოფილებას – „საქართველოს სიმღერები“. წიგნში შეტანილია ოთხი

¹ კ. გრიგოლია, შოთა რუსთაველის ისტორიოგრაფიულ მოღვაწეობაზე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1970, 7 აგვისტო.

² კ. ინგოროყვა, თხზულებანი, I, თბ., 1963, გვ. 180-184.

³ ქართული ქრისტომატია, II, სანკტ-პეტ., 1860, გვ. 243-244.

ავტორის (თავადი ზუმელი – „ვარდი“; შავთელი – „დაბრკო-
ლება“; რუსთაველი – „ვეფხის ტყავი“ ნაწყვეტის სახით;
ანონიმი ავტორის – „ღამე“) თითო ლექსი. ტუსენის წიგნის
ქართული მასალები ფრანგულიდან ქართულად გადმო-
თარგმნა და საინტერესო ნარკვევის დართვით გამოაქვეყნა
მიხ. მამულაშვილმა. გაირკვა, რომ „ვეფხის ტყავს“
„ვეფხისტყაოსნის“ შინაარსთან საერთო არაფერი გააჩნია“.¹

რუსთაველს „ვეფხისტყაოსნის“ გარდა სხვა თხზულებანი
რომ ექნებოდა დაწერილი, ამაში ეჭვის შეტანის საშუალე-
ბას თვითონ პოეტისვე სიტყვები არ გვაძლევს: „მოშაირე არა
ჰქვიან თუ სადმე თქვას ერთი, ორი“... რაც შეეხება ზემოთ
ნახსენებ ნაწარმოებებს, რომლებიც მიწერილია რუსთავე-
ლისთვის, სამეცნიერო ლიტერატურამ არც ერთი მათგანი არ
გაიზიარა ანუ არ მიიჩნია რუსთაველის კუთვნილებად.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის კვლე-
ვის ისტორია მასშტაბურ ხასიათს ატარებს სამეცნიერო
ლიტერატურაში. შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის დადგე-
ნას ართულებს სათანადო დოკუმენტური მასალების თუ
ისტორიული ცნობების ჩვენამდე მოუღწევლობა. ეს განპირო-
ბებული იყო თამარის მეფობის მზიანი ეპოქის დასრულების
შემდეგ გარეშე მტრების მუდმივი შემოსევებით საუკუნეების
მანძილზე. მტერი ანადგურებდა ქართული მატერიალუ-
რი და სულიერი კულტურის ძეგლებს, ხელნაწერებს, რამაც
შეიწირა რუსთაველის ბიოგრაფიული მასალებიც. საქმეს
ართულებდა ისიც, რომ უძველეს დროში ყოველთვის არ

¹ ა. ზარამიძე, შოთა რუსთაველი, გვ. 445-446.

იწერებოდა და არ ინახებოდა ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობები (კ. კეკელიძე).

ნაშრომის მიზანია მკითხველს გააცნოს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის თუ ბიოგრაფიის კვლევის ისტორია, ის ვერსიები და ჰიპოთეზები, რაც დაფიქსირდა რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში. ნარკვევში უპირველესად აქცენტირებულია პოეტის სახელი „შოთა“, გვარწოდება „რუსთველი“ თუ „რუსთაველი“, პოემის ავტორის მესხური წარმომავლობა, რასაც უცილობლად ასაბუთებს მთელი რიგი უტყუარი ცნობები და მასალები. შოთა რუსთაველის პიროვნების გაიგივება ჰერეთის ერისთავ შოთა კუპრთან, პოეტის დასახვა ჰერეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლად, მისი მანიქველად აღიარების (კ. ინგოროყვა) მტკიცების მცდელობა ამო გამოდგა და კრიტიკას ვერ გაუძლო. ასევე, მოსაზრებები რუსთაველის ჩახრუხამეობაზე, გაბელისძეობაზე, ხურსიძეობაზე, კოლონკელისძეობაზე სამართლიანად უარყოფილია სამეცნიერო ლიტერატურაში. იგივე ითქმის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ეპისკოპოსად ანუ სასულიერო პირად მონათვლაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში განმტკიცებულია აზრი, რომ შოთა რუსთაველი თორელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი იყო. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მასალებმა უეჭვოდ დაადასტურა შოთა რუსთაველის მეჭურჭლეთუხუცესობა, ხოლო მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს (თანამდებობის) ორიენტირმა კი რუსთველოლოგია სწორედ თორელთა საგვარეულო სახლამდე მიიყვანა (რ.

ფირცხალაიშვილი). ირკვევა, რომ ჩვენი დიდი პოეტი ყოფილა ჭიაბერ თორელის ვაჟი, რომელიც მეჭურჭლეთუხუცესად დაუნიშნავთ 1205-1220 წლებში.

მრავალი მკვლევარი შეეცადა რუსთაველის დაბადების თარიღის გარკვევას, სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს დასახელებულ თარიღთაგან (1162-1165; 1163-1165; 1166) ერთ-ერთი მათგანი. ხალხურ გადმოცემებში, წერილობით წყაროებში რუსთაველი იხსენიება თამარ მეფის მდივნად, კარის პოეტად, „მწერალთა უხუცესად“, ისტორიკოსად, „ღვთისმეტყველად“, მოლარეთუხუცესად, მეჭურჭლეთუხუცესად, ვაზირად (გ. არაბული).

გამოთქმულია მოსაზრებები, რომ რუსთაველის სხვა ნაწარმოებებიც უნდა ჰქონოდა: თამარის ცხოვრება, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, თამარიანი, ქებანი, რომანი იოსებ მშვენიერზე, ცასა ცათასა, ქალწულებრივთა სისხლთა. არც ერთი ეს შეხედულებანი სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის გაზიარებული.

„ვეფხისტყაოსნის“ თაკილისათვის

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ ავტოგრაფულმა ხელნაწერმა ჟამთა უკულმართობის გამო ჩვენამდე ვერ მოაღწია. უფრო მეტიც, საერთოდ, XVII საუკუნეზე ადრინდელი ხელნაწერი უცნობია. ხელნაწერთა ასეთ უმძიმეს თავგადასავალში, ბუნებრივია, ჩაიკარგა პოემის შეთხზვის თარიღიც. მიუხედავად ამისა, სათანადო მონაცემთა საფუძველზე მაინც მოხერხდა ამ საკითხის გარკვევა. თითქმის დადგინდა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის ზუსტი თარიღი. თუმცა, კვლევის ეს შედეგები ხელის ერთი მოსმით არ ყოფილა მიღებული. მას წინ უძღოდა სხვადასხვა მკვლევართა მხრიდან გამოთქმული ურთიერთგამომრიცხველი თვალსაზრისები.

ცხადია, საკითხებზე საუბარს შევუდგებით ქართული მეცნიერების ავტორიტეტის კორნელი კეკელიძის მოსაზრებების დაწვრილებითი ანალიზით. ამთავითვე ვიტყვით, დიდი მეცნიერის შეხედულებები შორს დგას ტრადიციული კონცეფციებისაგან. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მისი მოსაზრებანი გამყარებულია შესაბამისი არგუმენტებით, რისი სისწორისა თავად სჯეროდა.

ტრადიციული შეხედულებით, „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია XII საუკუნის მიწურულს და XIII საუკუნის დამდეგს (პირველ ათეულში). საინტერესოა, რატომ ეეჭვებოდა კ. კეკელიძეს ეს თვალსაზრისი. თუმცა, თვითონაც აღიარებდა: „ამ შეხედულებას იზიარებს დღეს მომეტებული ნაწილი რუსთველოლოგებისა“.¹ ამიტომაც განიხილავს

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1984, გვ. 149.

იგი თავიდანვე საკითხს, თუ რამდენად მისაღებია ასეთი შეხედულება.

დიდი მკვლევარი მსჯელობის დაწყებისას იშველიებს პროლოგის გამონათქვამებს („თამარს ვაქებდეთ მეფესა“... „ვთქვენი ქებანი ვისნი მე“; „მისი სახელი შეფარვით ქვემოთ მითქვამს, მიქია“) და არც ეეჭვება, რომ ეს სიტყვები თამარის საქებარს წარმოადგენენ. თუმცა, იქვე აღნიშნავს: „მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ პოემა უთუოდ თამარის მეფობაშია დაწერილი, თამარის „ქება“ შეეძლო რომელიმე პოეტს მისი გარდაცვალების შემდეგ დაეწერა.¹ მეცნიერს სჯერა: „თვით პოემის პროლოგში გათვალისწინებულია, რომ თამარის ეს „ქება“ დაწერილია არა მის სიცოცხლეში არამედ მისი გარდაცვალების შემდეგ“.² ამის დასამტკიცებლად ის იშველიებს შემდეგ ტაეპს: „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინ ცამ იქია“. ესე იგი, მე ვაქებ იმას, ვინც ცაზე იმყოფება, ვინც მკვდარია უკვე“.³

როგორც კ. კეკელიძე თვითონვე მიგვანიშნებს, იზიარებს დამოწმებული ტაეპის ნიკო მარისეულ წაკითხვას და განმარტებას. ეს ტაეპი ყველა ხელნაწერში და გამოცემაში იკითხება ასე: „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“. ნიკო მარმა კი ასე შეცვალა: „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცამ იქია“, რასაც ეთანხმება კეკელიძეც. უსაფუძვლო არჩანს ნიკო მარის დაეჭვება: არაა სწორი წაკითხვა: მას ვაქებ, ვინცა

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1984, გვ. 149.

² იქვე.

³ იქვე.

მიქია“, რადგან „მიქია“ მოცემულია სტროფის მეოთხე ტაქში. რუსთველს არ სჩვევია ისეთი მაჯამა, როდესაც ერთიდაიგივე სიტყვა ერთი და იმავე მნიშვნელობითაა ნახმარი სტროფში. ერთი შეხედვით, შესაძლებელია სწორი ჩანდეს წაკითხვა: „ვინ ცამ იქია“, თუმცა ესეც ვერ დაამტკიცებს მის დაწერას თამარის გარდაცვალების შემდეგ. ვინაიდან რთული არ ჩანს იმის წარმოდგენა, რომ თამარ დედოფალი მის სიცოცხლეშიც „იქია ცამ“, მისი გაღმერთების ნიშნით.

გარდა ამისა, კ. კეკელიძეს დამოწმებული აქვს კიდევ ერთი ტაქი: „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული“. იქვე სვამს კითხვას: რატომ ცრემლის ღვრით? იქვე პასუხობს: იმიტომ, რომ პოეტს ის ეგულვება უკვე გარდაცვლილად. იქვე განაგრძობს: დავითი, რომელსაც შვენის თამარის რეგალიების ხმარება და ტარება, არის არა მისი ქმარი, არამედ შვილიშვილი“.¹ მიუხედავად კ. კეკელიძის შეუვალი ავტორიტეტისა, შეუძლებელია დაეთანხმო ამ ბოლო მოსაზრებას.

ა. ბარამიძის მართებული შენიშვნით: „სისხლის ცრემლების ფრქვევა რუსთაველის ენაზე ნიშნავს არა სიკვდილით გამოწვეულ მწუხარებას. არამედ უზომოდ დიდი სიყვარულის გამოხატვას. მაგალითად, სატრფოს დამორება მიჯნურს ბევრი სისხლის ცრემლი აღვრევინა („მზე ტირს სისხლისა ცრემლითა, ზღვისაცა მეტის მეტითა“). თუმცა მას სასიკვდილო არა ჰქონია რა. გაპარვის წინ

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1984, გვ. 149.

ავთანდილი დაემშვიდობა შერმადინს, მოეხვია და „ატირდა ცრემლითა სისხლთა ფერთა“, სახელოვანი მოყმე თვითონ გვიდასტურებს: „გამოვიპარე, დავეხსენ სისხლისა ცრემლთა წურვასა“. ტარიელის ცრემლსაც „სისხლი ერეოდა“. დამოწმებული ტექსტების „სისხლის ცრემლებს“ არაფერი საერთო არა აქვს რა სიკვდილით გამოწვეულ განცდებთან¹.

„ვეფხისტყაოსანი“ არ შეიძლება დაწერილიყო მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევამდე, ამის დასამტკიცებლად მთელი რიგი საილუსტრაციო მასალა მოაქვს კ. კეკელიძეს პოემიდან. მასალები, რომლებშიც მკვეთრად არის გადმოცემული საწუთროს მდურვა და გინება, როგორც სისხლის მსმელისა, ცრემლთა მდენისა, ცვალებადისა, დაუნდობლისა, მუხთლისა, ცრუ და გაუტანელისა:

„ამად მიყო სიამისა სიმწართა დანაღვლება“;
„ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს“;
„საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც, ოდენ გაგვიცინია“;
„იშვებენ, მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან“;
„საწუთრო კაცსა ყოველსა, ვითა ტაროსი უხდების,
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების“;
„ვა, საწუთროო, სიცრუით თავი სატანას ადარე“;
„იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია“...

ამდასხვამასალებისდამოწმებისსაფუძველზეკ.კეკელიძეს უჭირს წუთისოფლის შესახებ ასეთი განწყობილების, აზრების, შეხედულებების შეთანხმება თამარ მეფის ეპოქის ლაღსა და ცხოველმყოფელ მსოფლმხედველობასთან.

¹ ა. ზარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 32.

მკითხველის დასარწმუნებლად საამისოდ იშველიებს ისტორიკოსების ცნობებს, რომლის მიხედვით ყველა თავს ბედნიერად თვლიდა, ყველა შეჰხაროდა ცხოვრებას, ემადლიერებოდა თავის ბედ-იღბალს.¹ ცხადია, დიდი მეცნიერი არ გაურბის იმის ჩვენებას, რომ დამოწმებული საწუთისოფლო ციტატები რუსთველოლოგთა მიერ მხოლოდ „მსოფლიო ჭმუნვის“ გამომხატველია: „ამბობენ, რომ ამოწერილი ადგილები მაჩვენებელია მხოლოდ „მსოფლიო ჭმუნვის“, რომელიც განუყრელი თანამგზავრია ადამიანისა, რა მდგომარეობაში არ უნდა იყოს ისო. ეს ასეც რომ იყოს, საკითხავია: ყოველთვის ხომ არ იჩენს თავს ერთნაირად ეს „ჭმუნვა“? არის მომენტები ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც ის მწვავედ მჟღავნდება, როდესაც საგანგებოდ უსვამს მას ხაზს ადამიანი, როგორც ამას ვხედავთ ჩვენს პოემაში. ალბათ იმიტომ, ამ მომენტში არის ისეთი მიზეზი, რაც ამ შეგნებაცნობიერებასა და განწყობილებას აღიზიანებს საგანგებოდ.² მეცნიერი ასკვნის: „დასკვნა თავისთავად ცხადია: პოემა დაწერის თარიღით არ ემთხვევა თამარის ეპოქას“. იქვე განაგრძობს: „ასეთი განწყობილება, შეხედულება და აზრები მაჩვენებელია იმისა, რომ პოემა ისეთს დროსაა დაწერილი, როდესაც, როგორც ისტორიკოსი ამბობს: „იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა“; როდესაც, მისი პოეტური სიტყვები რომ ვიხმართ: „დღემან იწყო მიდრეკად და

¹ კ. კეკელიძეს შესაბამისი ნიმუშები მოტანილი აქვს „ქართლის ცხოვრებიდან“.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1984, გვ. 151.

მზემან დასლვად და ჰაერმან სხვაფერად უფერულობა და ცისკარსა დღისა ზედა იწყეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა“. ცხადია, აქ საუბარია იმ უბედურებაზე, რაც მონღოლებმა და ხვარაზმელებმა დაატეხეს თავს ქართველობას. გამომდინარე აქედან, კ. კეკელიძე საწუთროს უნდობლობაზე ზემოთ მოხმობილ რუსთაველის სიტყვებში იმავე აზრსა და განწყობილებას ხედავს, როგორსაც „ჟამთააღმწერელის“ ნათქვამში: „იქმნა მოწევნა სრულიადისა ღმრთისა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა. აქა ჟამამდი სვიანი იყო ბრძოლასა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი, ხოლო ამიერითგან იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა... დაუდგომელ არს მინდობა სოფლისა ამისა ამოღსა“. ამის შემდეგ კ. კეკელიძე მტკიცედ განაცხადებს: „ასე და ამრიგად, აღნიშნული ფაქტების მიხედვით, ჩვენი პოემა არ შეიძლება დაწერილი იყოს უადრეს მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევისა ჩვენში. ამას გვიდასტურებს ჩვენი პოემის წმინდა ისტორიული რეალიებიც.¹ ალბათ, შეუძლებელი ჩანს მოცემული არგუმენტებით იმ აზრის გამყარება, რომ რუსთაველის თხზულება დაწერილა მონღოლებისა და ხვარაზმელების შემოსევების შემდეგ.

თუმცა, კ. კეკელიძე ერთ მომენტში თითქოს უკან იხევს და სქოლიოში ასეთ მინიშნებას გვაზიარებს: „პოემა კიდევაც რომ მივაკუთვნოთ თამარის მეფობას, 1194 წელზე ადრე ვერ დაიწერებოდა. საქმე ისაა, რომ აქ ლაპარაკია ხვარაზმშას

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1984, გვ. 152.

შესახებ, რომელსაც მთელი სპარსეთი დაუპყრია. ასე რომ, ხვარაზმი და სპარსეთი სინონიმებია თხზულებაში: „ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“; „სპარსთა ვერ ვიქმ ინდოეთისა ჭამასა“. სპარსეთში ახალი, ხვარამზთა დინასტიის დამყარებას ადგილი ჰქონდა 1194 წელს. მაშასადამე, ამაზე ადრე პოემა ვერ დაიწერებოდა. აღვნიშნავთ ამ გარემოებას იმისათვის, რომ ერთ დროს ს. კაკაბაძე ფიქრობდა, პროზაული ვერსია ჩვენი პოემისა დაწერილია 1160-1175 წლებშიო¹. კ. კეკელიძე აქ თითქოსდა სიმართლეს მიუახლოვდა: სად 1194 წელი და სად – მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევის შემდგომი პერიოდი.

კ. კეკელიძე ყურადღებას მიაქცევს „ვეფხისტყოსანში“ მოცემულ ტერმინს „ხატაეთი“, „ხატაელი“, რომელიც მონღოლთა ეპოქამდე ქართულ მწერლობაში – არც ისტორიულში, არც მხატვრულში არ მოგვეპოვებაო. ამ მხრივ კ. კეკელიძისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდოეთის ქვეყანაზე საუბარი. ინდოეთისა, რომელიც პოემაში წარმოდგენილა გაერთიანებულ, ძლევამოსილ სახელმწიფოდ. ინდოეთის მეფესთან დამოყვრებას სიხარულით ეგებება დიდი ხვარაზმშაც. მეცნიერისთვის საყურადღებოა, რომ ასეთი ძლიერებისთვის ისტორიულ ინდოეთს მიუღწევია 1227 წლიდან, რა დროსაც მოუშორებია სხვა ბატონობის უღელი „ინდოეთის წარმოდგენა ისეთ ძლიერ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, როგორც

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1984, გვ. 152.

„ვეფხისტყაოსანშია“, აღნიშნულ დროზე ადრე შეუძლებელია. მაშასადამე, ამაზე ადრე არც პოემის საბოლოოდ გაფორმებაა მოსალოდნელი“.¹ ისტორიული ინდოეთისა და „მხატვრული“ ინდოეთის ერთმანეთთან გაიგივება პოემის შექმნის თარიღის განსასაზღვრავად რამდენად შესაძლებელია, ამაზე დასკვნების გამოტანა დაკვირვებული მკითხველისთვის მიგვინდვია.

იმის დასამტკიცებლად, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თამარის მეფობაში არ უნდა იყოს დაწერილი, ის შეთხზულია თამარის გარდაცვალების შემდეგ. კ. კეკელიძეს კიდევ სხვა არგუმენტები მოაქვს. იგი სვამს კითხვას: რა მოსაზრებით უნდა დაეწერა პოეტს თამარის გარდაცვალების შემდეგ მისი „ქება“. ამ შემთხვევაში დიდ მეცნიერს „ქება“ ესმის არა როგორც პერსონალურად თამარის შესხმა, მისი ფიზიკური და სულიერი თვისებებისა, არამედ მის პიროვნებაში განსახიერებული ბრწყინვალე დროისა, რომლის სული და ხასიათი ასე რელიეფურადაა მოცემული პოემის მხატვრულ სახეებში. იგი თვლის, რომ პოემა დაწერილია ქართველი ერის ცხოვრებაში ისეთი კრიზისის დროს, როდესაც მოგონება თამარის პიროვნებისა, მისი ბრწყინვალე მეფობისა წარმოადგენდა მდგომარეობის გამოსწორება-გაუმჯობესებისკენ მოწოდებას და ამ მიმართულებით მოქმედების სტიმულს. ძველი საქართველოს ისტორიაში თამარის სახელს არასოდეს არ დაუკარგავს ასეთი მნიშვნელობა.²

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 153-154.

² იქვე, გვ. 154-155.

ამის დასადასტურებლად კ. კეკელიძე ე. წ. „ქამთაალ-მწერელის“ ენით გადმოსცემს XIII საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს საქართველოში შექმნილ უმძიმეს ვითარებას ჯერ მონღოლებისა და შემდეგ ხვარაზმელების შედეგად, პარალელურად მეცნიერს მოაქვს რუსთაველის აფორისტული გამონათქვამები, რაც თითქოსდა შთამაგონებელი უნდა ყოფილიყო დამარცხებული და დეგრადირებული ქართველებისათვის. მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თამარის სახელისა და მისი მეფობის მოგონებით ამათრახებს რუსუდანის დროისა და მისი პირადი ცხოვრების ანომალიებს. პოემას მხედველობაში აქვს რუსუდანის მეფობის დასაწყისი ხანა, ეს ხანა 1230 წელს არ უნდა სცილდებოდესო.¹

ბოლოს: „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის თარიღთან დაკავშირებით კ. კეკელიძის შეხედულებანი, რომ პოემა არ შეიძლება დაწერილი იყოს უადრეს მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევისა ჩვენში, სამეცნიერო ლიტერატურამ სავსებით სამართლიანად არ გაიზიარა იგი არ დამკვიდრდა რუსთველოლოგიაში. პოემის დაწერის თარიღის კ. კეკელიძისეულმა გარკვევამ თან გაიყოლია რუსთაველის ბიოგრაფიული მომენტებიც, თითქოს ჩვენი უდიდესი პოეტი ცხოვრობდა XIII საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე. ეს კი საფუძვლიანად დამაჯერებელმა კვლევა-ძიებამ არ დაადასტურა.

სარგის კაკაბაძე თავდაპირველად თვლიდა პოემის შეთხზვის თარიღად XIII-XV საუკუნეებს,² თუმცა შემდეგში

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 159.

² საისტორიო მოამბე, ტფ., 1924, N1.

აზრი შეიცვალა და სამართლიანად დაუბრუნდა ტრადიციულ შეხედულებებს. ასევე მოიქცა ნიკო მარიც, რომელიც ადრე პოემის შექმნის თარიღად მიიჩნევდა XIV-XV საუკუნეებს.

როგორც ალ. ბარამიძე მიუთითებს, „ვეფხისტყაოსნის“ ტრადიციული თარიღის თაობაზე არაპირდაპირი გზით ეჭვი გამოთქვა ცნობილმა ინგლისელმა ქართველოლოგმა, პროფესორმა დავით ლანგმა. ლონდონის უნივერსიტეტში წაკითხულ შესავალ ლექციაში 1965 წლის 2 ნოემბერს დავით ლანგი უთქვამს, რომ 1959 წლის 31 მაისით დათარიღებულ ერთ კერძო წერილში „ვეფხისტყაოსნის“ ჩეხურად მთარგმნელ დოქტორ იარომირ იედლიჩკას გამოუთქვამს მოსაზრება, თითქოს „ვეფხისტყაოსანი არ ეკუთვნის თამარის დროს, პოემის ავტორი არ არის შოთა რუსთაველი, ხოლო პოემის პროლოგი და ეპილოგი უფრო გვიანაა შეთხზული, ვიდრე პოემის ძირითადი ტექსტიო. მასვე იმეორებს დ. ლანგი თავის ბოლო დროის ნარკვევში, რომელიც პარიზის ქართველოლოგიურ ორგანოში გამოქვეყნდა. ენციკლოპედიური ხასიათის ცნობარშიც, – განაგრძობს ა. ბარამიძე, – რომელიც 1969 წელს გამოვიდა ლონდონში, დავით ლანგი ავითარებს თავის სკეპტიკურ შეხედულებას ვეფხისტყაოსნის თარიღის თაობაზე.¹

ამასთან დაკავშირებით, ა. ბარამიძე ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის: „იედლიჩკა იულიუს ასფალგთან ერთად აპირებდა კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომის გადამუშავებას და გერმანულ ენაზე გამოცემას.

¹ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, გვ. 12.

ამისთვის მან შესაფერისი ნებართვა თხოვა თბილისის უნივერსიტეტს (კ. კეკელიძე უკვე გარდაცვლილი იყო). მაშინდელმა რექტორმა ე. ხარაძემ და ჩვენ შევახსენეთ იედლიჩკას, რომ ქართულ ლიტერატურის ისტორიის გადამუშავების დროს, კერძოდ, რუსთველოლოგიური პრობლემების გაშუქებისათვის უნდა გაითვალისწინოს თანამედროვე მეცნიერული ვითარება, რომ კ. კეკელიძის ზოგიერთი რუსთველოლოგიური მოსაზრება საჭიროებს გადახედვას ახალი მასალების შუქზე. აღნიშნულის თაობაზე-განაგრძობს ა. ბარამიძე – ჩვენ ვრცლად ვესაუბრეთ იარომირ იედლიჩკას (ელენე მეტრეველის თანდასწრებით) პრალაში 1964 წლის აგვისტოში. იედლიჩკამ ყველა ჩვენი შენიშვნა გაიზიარა. სხვათა შორის, ჩვენთან მას არავითარი ეჭვი არ გამოუთქვამს ვეფხისტყაოსნის ავტორობისა თუ თარიღის საკითხების შესახებ. დასასრულ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ პატივცემულ დავით ლანგს თავისი საცილობელი მოსაზრებანი ვეფხისტყაოსნის საკითხებზე მხოლოდ ზოგადად აქვს გამოთქმული, ხოლო მათი დასაბუთება ჯერ არ უცდია“.¹

ნ. ნუცუბიძეს „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღად მიაჩნდა 1198-1207 წლები. პ. ინგოროყვას გამორკვევით, პოემა შექმნილია 1196-1207 წლებში. როგორც ჩანს, შ. ნუცუბიძისა და პ. ინგოროყვას მოსაზრებანი თითქმის ემთხვევა ერთმანეთს. მ. მახათაძის აზრით, პოემის დათარიღების საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელობა აქვს „ვეფხისტყაოსანში“ შემონახულ ბატალურ სცენებს, რომელთაც საქართველოში ადგილი

¹ ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი, გვ. 32-33.

ჰქონდა 1210 წლამდე. რის მიხედვითაც პოემა დაწერილი უნდა იყოს 1210-1212 წლებში.¹

იუსტ. აბულაძემ ორჯერ გამოთქვა აზრი ნაწარმოების თარიღთან დაკავშირებით. პირველად 1914 წელს. „ვეფხისტყაოსნის“ ამავე წლის გამოცემის შესავალ ნაწილში ის ამბობდა: „საგულვებელია, რომ პოემა თამარ მეფის შემდეგაც იყოს დაწერილი – მე-13 საუკუნეში, სახელდობრ, მის პირველ ნახევარში და თამარის შესახები ხანები რუსთაველის შემდეგის დროის რედაქციის ჩართული იყოს და შემცველი იყოს იმ აზრისა, რომ პოემა დაწერილია თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში. ე. ი. იმ დროს, რომელიც უწევს მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედს. მკვლევარმა აღნიშნული თვალსაზრისი გაიმეორა 1926 წელს: „დანამდვილებით შეიძლება დღესდღეობით ითქვას ისიც, რომ ჩვენს პოეტს თამარის სიკვდილის შემდეგ დაუსრულებია, ანუ, უკეთ, ჩამოუყალიბებია პოემა“.² 1922 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის სხდომაზე პ. ინგოროყვას წაუკითხავს მოხსენება, სადაც ამტკიცებდა, რომ რუსთაველს პოემა დაუწერია 1196-1206 წლებში.³

საკვირველია, რუსთველოლოგთა ის ნაწილი, რომელიც პოემის დაწერის თარიღად აღიარებდა თამარის

¹ მ. მახათაძე, სამხედრო ხელოვნება „ვეფხისტყაოსანში“, ქუთაისის პედაგოგიკური შრომ. IV, 1940, შდრ. მისივე: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისათვის, ქუთაისის პედაგოგიკური შრომ., VI, 1946.

² „ვეფხისტყაოსნის“ 1926 წლის გამოცემის შესავალი წერილი იუსტ. აბულაძისა, გვ. LXXIII.

³ გაზ. „ბახტრონი“, 1922, 3 ივლისი.

გარდაცვალების შემდგომ წლებს, რატომ არ უწევდა ანგარიშს პროლოგსა და ეპილოგში მოცემულ ცოცხალ მონაცემებს: თამარისა და მისი მეუღლის – დავით სოსლანის მოხსენიება, როგორც ქების ობიექტებისა, რაც მთავარია, ეს ორი დიდი ისტორიული პიროვნებანი პოემის დასაწყისში (პროლოგი) და დასასრულში (ეპილოგი) ცოცხლებად გამოიყურებიან. საგანგებოდ ამოვწერთ ყველა ტაეპს:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული“;

„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“;

„ვის შვენის“, – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ-შიშურისა“;

„მო, დავსხდეთ ტარიელისთვის, ცრემლი გვდის

არ-შემშრობილი“;

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“;

„ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს

სარებლად“;

„ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად“.

დამოწმებული ტაეპების ხაზგასმული ზმნები (ვაქებდეთ, მიბრძანეს, შვენის, დავსხდეთ, გვდის, ცანით, ვაქებ, მსახურებს, არის) ავტორს გამოყენებული აქვს აწმყო ანუ ახლანდელ დროში. ამით პოეტი სრულიად მკაფიოდ მიგვანიშნებს: „ვეფხისტყაოსნის“ წერის პროცესში თუ მისი დასრულებისას ჩვენი სახელოვანი ისტორიული გმირები – თამარ მეფე და დავით სოსლანი ფიზიკურად ცოცხლები არიან. ბუნებრივია, პოემა იწერება მათი დაქორწინებიდან (1189 წელი) რომელიმე მათგანის გარდაცვალებამდე. ცნობილია, რომ დავით სოსლანი აღესრულა 1207 წელს. დასკვნა ადვილი

გამოსატანია. „ვეფხისტყაოსანი“ შეთხზულია 1189-1207 წლებში. ეს თარიღი დამკვიდრდა სამართლიანად სამეცნიერო ლიტერატურაში. ფაქტიურად იგი დააკანონა ა. ბარამიძემ, რომელმაც კონკრეტულად პროლოგისა და ეპილოგის მონაცემები გაითვალისწინა და გამოიტანა სწორი დასკვნებიც.

ა. ბარამიძის შენიშვნით, ამ დათარიღებას ემთხვევა ლიტერატურის ისტორიის მონაცემებიც. რუსთაველი იცნობდა ნიზამი განჯელის პოემას „ლეილი და მაჯნუნი“, რომელიც დაიწერა 1188 წელს.¹ მეცნიერს საყურადღებოდ ესახება „ვეფხისტყაოსნის“ მინაწერის ცნობაც:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხომელსა,
აბდულმესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა,
ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-
შეუშრომელსა“.

„ამირანდარეჯანიანის“ გმირებს, – განაგრძობს ა. ბარამიძე, – იცნობს „თამარიანი“ და თამარის ისტორია („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“). „თამარიანში“ დასახელებულია ჩვენს დრომდის არმოღწეული თხზულების გმირი დილარგეთი. „აბდულმესიანის“ ქების საგანი – მანდილოსანი უექველად არის თამარ მეფე. „ვეფხისტყაოსანი“ რომ მე-12 საუკუნის გასულამდის ყოფილიყო დაწერილი, მის პერსონაჟებს „ამირანდარეჯანიანის“, „ვისრამიანისა“ და სხვა თხზულებების გმირებთან ერთად დაიმოწმებდნენ

¹ ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი, გვ. 31.

მეხოტბენი და თამარის ისტორიკოსი“.¹

ასე რომ, „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხებიდან ყველაზე უფრო გამოკვეთილად და მკაფიოდ (მაღდაუტანებლად) არის გარკვეული პოემის დაწერის თარიღი – XII საუკუნის მიწურული და XIII საუკუნის დასაწყისი ანუ 1189-1207 წლები.

¹ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, გვ. 31.

**„ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წყაპოს საკითხის
შესწავლის ისტორიიდან**

პრობლემაზე მსჯელობის დაწყებამდე ერთ გარემოებაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. მკვლევართა მხრიდან უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს „ვეფხისტყაოსნის“ „ფაბულის“ ნაცვლად ცნება „სიუჟეტის“ გამოყენებას. ერთი სიტყვით, ფაბულა და სიუჟეტი ერთნაირად გაგებულია, აღიარებულია ეს ცნებები სინონიმებად, რაც უმართებულოა. ამას პირველად რევაზ სირამემ მიაქცია ყურადღება: „ფაბულა ამბავსა ჰქვია. ეს ის ამბავია, რომელსაც მწერალი იყენებს. მას ზოგჯერ ხალხიდან იღებს, ზოგჯერ ისტორიიდან, ხშირად თვითონაც ქმნის. შემდეგ ამ მშრალ ამბავს მწერალი მხატვრულად შეასხამს ხორცს. მხატვრულად ხორცშესხმული ფაბულა სიუჟეტია. ჩვენ ხშირად ფაბულის მაგივრად სიუჟეტს ვხმარობთ, რაც არასწორია. სიუჟეტი მხატვრული სინამდვილეა, ფაბულა ჯერ კიდევ არაა მხატვრული რაობა. ხანაც ფაბულის მაგივრად შინაარსსაც ხმარობენ. ესეც შეცდომაა. შინაარსი სხვაა და ფაბულა სხვა. შინაარსი სიუჟეტზე ფართო რამაა. „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი მთელი მისი მხატვრული სამყაროა. ის მხატვრული ნაწარმოებია და მხატვრულ ნაწარმოებს შინაარსიც მხატვრული უნდა ჰქონდეს“.¹ ყველა მკვლევარი, მცირე გამონაკლისის გარდა. ფაბულის ნაცვლად ფაქტიურად სიუჟეტს ხმარობს. ამიტომაც მათი ნააზრევის მოხმობისას ქვემოთ ჩვენც მოგვიწევს მისი გამეორება. ე. ი. ფაბულის ნაცვლად სიუჟეტის დაფიქსირება.

¹ რ. სირამე, სახისმეტყველება, თბ., 1982, გვ. 190.

„ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წყაროს კვლევა-ძიება თუ მეცნიერული შესწავლა შემდეგ პრობლემებს იკრებს თავის გარშემო: პოემის პროლოგის ცნობები ფაბულის წარმომავლობაზე და მათი განსხვავებული ახსნა-განმარტებანი; ფაბულის ორიგინალობის საკითხი; მისი უცხოური წარმოშობის თეორიები; ფაბულის ფოლკლორული წარმოშობის თეორია; პოემის შინაარსის ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაცია; „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის გაუცხოებისა და შენიღბვის თეორია; პროლოგისეული „ესე ამბავი სპარსული“-ს სხვადასხვანირი, ურთიერთგამომრიცხველი კომენტარები.

აღნიშნულ პრობლემურ საკითხებზე დროთა განმავლობაში ქართველ და უცხოელ მკვლევართა მხრიდან იმდენი დაიწერა, იმდენი ზღვა მასალა დაგროვდა რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში, მათ ერთად თავი რომ მოუყარო, ვეებერთელა წიგნებად აიკინძება. ამთავითვე ვიტყვით: მოცემული პრობლემატიკის კვლევისას გამოვლინება ჰპოვა სწორი, მართებული, ჯანსაღი, მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციების ჩამოყალიბებამ, მიუღებელი, სიმართლეს რადიკალურად დაშორებული შეხედულებების განვითარებამ, ნაჩქარევი, წინდაუხედავი, ორჭოფული აზრების გამოთქმამ. ამ მიმართულებით კვლევა-ძიებას და მეცნიერული სიმართლის დადგენას თითქმის სამი საუკუნე დასჭირდა და საქმის ვითარებას ისეთი პირი უჩანს, გამორიცხული არ არის, მასზე მსჯელობა მომავალშიც გაგრძელდეს.

„ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის სადაურობით დაინტერესებას, მის გამოძიებას, ინტენსიური დაკვირვებების წარმოებას

საფუძველი მისცა და დამაინტრიგებელი ტონი შესძინა რუსთაველის სიკვდილუკარება პოემის პროლოგსა (დასაწყისი) და ეპილოგში (დასასრული) გახმოვანებულმა ტაეპებმა:

„დავჯე, რუსთველმან გავლექსე:¹ მისთვის

გულლახვარსობილი,

აქამდის ამზად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“ (7, 3-4)²

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელისხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“
(9, 1-3);

„ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად“ (1663, 2);

„ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი...
ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი“

(1664, 2, 4).

მკვლევართა ერთი ნაწილი ამ გამონათქვამებს რუსთაველს არ მიაკუთვნებს, ინტერპოლატორის ჩანართად მიიჩნევს მათ, ანუ პროლოგის ყალბ ტაეპებად: დავით კარიჭაშვილი უფრო შორს წავიდა: „პოემის წინასიტყვაობას და უკანასიტყვაობას არამც თუ საერთო არაფერი აქვს – რა თხზულების თხრობასთან, არამედ თვითონ ეს ნაწილები ცალკე არაფერს ერთიანს არ წამოადგენენ და როგორც წინასიტყვაობის, ისე უკანასიტყვაობის ტაეპები სხვადასხვა

¹ ხაზგასმა, საერთოდ, ყველგან ჩვენია – ტ. მ.

² ციტატები მოგვაქვს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის (1968-1984) მიერ გამოცემული წიგნიდან – „შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1988.

პირთაგან სხვადასხვა დროს უნდა იყვნენ დაწერილნი“.¹
დ. კარიჭაშვილს მხარი დაუჭირა და მისი უსაფუძვლო მოსაზრებები ალ. სვანიძემ უკიდურესობამდე განავითარა.²

პროლოგიდან ზემოთ ციტირებული ტაეპები, ეტყობა, ვახტანგ მეექვსეს რუსთაველის კალმის ნამოქმედრად მიაჩნდა, ამიტომაც გაუკეთა მათ კომენტარები. ეს იყო პირველი კომენტარი ფაბულის წარმომავლობასთან დაკავშირებით. ვახტანგ მეექვსე შთაგვაგონებს, რომ რუსთაველის გამონათქვამი „ესე ამბავი სპარსული“ არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით. მეფე-კომენტატორს თურმე სპარსეთში ვერსად უპოვია „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის შინაარსის შემცველი ნაწარმოები მისი არარსებობის გამო. მისი აზრით, „ესე ამბავი სპარსული“ უნდა გავიგოთ, როგორც „სპარსულის მიბამვით“ შექმნილი. ამაში იგულისხმება მწერლის ფანტაზიით შექმნილი გამონაგონი ამბები (ფაბულა) და მოქმედი გმირები, ვახტანგი გვარწმუნებს, რომ რუსთაველმა პოემა შექმნაო თამარ მეფის დავალებით:

„ეს ამბავი სპარსში არ არის: და სპარსთ კაი მელექსობა იცოდნენ: და თამარ მეფე კარგი და ძალიანი ხელმწიფე რომ იყო ვითამ ეს მაზედ მოინდომა: ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო რომე ქართლშიაც არ იყოსო: და უბძანა მის მდივანს რუსთველს ქართულის ენით კაი ლექსები თქვიო: აწ იმას ამბობს სპარსულის მიბამვით, რადგან ათქმევინა თამარ

¹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, დავით კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელი ლექსიკონით, ტფ. 1903, გვ. VIII.

² „ნოვი მირ“, 1934, გვ. 99.

მეფემ რომ სპარსთაგან ვსთარგმნეო: თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოვება. ამბავიც თვითან გააკეთა და ლექსადაც იმისთვის უბნობს, რომ სპარსის ლექსის ბაძზედ რომ სთქვა სპარსული ამბავი ქართულად ვსთარგმნეო, თამარმა „ქართულად ლექსის თქმა უბძანა, ლექსიც იმას გაუკეთებია და ამბავიც“.¹

ვახტანგ მეექვსის კომენტარს, საერთოდ, პირველთაგანმა მაგალითოდუმექვისთვალთშეხედადაშენიშნა: „ვახტანგის განცხადებებზე დაყრდნობა სასურველი არაა, რადგან, ჯერ ერთი, ჩვენ არ ვიცით, რას გულისხმობს „ამბავი“ სიტყვით იგი, სიუჟეტს თუ ფაბულას. მეორეც, უზარმაზარი სპარსული ლიტერატურის (თანაც მწიგნობრულისა და ხალხურის) ყველა ნიმუში შეუძლებელია ერთი ადამიანისათვის ისე ყოფილიყო ცნობილი, რომ მას ასეთი კატეგორიული განცხადების უფლება ჰქონოდა.“² აქვე მეცნიერი გვამცნობს სულხან-საბა ორბელიანის მოხმობით, რომ თურმე ვახტანგმა „სპარსული ზედმიწევნით არ იცოდა“. მ. თოდუა საბას სიტყვების სისწორეში დაურწმუნებია „ქილილა და დამანას“ ქართული თარგმანის დეტალურად შედარებას დედნისეულ ტექსტთან.³

¹ ვეფხისტყაოსანი 1712 წლისა, პირველი გამოცემა, აღდგენილი აკ. შანიძის მიერ, თბ., 1937.

² მ. თოდუა, ვეფხვის ნახტომი ანუ რითი სჯობს რუსთველი შექსპირსა და გოეთეს, თბ., 1994, გვ. 13-14.

³ ვაეზ ქაშიფი, ქილილა და დამანა. სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მაგალითოდუმ, თბ., 1975, გვ. 186. შდრ. მ. თოდუა, „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია, თბ., 1967.

„ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის სპარსული წარმომავლობის დასამტკიცებლად მ. თოდუა შეეცადა ვახტანგ მეექვსის, როგორც რუსთველოლოგიური მეცნიერების დამფუძნებლის, ავტორიტეტის შერყევას. მისი ზემოთ დამოწმებული თვალსაზრისები წინააღმდეგობრივია. ჯერ ერთი, რა მიხვედრა სჭირდება იმის გაცნობიერებას, რომ მეფე-კომენტატორი „ამბავში“ სწორედ ფაბულას გულისხმობდა. მეორე, სპარსულის რა ზედმიწევნითი ცოდნა იყო აუცილებელი იმის გასარკვევად – არსებობდა თუ არა სპარსეთში ისეთი ნაწარმოები, რომელიც პოემის ფაბულის წყაროდ გამოდგებოდა, ვახტანგ მეექვსე იყო სწორედ ის ადამიანი, რომელსაც შესაძლებელია სპარსული მწერლობის ყველა ნიმუში სცოდნოდა, თუნდაც ინფორმაციულ დონეზე.

ერთი სიტყვით, ვახტანგ მეექვსე იყო პირველი მკვლევარი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წყაროს შეეხო და იგი გამოაცხადა რუსთველის კუთვნილებად ანუ „ლექსიც იმას გაუკეთებია და ამბავიც“. ამით მან საფუძველი ჩაუყარა ფაბულის ორიგინალობის ფაქტორს. ეტყობა, მეფე-კომენტატორის წინამორბედთ და თანამედროვეთ აზნევადა პროლოგისეული „ესე ამბავი სპარსული“... ამიტომ გააკეთა მასზე უპირველესად აქცენტი. ამით სურდა საზოგადოებას სწორად გაეგო მისი არსი, პირდაპირი წაკითხვითა და მისი შინაარსის პირდაპირი გაგებით კი არ შემოფარგლულიყო, არამედ ღრმად ჩაწვდომოდა მის საიდუმლოს თუ რას გულისხმობდა დამოწმებული ტაეპების კონტექსტში პოეტი.

ამასთან დაკავშირებით XVII საუკუნის 80-იანი წლების

დასაწყისის ერთ ლიტერატურულ ფაქტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. როგორც ჩანს, ვახტანგ მეექვსემდე პოემის ფაბულის წარმომობილობას შეხებია არჩილ ბაგრატიონი (1647-1713) ეტყობა, მას პირდაპირი მნიშვნელობით ჰქონდა გათავისებული „ესე ამბავი სპარსული“ და პოემის წყაროდ წარმოედგინა რომელიღაც სპარსული ტექსტი. პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ერთგან ნათქვამია:

„ქართველთ ენითა მელექსე ვერ ედარების ამ ორსა,
რუსთველსა ენა რიტორსა, მეფეს ალვისა ნამორსა.
ერთმანეთს რად ვაბაასებთ? უხამს უყოფდენ ამბორსა,
სრულად იტყვიან უკლებლად ამბავსა სპარსთა ნაჭორსა“.¹

საცილობელი არ უნდა იყოს: არჩილი გამოთქმაში „ამბავსა სპარსთა ნაჭორსა“ გულისხმობს სპარსულ თხზულებას, ფანტაზიით გამონაგონ ფაბულასა და პერსონაჟებზე აგებულს. მისთვის, როგორც „მართლის თქმის“ პრინციპის დამამკვიდრებლისთვის, ამგვარი თხზულებანი მიუღებელია და, აქედან გამომდინარე, პოეტი გაბედულად შედის რუსთაველთან პოლემიკაში.

შეუძლებელია აქვე უყურადღებოდ დავტოვოთ ანტონ ბაგრატიონის „წყობილსიტყვაობაში“ შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი იამბიკო:

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის-მოყუარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყუელი სპარსთა ენის;
თუ სამ სწადოდა – ღმრთისმეტყუელიცა მაღალ;

¹ არჩილიანი, I, ა. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1937, გვ. 37.

უცხო, საკვირველ პიიტიკოს – მესტიხე;
მაგრამ ამაოდ დაშურა: საწუხ არს ესე“.¹

ამჯერად ინტერესს აღძრავს მეორე ტაეპის შესიტყვებანი: „მეტყუელი სპარსთა ენის“. სწორად შენიშნა ბ. კილანავამ, რომ აქ რუსთაველის მხრიდან სპარსული ენის ცოდნაზე კი არ არის მინიშნება არამედ „სპარსთა ენით მეტყველება“ გულისხმობს საერო მწერლობის დარგში მოღვაწეობას და არა უთუოდ „სპარსთა ნაზღაპრი“, „ნაჭორი“ ამბების გალექსვას.² ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ ამ გამოთქმაში უთუოდ პროლოგის აჩრდილი დადის: „ესე ამბავი სპარსული“... და სწორედ სპარსთა ნაზღაპრი, „ნაჭორი“ ამბების გალექსვა იგულისხმება. ასე ფიქრობდა მ. გუგუშვილიც: „ანტონისეული გამოთქმა რუსთაველის მიმართ „მეტყუელი სპარსთა ენის“ შეიძლება ვივარაუდოთ პროლოგის მე-9 სტროფის („ესე ამბავი სპარსულის“) გამოძახილი. ჩვენი ვიციტ, რომ რუსთაველს აღორძინების ხანის მწერლები სწორედ „სპარსთა ნაჭორი“ ამბების გალექსვას უსაყვედურებენ.³

უთუოდ საყურადღებოა 1892 წელს გაზეთ „ივერიაში“⁴ ეგრის (იონა მეუნარგია) მიერ გამოქვეყნებული სტატია „რა წყარო ჰქონია ხელთ რუსთაველს, როცა „ვეფხისტყაოსანი“ უწერია“. აქ იგი ავითარებს მოსაზრებას: რუსთაველს

¹ ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1980, გვ. 28.

² ბ. კილანავა, რჩეული შრომები, I, რევაზ ჩხარტიშვილის რედაქციით, თბ., 2009, გვ. 324.

³ მ. გუგუშვილი, პოლემიკა რუსთაველის გარშემო, თბ., 1966, გვ. 41.

⁴ გაზ. „ივერია“, 1892, N66, 27 მარტი.

„ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის ძირითად წყაროდ უნდა გამოეყენებინა „ბარამიანი“ ან „ბარამგულიჯანიანი“, რომლის შინაარსი ძალიან წააგავს პოემას. ონანა მდივნის ქობულოვის მიერ გალექსილი „ჩუბინ ბრძენისგან ქირმანეულის“ ნათქვამი ბარამიანი სპარსულიდან არისო გადმოღებული.

ი. მეუნარგიას მიერ დასახელებული „ონანა მდივნის ქობულოვის“ – იგივე ონანა ქობულაშვილია, ვახტანგ მეექვსის თანამედროვე. რომელიც იმავე მეფის ამაღლასთან ერთად 1724 წელს რუსეთში გადახვეწილა. მას 1726 წელს გაულექსავს „ბარამგულიჯანიანი“ ასტრახანში. ონანა „ბარამგულიჯანიანისთვის“ დართულ ანდერძში ამბობს: „ძემან კახეთის მდივნისამან და თვით მდივანმან ონანამ გავლექსე მათ მიჯნურთა სატრფიალონი ამბათ ნათქვამნი“. „ამბათ ნათქვამში“, ცხადია, თხზულების პროზაული ვერსია იგულისხმება. ალ. გვახარია წერს: „თუ ავტორის (იგულისხმება ონანა ქობულაშვილი – ტ. მ.) სიტყვებს დავუჯერებთ, უნდა ვივარაუდოთ პროზაული ტექსტისა და სპარსული დედნის არსებობა. არც ერთი, არც მეორე – ჯერჯერობით არსად ჩანს. ჩუბინ ქირმანელი, როგორც პოეტი, უცნობია სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურისთვის. უარყოფილია ცდა მისი გაიგივებისა ხაჯო ქარმანელთან“.¹

„ბარამგულიჯანიანის“ პროზაული ვარიანტის არსებობა ქართულ ენაზე საეჭვოდაა მიჩნეული.² ა. გვახარიასაც ეეჭვება,

¹ ა. გვახარია, სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი თეიმურაზ პირველის შემდეგ, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 352.

² დ. ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში, თბ., 1958, გვ. 45.

საერთოდ, ჩუბინ ქირმანელის და მისი პოემის არსებობა. იგი თვლის, რომ ლიტერატურულ ფიქციასთან უნდა გვექონდეს საქმე.¹ ამ მოსაზრებათა და ეჭვების გაზიარება გაჭირდება, ვინაიდან ამით უგულებლვყოფთ ონანასვე ცნობას: „გავლექსე მათ მიჯნურთა (ბარამისა და გულიჯანის – ტ. მ.) სატრფიალონი ამბით ნათქვამნი“. კვლავ გავიმეორებთ: ამით მინიშნებულია უშუალოდ პროზაული ტექსტის არსებობის შესახებ. ჩვენ კი რა უფლებით უარვყოფთ მას. სხვა საკითხია, რომ მისი კვალი გამქრალია სპარსულ და ქართულ ლიტერატურაში. ამდენად, ონანა ქობულაშვილის ნათქვამს სრული ნდობა უნდა გამოვუცხადოთ.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ონანა ქობულაშვილის მიერ გალექსილი „ბარამგულიჯანიანიდან“ შემდეგი სიტყვები:

„თქვიან: ბარამ გავს ტარიელს, არს ავთანდილის დარია,
გულიჯან ნესტან-დარეჯანს, თინათინ მონაგვარია“;
„შეიპყრა, სცემდა უწყალოდ, იგივე დაშვრა, დავარდა,
ვახსენოთ ნესტან-დარეჯან, ვითა მას უყო დავარ და“.

უპირველეს ყურადღებას იქცევს დამოწმებული სტროფიდან ხაზგასმული სიტყვა „თქვიან“. გამლექსავი უშუალოდ, პირდაპირ გვამცნობს, რომ თურმე ონანა ქობულაშვილამდე არსებობდა აზრი და ამას აფიქსირებდნენ („თქვიან“) კიდევ, რომ „ბარამგულიჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი წააგავდა ერთმანეთს, აქ, ცხადია, ნაგულისხმევია პროზაული ტექსტი, ვიდრე მას გალექსავდა ონანა მდივანი. ამით ეს უკანასკნელი უშუალოდ ადასტურებს „ბარამგულიჯანიანის“

¹ ა. გვახარიას დასახ. ნაშრომი, გვ. 352.

პროზაული ვერსიის მის ხელთ ქონას. სწორედ ამიტომ გააკეთა მასზე აქცენტი იონა მეუნარგიამ, როცა „ვეფხისტყაოსნის“ წყაროდ აღნიშნული ნაწარმოები აღიარა. კ. კეკელიძემაც პირველთაგანმა შენიშნა იონა მეუნარგიას თვალსაზრისი, რომელსაც გაცნობია გაზ. „ივერიაში“.¹ აღსანიშნავია, რომ შემდგომში იონა მეუნარგიას აზრს მხარი დაუჭირა იუსტინე აბულაძემ.²

მ. თოდუამ „ბარამგულიჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევისას იონა მეუნარგიას აჩრდილი გამოიხმო: „რითაც ეს ორი ნაწარმოები ერთმანეთს ჰგავს, ეს სრულად არა, მაგრამ დამაჯერებლად აქვს გადმოცემული ი. მეუნარგიას, სპეციალისტთა მიერ რატომღაც უგულვებელყოფილ სტატიაში, რომელიც თავის დროზე „ივერიაში“ (1892, N66) დაიბეჭდა. ი. მეუნარგია ფიქრობდა: შეიძლება ის სპარსული წყარო, რომელიც რუსთველმა გამოიყენა, სწორედ „ბარამგულიჯანიანი“ იყოსო“.³ ამ საკითხს ეს ცნობილი მეცნიერი და სპარსოლოგი უფრო ჩაულრმავდა. „ბარამგულიჯანიანის“ შინაარსის „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსთან შედარებისას გამოარკვია, მსგავსებასთან ერთად, განმასხვავებელი დეტალები. მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით გავიმეორებთ „ბარამგულიჯანიანის“ მოკლე შინაარსს.

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 417.

² იუსტ. აბულაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, შესავალი წიგნისა: შოთა რუსთაველი-ვეფხისტყაოსანი, ი. აბულაძის რედაქტორობით, ტფ., 1914.

³ მ. თოდუა, ვეფხისტყაოსნის ნახტომი, გვ. 68.

„იყო ჩინეთს ხელმწიფე ჯონშერი, განდიდებული, უხვი, სიმდაბლით მაღალი, მდიდარი, თვით მოსამართლე წყალობით, ძალგულიანი.

მეფეს სხვა ძე არ ესვა, გარდა ერთი ასულისა, რომელსაც სახელად გულიჯანი ერქვა და თავისი მშვენიერებით შვიდსავე მნათობს აზნელებდა.

ჯონშერს შვილად აეყვანა და გაეზარდა ვინმე ბარამი, ჩინელთა მეფის საგვარეულოს წევრი, მოხდენილი ვაჟკაცი და სწორუპოვარი გოლიათი. მას შემდეგ სპასალარობა მისცა.

ზაფხულის დამდეგს მეფის ოჯახი ქალაქიდან საზაფხულო ადგილს გადადიოდა, ბარამიც მას მიჰყვებოდა. უცბად ამოვარდა ქარი და კუბოს, რომელშიც გულიჯანი იჯდა, თავსახური ახადა. ბარამმა და ქალმა ერთმანეთი დაინახეს და შეიყვარეს. ერთხელ, როდესაც მოწყენილი ბარამი თავის საწოლში იყო, შემოვიდა გულიჯანის ქალი და მიაღწია ბარამს წერილი, რომელშიც ის მას სიყვარულს უცხადებდა. ბარამმაც გრძნობებით აღსავსე საპასუხო წერილი მისწერა.

ბოლოს ისიც მოხერხდა, რომ ბარამი ჩუმად შევიდა ქალის საწოლ ოთახში, სადაც გულიჯანმა და მან ერთმანეთს შეჰფიცეს მუდმივი, განუყრელი სიყვარული.

განშორებას ვეღარ იტანდა ბარამი, ის გაყვითლდა, ჩამოხმა და ლოგინად ჩავარდა. მეფე-დედოფალი მეტად შეწუხებული იყვნენ. მოიწვიეს მკურნალი, მაგრამ ვერა არგეს რა. ბოლოს გამოჩნდა ერთი მესტროლაბე, რომელიც მიხვდა, რომ ბარამს სწავდა გულიჯანის მიჯნურობის ცეცხლი. მან მეფეს გამოაცემინა ბრძანება, რომ ბარამთან მივიდოდნენ

ყველანი, ვინც კი არის სასახლეში, სხვებთან ერთად ის ინახულა გულიჯანმაც. მისი მოსვლა და ნახვა გამკურნებელ წამლად შეექმნა ბარამს, მაგრამ მესტროლაბემ შესახედავად მაინც დააღვინა რაღაც წამალი.

ბარამის განკურნების შემდეგ გახარებულმა ჯონშერმა დიდი ზეიმი მოაწყო, რომელზედაც ბარამი და გულიჯანი პირისპირ ისხდნენ და ერმანეთის ცქერით ტკბებოდნენ. მათი სიყვარული, სხვებთან ერთად, მეფემაც შენიშნა, ის მეტად შეწუხდა, არ უნდოდა, რომ შვილივით გაზრდილ ბარამს მისი ქალი ცოლად შეერთო. მეფემ მოიწვია ვეზირთა თათბირი, რომელზედაც გადაწყდა ბარამის შეპყრობა. მეფემ საშინლად სცემა თავის ქალს და შეუდგა მზადებას ბარამის დასაჭერად.

ბარამმა რომ გაიგო ეს, დატოვა ჩინეთი და გაიჭრა უდაბნოდ და ველად. მთელი წელიწადი დახეტიალობს იგი ადგილიდან ადგილას, ტირის, მოთქვამს, საჩივრით მიმართავს ხოლმე შვიდ მნათობს. ბოლოს შედის ერთ მშვენიერ ბაღში, სადაც ის თვალს ვერ აშორებს მშვენიერ ყვავილებს. განსაკუთრებით ვარდს, რომელიც მას სატრფოს, გულიჯანს, აგონებს. ის აქ ისმენს ვარდისა და ბულბულის სამიჯნურო საუბარს. გამოელაპარაკება ბულბულს, რომელიც მას ვარდისადმი ტრფობას დასწამებს და საყვედურს ეუბნება, რად მეცილებიო. ბარამი ანუგეშებს მას, რომ უსაფუძვლოა მისი ეჭვები. მას საკუთარი სატრფო ჰყავს, რომელიც განგებამ მოაშორა. როდესაც ყვავილები დაჭკნა, ბარამმა დატოვა წალკოტი და სხვა გზას გაუდგა. მივიდა ზღვის პირას, სადაც შეხვდნენ შეშინებული ვაჭრები, რომელთაც არ იცოდნენ, რა

ექნათ, ვინაიდან ზღვაზე მეკობრეები მგზავრებს ძარცვად-
დნენ. ბარამი გაუძღვა მათ წინ და მეკობრეები ამოწყვიტა.
ვაჭართა მეთაური, სედრაქი, მას ქებას შეახამს და საჭურჭლე-
საც აძლევს, მაგრამ ბარამი არ აიღებს და მიდის თავის გზით.

ბალხეთის ქვეყანაში ბარამი შეხვდა აქაური მეფის ნარი-
მანის სპასალარს მილადს და უამბო მას თავისი თავგადა-
სავალი. მათ ერთმანეთი მოეწონათ, დამეგობრდნენ,
დამძობილდნენ და ბოლოს ნარიმანთანაც გამოცხადნენ.
ნარიმანმა ბარამის ვინაობა რომ გაიგო, დიდი თანაგრძნობა
გამოუცხადა და თავისი ჯარით, მასთან ერთად, ჩინეთისკენ
გაილაშქრა ბარამის დასახმარებლად.

გზაზე მათ შემოეგებათ ჯონშერის ვეზირი ბარზამი,
რომლისგანაც გაიგეს ჯონშერის სიკვდილი და ტახტის
უპატრონოდ დარჩენა, ვინაიდან გულიჯანი უარს ამბობდა
გამეფებაზე, სანამ ბარამი მოძებნილი არ იქნებოდა, მეც იმის,
ბარამის, სამებრად ვარ წამოსულიო, – მოახსენა მათ ბარზამმა.
ბარამს კიდევაც ეწყინა ეს ამბავი, კიდევაც გაუხარდა. ვინა-
იდან მას შესაძლებლობა ეძლეოდა, სისხლის დაუღვრე-
ლად მიეღწია მიზნისთვის. ბარზამის საშუალებით ბარამმა
შეატყობინა ჩინეთსა და გულიჯანს თავისი დაბრუნება.
ჩინელები დიდი ამბით მიეგებნენ მას და ნარიმანს. ბარამმა
შეირთო გულიჯანი და ჩინეთის მეფე გახდა, ბრძნულად და
ბედნიერად იმეფა 150 წელიწადი და მერე გარდაიცვალა.

„ვეფხისტყაოსნის“ საფუძვლიანად მცოდნე მკითხველს
არ გაუჭირდება „ბარამ გულიჯანიანის“ შინაარსთან ბევრი
საერთოსა და მსგავსების პოვნა, მაგრამ არის განმასხვავებელი

დეტალებიც, რომელზეც გაამახვილა ყურადღება „ვეფხვის ნახტომის“ ავტორმა. ჩვენც, ინტერესის გაზრდის მიზნით, გავიმეორებთ ზოგიერთ მათგანს, თანაც შემოკლებით.

1. ბარამი თითქოს ტარიელის მსგავსადაა ველად გაჭრილი, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი მსგავსებაა. ტარიელი ნესტანის საძებნელად გაიჭრა ველად. ბარამი კი სატრფოს კი არ ეძებს (მან კარგად იცის, სადაა იგი), არამედ მისი სიყვარულით გამოწვეული სიშმაგის გამოა ველად თუ უდაბნოში გაჭრილი. ამით კი ბარამის სახე პირწმინდად იმეორებს მაჯუნის ტიპის შეყვარებულებს, რომელიც ხშირად გვხვდება აღმოსავლურ მწერლობაში.

2. „ვეფხვისტყაოსანი“ მთავრდება ნესტან-ტარიელისა და თინათინ-ავთანდილის ქორწილით, „ბარამგულიჯანიანი“ აქაც არ ჰგავს რუსთველის პოემას. ბარამსა და გულიჯანს ყოლებათ შვილები, რომელთა ზეობითაც ისინი ხარობენ.

3. ბარამს მარტო ერთი სატრფო არა ჰყავს. იგი „დღე ხუთი მნათობებშიგან განისვენებდა მზეერთა“, „ნადიმი ვთქუა პირმთვარეთა, იგ უჭვრეტდა ლამაზ პირებს“.

4. „ბარამგულიჯანიანი“ სპარსულ ლიტერატურულ ტრადიციებს უკავშირდება, რადგან აქ, „ვეფხვისტყაოსნის“ გარდა, მოთხრობილია სპარსული რომანებიც.

მ. თოდუას მიხედვით, „ბათირ-არსლანის“ ამბავს ჰგავს არა მარტო „ვეფხვისტყაოსანი“, არამედ „ბარამგულიჯანიანის“ ფაბულაც. მეცნიერი მკითხველს შეახსენებს, რომ 1938 წელს უზბეკმა მეცნიერმა ა. შარაფუტდინოვმა გამოაქვეყნა უზბეკური ფოლკლორის ორი ნიმუში, როგორც „ვეფხვისტყა-

ოსნის“ ამბის გენეზისისთვის საინტერესო მასალა: „ბათირ-არსლანი“ და „ვეფხისტყაოსნის“ იულდაშევისეული ვერსია (ვერსიები ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა კ. ჭიჭინაძემ). მ. თოდუას უკვირს, თუ რატომ არ შეხვდა რუსთველოლოგია სათანადო ინტერესით ა. შარაფუტდინოვის პუბლიკაციას: „ბათირ-არსლანი“ არც იქნა სათვალავში მიღებული, იულდაშევისეული ვერსია კი, რომელიც აყინისავე თქმით, მას ახალგაზრდობაში გაეგონა და მერე გაელექსა, დეტალურად იქნა გარჩეული და უარყოფილი¹... რადგან მას აშკარად ემჩნეოდა, რომ ეს ესაა განეცადა „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა.²

მ. თოდუას დაინტერესება გამოიწვია „ბათირ-არსლანმა“, თავდაპირველად მისი მოკლე შინაარსი გადმოუცია კ. ჭიჭინაძისეული პუბლიკაციით:

„ეგვიპტეში ცხოვრობდა ერთი მეფე. იგი ფრიად მდიდარი იყო. ორმოცდაათი წელი ისე შეუსრულდა, რომ შვილები არა ჰყვანდა. ამის გამო დიდი დოვლათი და ქონება მეფეს ნამდვილ ბედნიერებას ვერ ანიჭებდა. მას ჰყავდა ერთი ვეზირი, ბრძენი, როგორც პლატონი, მაგრამ ვეზირიც უშვილო იყო. ვარსკვლავთმრიცხველებმა ურჩიეს მეფეს ფრაკვის (ფრანგების) მეფის ასულის შერთვა, ხოლო ვეზირს სომხეთის მეფის ასულისა. დაქორწინების შემდეგ მეფეს შეეძინა ქალი, ვეზირს კი – ქალ-ვაჟი. მეფემ და ვეზირმა დანიშნეს თავიანთი ბავშვები: მეფემ აღუთქვა ვეზირს, რომ თავის ქალს მის ვაჟს მიათხოვებდა, როდესაც ისინი სრულწლოვანი გახდებოდნენ.

¹ მ. თოდუა, ვეფხვის ნახტომი, გვ. 60.

² ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1952, გვ. 107.

ბავშვები ერთ წრეში იზრდებიან. ისინი ყოველგვარ ნიჭსა და სიკეთეს იჩენენ. როდესაც ვეზირის ვაჟი ბახრამი თექვსმეტი წლის შესრულდა, იგი უკვე სამხედრო ხელოვნებას კარგად იცნობდა. ასპარეზზე, გამოჩენილ მეომრებთან შეჯიბრების დროს იგი ყოველთვის გამარჯვებული გამოდის და მალე სახელგანთქმული გმირი ხდება თავის მეფის კარზე.

ბახრამის მამა ადრე მოკვდა. ის ვერ მოესწრო შვილის ღვაწლმოსილებას და ცოლის შერთვას. მეფემ გასტეხა პირობა და გადაწყვიტა, თავისი ქალი აფრიკის მეფის ძისთვის მიეთხოვებინა. ამ განზრახვით ის იწვევს მეფის ვაჟს თავის კარზე.

ბახრამი გაბრაზდა, შეუთანხმდა თავის დანიშნულს (მეფის ასულს) და დას, შეიერთა ოთხმოცდაათი ერთგული მეომარი და ეგვიპტიდან გაიქცნენ. რამდენიმე დღეს შეუსვენებლივ იმგზავრეს, ბოლოს მიადგნენ ერთ უდაბნოს და იქ ღრმად დაიძინეს.

გაქცევის ამბავი მოახსენეს მეფეს, რომელიც გაფითრდა და მოითხოვა გაქცეულთა აღმოჩენა. ერთმა ჯადოსანმა აღუთქვა მეფეს, რომ იხმარს ყოველგვარ საშუალებას და აღმოაჩენს ბახრამს, მის მეომრებს და მეფის ასულს. ჯადოსანმა მიაღწია უდაბნომდე, შევიდა მეფის ასულის კარავში და აყნოსებინა ისეთი წამალი, რომელმაც იგი ხანგრძლივ დააძინა. რის შემდეგაც ჯადოსანმა მოახერხა მისი მიყვანა მეფის დარბაზში. მეფემ უბრძანა თავის ქალს, გაჰყოლოდა ცოლად მეფისწულს, მაგრამ ქალმა გადაჭრით იუარა.

მეფემ ვერ აიტანა თავისი ასულის ამგვარი ქცევა და

უბრძანა მოხელეებს – ჩაეკეტათ იგი სკივრში და მდინარეში ჩაეშვათ. ამის შემდეგ გადაწყვიტეს, აფრიკელ მეფისწულს ბახრამის და მიათხოვონ, მაგრამ ისიც უარს აცხადებს, ამის გამო საპყრობილეში მოათავსებენ.

ბახრამმა მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო მისი დანიშნულისა და დის გატაცება და მიხვდა, რომ ეს თავის მეფის მოწყობილი საქმე იყო. დისა და სატრფოს უკან დაბრუნების მიზნით იგი გაილაშქრებს თავისი ოთხმოცდაათი მეომრითურთ მეფის წინააღმდეგ. ბრძოლის ველზე ბახრამმა სასტიკად დაამარცხა ეგვიპტის მეფის ჯარი, ბევრი მათგანი გაწყვიტა. სრული გამარჯვება თითქმის ბახრამის მხარეზე იყო, მაგრამ ამ დროს აცნობეს, რომ მისი სატრფო სკივრში მოათავსეს და მდინარეში ჩაუშვესო. ამ საშინელი ამბის გამგონე ბახრამმა მიაწება თავი ბრძოლას და გაიჭრა საყვარლის სამეხნელად.

ემიეს თვეობით, წლობით, მოიმოქმედეს მრავალი გმირობა, მაგრამ მაინც დაკარგული მიჯნური ვერსად აღმოაჩინეს. ბახრამს ბევრი მეომარი დაეღუპა მძიმე მოგზაურობის დროს. დანარჩენები გაათავისუფლა და მარტომ განაგრძო საყვარლის ძებნა. დიდი ხნის შემდეგ, როდესაც გადალახა მან მთები, მდინარეები და ველები, ერთი ზღვის კიდეს მიადგა. არ იცოდა თუ როგორ გადასულიყო ზღვის მეორე მხარეს. მწარედ ჩაფიქრდა. ამ დროს შემოეყარა სავაჭრო ხომალდი ვაჭრებითურთ. ბახრამმა არ აგრძნობინა ვაჭრებს, რომ ის წარჩინებული პირია. გაეცნო როგორც მგზავრი და გასწია მათთან ერთად. ხომალდზე ბახრამი დაწვრილებით

გებულობს ვაჭრების ნაამბობიდან თუ რა მოხდა, როგორ ჩასვეს მისი საყვარელი სკივრში და როგორ ჩაუშვეს მდინარეში, როგორ სტანჯავენ საპყრობილეში მის დას და აიძულებენ, ცოლად გაჰყვეს აფრიკელ მეფისწულს. ვაჭრებმა დაუმატეს, რომ ბახრამის სატრფო ხელში ჩაუვარდა საბერძნეთის მეფისწულს, მაგრამ დევებმა, რომლებიც კავკასიის მთებში ცხოვრობენ, მოკლეს საბერძნეთის მეფისწული და გაიტაცეს მეფის ასული.

გზაზე ხომალდს უბედურება შეემთხვა: წინ შეეყარა ვეშაპი, რომელმაც კინალამ გადააბრუნა იგი. მაშინ ბახრამმა ვაჟკაცურად გაუგმირა ვეშაპს თვალები ისრით და შემდეგ ხმლით აკლწა. ვაჭრები ეხვეწებიან ბახრამს, ბოლომდე დარჩეს მათთან და იყოს მათი მეგობარი. მაგრამ ის უარს აცხადებს და ერთ ნავსადგურში შორდება მათ, რათა განაგრძოს დაკარგული სატრფოს ძებნა.

იგი დიდხანს დაემეხა დევებს, მაგრამ ვერ უპოვია. ებრძვის მხეცებს, ურჩხულებს, მან ტყავი გაადრო ვეფხვს და მოიხურა იგი. მაშინ ხალხმა უწოდა მას ბატირ-არსლანი („ვეფხ-გმირი“). ბატირ-არსლანი ცხოვრობს მთებსა და გამოქვაბულებში. ზოგჯერ ცხენზე მჯდარი ველებს მოივლის. მისი დანახვა აკრთობს სავაჭრო ქარავნებს, მაგრამ ბახრამს არავისთან არაფერი ესაქმება.

ლაშქარი, რომელიც ხვარაზმიდან საფრანგეთს მიემგზავრება, გზაზე შეეყრება ვეფხის ტყავით მოსილ გმირს. ხვარაზმმა უბრძანებს თავის მეგობრებს, მიჰგვარონ გმირი ცოცხლად, მაგრამ ბატირ-არსლანი შეებრძოლება მეომრებს და თავს დააღწევს ხვარაზმელებს.

უშიშარი გმირის ამბავი ყველგან გავრცელდა. ეს ამბავი მიაღწევს ირანის მეფისწულის ყურამდე. ირანელი მეფისწულიც სახელგანთქმული გმირია. იგი დაითანხმებს მამას, მონახოს და ცოცხალი მიჰგვაროს გმირი. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ ის წააწყდება გმირის კვალს. კვალი გვიჩვენებს, რომ იგი ცხოვრობს მხეცების თავშესაფარ გამოქვაბულში. ირანელ მეფისწულს თავს დაესხმის ურჩხული აქარი. იგი შეებრძოლება და მოკლავს აქარს. ამ ბრძოლას შორიდან თვალს ადევნებს ბატირ-არსლანი. მას აღტაცებაში მოჰყავს უცნობი გმირის ვაჟკაცობა და მოისურვებს მასთან დამეგობრებას. ისინი დამეგობრდებიან კიდეც. ბატირ-არსლანი და ირანელი მეფისწული მოუთხოვრებენ ერთმანეთს თავიანთ ამბავს.

მეფისწული თხოვს ბატირ-არსლანს, წავიდეს მასთან ერთად ირანში. ბახრამი არ დათანხმდება. მაშინ მეფისწული დაპირდება მეფის ასულისა და დევების ადგილსამყოფლის მონახვას და გამოეთხოვება. ირანელი მეფისწული ბრუნდება სამშობლოში და უამბობს მამას თავის თავგადასავალს, თანაც ეუბნება, რომ საჭიროა დაეხმაროს იგი მეგობარს დაკარგული დანიშნულის მოძებნაში. მეფე იწონებს და მხარს უჭერს უფლისწულის ნათქვამს.

მეფე ამ საქმეში დახმარების აღმოსაჩენად ასახელებს თავის დას. დალჯან-ნარს. მეფისწული გაემართება დალჯან-ნართან. გზაზე იგი მოხვდება ქაჯების (ემმაკების) წრეში. ქაჯებს უნდათ შერთონ მას ცოლად ძაღლისთავიანი ქალწული და ამის შემდეგ თავიანთი ქვეყნის მეფედ გამო-

აცხადონ. მეფისწული არწივის დახმარებით დაიძვრენ თავს ქაჯების ხელიდან და გაემართება დალჯან-ნარისკენ. უამბობს დალჯან-ნარს მისვლის მიზეზს. დალჯან-ნარი გზავნის მონას იმის გასაგებად, თუ სად იმყოფებიან მეფის ასული და დევები. მონა მიდის კავკასიის მთებში, პოულობს დევების რკინის ციხე-სიმაგრეს, ნახულობს იქ მეფის ასულს და უამბობს მისვლის მიზეზს.

ქალმა რომ შეიტყო, ბახრამი ცოცხალიაო, უგზავნის ბეჭედს და წერილს. მონა ამ ნივთებს დალჯან-ნარს მიუტანს, დალჯან-ნარი კი მეფისწულს გადასცემს, მოუთხრობს დაკარგული ქალის მდგომარეობას და მისცემს სულიემან-სურმას, მეფისწული გაემგზავრება ბახრამთან და გადასცემს წერილს, ასევე ბეჭედს.

როდესაც ბახრამი შეიტყობს, რომ მისი საყვარელი ცოცხალია, გამხნევდება და სასწრაფოდ გაემართება მის დასახსნელად, მეფისწული სთხოვს მას ჯერ ირანში გამგზავრებას და იქიდან ჯარით დევების ციხეზე გალაშქრებას. მაგრამ იგი არ თანხმდება და ეტყვის: „გმირის ლაშქარი მისი ძალაა, თვითონ კი სარდალია“. მახრამი და მეფისწული გაემართებიან დევების ციხისკენ, მაგრამ ვერაფერს ხედავენ. მაშინ ისინი წაისმენ თვალებზე სულიემან-სურმას, რის შედეგადაც შეამჩნევენ დევების ციხეს: ციხის კარს ათასი მეომარი იცავს.

გმირები თათბირობენ, შემდეგ ესვრიან ისრებს თვალებში დევებს და ადვილად დაამარცხებენ დაბრმავებულებს. შევლენ რკინის ციხეში. იქ ისინი ეომებიან დევების მეფეს,

მის ძმას და დაამარცხებენ კიდეც. იპოვიან მეფის ასულს და გაათავისუფლებენ. გმირები წაიყვანენ ქალს. გზაში შეიტყობენ, რომ ეგვიპტე აფრიკელებს დაუპყრიათ, ეგვიპტის მეფე მოუკლავთ და აფრიკის მეფისწული გამეფებულა მის მაგიერ. მთელი ეგვიპტე გაპარტახებულა.

ბახრამი და ირანელი მეფისწული წაიყვანენ ლაშქარს ირანიდან, მივლენ ეგვიპტეში და დაამარცხებენ აფრიკელებს. ბახრამის დას საპყრობილიდან გაათავისუფლებენ. ბახრამი დაიჭერს ეგვიპტის ტახტს. მთელი ქვეყანა იხდის არაჩვეულებრივ ქორწილს. ბახრამი თავის დას ცოლად მიათხოვებს ირანელ მეფისწულს და გაისტუმრებს ირანს. ბახრამი და მისი საყვარელი ცოლი მთელი ხალხის საკეთილდღეოდ მეფობენ და ბედნიერად დაასრულებენ თავიანთ სიცოცხლეს.¹

„ბათირ-არსლანის“ შინაარსის გადმოცემის დასრულები-სას მ. თოდუა იმთავითვე შენიშნავს: „განა შეიძლება ასეთი შინაარსის მქონე თხზულების იგნორირება „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის კვლევის დროს?“² ნაწარმოების შინაარსის იგნორირებაში მკვლევარი გულისხმობს ა. ბარამიძის გამო-ნათქვამს: „პატირ-არსლანის“ სიუჟეტი საერთოდ დაშო-რებულია „ვეფხისტყაოსნიდან“.³

მ. თოდუას მიხედვით, „ბათირ-არსლანის“ ამბავი გამო-ჩანს ქართულ „ბარამგულიჯანიანში“, რომელიც ონანა მდივანს ქ. ასტრახანში შეუთხზავს 1726 წელს. „ბათირ-არს-

¹ „ვეფხისტყაოსნის“ უზბეკური ვერსიები, ჟურნ. „მნათობი“, 1938, N10, გვ. 135.

² მ. თოდუა, ვეფხვის ნახტომი, გვ. 64.

³ ა. ბარამიძე, ნარკვევები, III, გვ. 107.

ლანის“ ამბავი ჰგავს არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“, არამედ „ბარამგულიჯანიანის“ ფაბულასაც“. ონანა ქობულაშვილის „ბარამგულიჯანიანი“ ძალზე ახლოს რომ დგას „ვეფხისტყაოსანთან“ და პოემის მთელ რიგ ეპიზოდებს იმეორებს, მაგალითი თოდუამდე არაერთი მეცნიერის მიერ იქნა შესწავლილი. მხედველობაში გვაქვს ე. თაყაიშვილის,¹ კ. კეკელიძის,² დ. ბრეგამის,³ მ. გუგუშვილის⁴ მიერ წარმოებული დაკვირვებები. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოვყოფდით მ. გუგუშვილის ნაშრომს „ბარამგულიჯანიანი“.

მ. გუგუშვილმა თავის ვრცელ ნარკვევში „ვეფხისტყაოსნისა“ და „ბარამგულიჯანიანის მთელი ტექსტის შინაარსის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნათლად წარმოაჩინა მსგავსება და განსხვავება ამ ორ თხზულებას შორის. ეს ეხება არა მხოლოდ შინაარსს, არამედ გარეგან ფორმასაც (თხზულების თავებად დაყოფა, ეპისტოლარულ ხერხი, შაირის მეტრი: მზამზარეული რითმები და ფრაზები, ლექსიკა, პოეტური სამკაულები, მეტაფორული აზროვნება, ეპითეტურენოვანი მეტყველება, სინონიმურ სიტყვათა გამეორება, მხატვრული ჩამოთვლის ხერხი, ფრაზეოლოგია): ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ მ. გუგუშვილი მიიყვანა დასკვნამდე, რომ „ბარამგულიჯანიანი“ წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ თითქმის გამეორებას“.⁵ აქვე უნდა გავიხსენოთ კ. კეკელიძის ნათქვამი:

¹ ე. თაყაიშვილი, ხელნაწერების აღწერილობა (რუს), I, გვ. 558-582.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 417.

³ დ. ბრეგამე, ქართველი მწერლები რუსეთში, I, თბ., 1958, გვ. 40-60.

⁴ მ. გუგუშვილი, პოლემიკა რუსთაველის გარშემო, თბ., 1966, გვ. 152-180.

⁵ მ. გუგუშვილი, პოლემიკა რუსთაველის გარშემო, თბ., 1966, გვ. 177.

„რაც უბრალო და ტიპური სპარსული მოთხრობა ბრამისა და გულიჯანის მიჯნურობის შესახებ ონანას გადაუკეთებია „ვეფხისტყაოსნის“ ყაიდაზე“.¹ დ. ბრეგვაძესაც მოვუსმინოთ: „იგი (იგულისხმება „ბარამგულიჯანიანი“ – ტ. მ.) „უბრალო“ მოთხრობა უნდა ყოფილიყო, რადგანაც პოემაში ონანას უამრავი ქართული ამბავი შეუტანია შემდეგ“.²

ისიც არ უნდა გადაგვიწყდეს, რომ პროზაულ თარგმანად, რომელიც ონანას გაულებსავს, სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხანს მიაჩნდათ „ბარამგულანდამიანი“.³ მ. გუგუშვილი აფიქსირებს იუსტ. აბულაძის თვალსაზრისს, რომელიც გამოთქმულია 1910 წელს, რომ „ვეფხისტყაოსნისა“ და ბარამგულიჯანიანის“ სიუჟეტი არსებითად არ განირჩევა ერთმანეთისაგან და ორივე ეს თხზულება მომდინარეობსო საერთო წყაროდან: „თუმცა რუსთაველს სპარსული სიუჟეტით უსარგებლია. მაგრამ ეს სიუჟეტი არ ყოფილა მაღალპოეტური ქმნილება. რუსთაველის გენიას იგი შეუცვლია, გარდაუქმნია და პოეტური შემოქმედების ობოლ მარგალიტად უქცევია“.⁴

ე. თაყაიშვილი არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას: „რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ „ბარამგულიჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტები ერთმანეთს ჰგავს, ეს მსგავსება, ჩემი ფიქრით, უნდა აიხსნებოდეს თვით „ვეფხისტყაოსნის“

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 417.

² დ. ბრეგვაძე, ქართველი მწერლები რუსეთში, I, გვ. 46.

³ ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში, გვ. 10.

⁴ იუსტ. აბულაძე, XII საუკუნის ქართული საერო მწერლობის ხასიათი და რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, „ძველი საქართველო“, 1913-1914, ტ. III, ტფ., 1910, გვ. 45.

ძლიერი გავლენით „ბარამგულიჯანიანის“ ავტორზე და არა იმით, ვითომც ორისავე თხზულების წყარო ერთი ყოფილიყო“.¹

მ. გუგუშვილმა „ბარამგულიჯანიანის“ ზედმიწევნით შესწავლის საფუძველზე გამოიტანა მეტად ანგარიშგასაწევი დასკვნა: „ახლა სადავო არ არის, რომ „ბარამგულიჯანიანის“ გავლენით „ვეფხისტყაოსანი“ ვერ შეიქმნებოდა. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ საეჭვოა „ბარამგულიჯანიანის“ პროზაული ვერსიის ვარაუდიც. შესაძლებლად მიგვაჩნია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ონანას რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიბაძვით შეუქმნია რომანტიკული ხასიათის პოემა“.² ხაზგასასმელია: „ბარამგულიჯანიანის“ სპარსული დედნისა და პროზაული ვერსიის კვალი არსად ჩანს. ეს კიდევ უფრო ამაგრებს გ. გუგუშვილის ვარაუდს.

დავუბრუნდეთ მ. თოდუას მსჯელობის განხილვას. საკითხთან დაკავშირებით. მეცნიერს ახსენდება ნიზამი განჯელის „ლეილმაჯნუნიანი“. იგი მიუთითებს ნიზამისა და რუსთაველის პოემების შინაარსობრივ მსგავსებაზე. მ. თოდუა არ ივიწყებს ამ მიმართულებით კ. კეკელიძის მიერ ჩატარებულისამუშაოსშედეგებს.³ ვფიქრობთ, მკითხველისთვის მოსაწყენი არ იქნება ჯერ კიდევ 1936 წელს კ. კეკელიძის მიერ მოცემული სათანადო პარალელების გახსენება: 1. ყაისის მამა და როსტევეანი უშვილონი არიან და შვილს (მეს) ნატრო-

¹ იუსტ. აბულაძე, XII საუკუნის ქართული საერო მწერლობის ხასიათი და რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, „ძველი საქართველო“, 1913-1914, ტ. III, ტფ., 1910, გვ. 46.

² მ. გუგუშვილი, პოლემიკა რუსთაველის გარშემო, გვ. 178.

³ კ. კეკელიძე, ეტიუდები, VIII, გვ. 143-162.

ბენ; 2. ლეილისა და მაჯნუნის, ასევე ტარიელ-ნესტანისა და ავთანდილ-თინათინის მშვენიერანი ერთნაირი წამლებითაა (საღებავებით) დახატული; 3. ამ გმირებს ერთად ყოფნის დროს სიყრმეშივე შეუყვარდათ ერთმანეთი; 4. ლეილსაც და ნესტან-დარეჯანსაც მოფარდაგულში იცავენ მათი მშობლები; 5. მაჯნუნი და ტარიელი სიყვარულისგან კარგავენ ადამიანის სახესა და გონებას; 6. მაჯნუნი და ტარიელი, ველად გაჭრილნი, მხეცებთან მეგობრობენ; 7. უდაბნოში მაჯნუნის შინ მოსაბრუნებლად მიდის მისი მამა, ისე როგორც ამ მიზნით ტარიელს მოევლინება ავთანდილი; 8. მაჯნუნს და ტარიელს უდაბნოს ცხოველი აგონებთ თავიანთ სატრფოთ; 9. ნესტანიც და ლეილიც ტყვეობაში იმყოფებიან (პირველი – ქაჯეთის ციხეში, მეორე – ქმრის სახლში) და იქიდან წერენ წერილებს შეყვარებულებს; 10. ორივე პოეტი ერთნაირ დახასიათებას აძლევს ქალს საერთოდ; 11. მაჯნუნსა და ტარიელს ერთნაირი დამხმარენი გამოუჩნდებათ – ავთანდილი და ნუფალი.

კ. კეკელიძისთვის საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ „ვეფხისტყაოსანში“ თვითონ „ლეილმაჯნუნის“ მთავარი გმირი ყაისი (მაჯნუნი) იხსენიება მ. თოდუასთვის კი მთავარი და ნიშანდობლივია ამ ორი პოემის ფაბულის ერთმანეთთან მსგავსება. თუმცა, ეს მსგავსება მის იდენტურობას არ ნიშნავს.¹ როდესაც „ლეილმაჯნუნისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთობაზე ვსაუბრობთ (ფაბულის გარეშე), შეუძლებელია არ დავაფიქსიროთ მ. თავდიშვილის დაკვირვებები

¹ მ. თოდუა, ვეფხვის ნახტომი..., გვ. 79.

და ძიებანი ორივე პოემის შემხვედრ პარალელებზე, საიდანაც უჩვეულო სურათი იკვეთება.¹ სამწუხაროდ, მასზე ყურადღების შეჩერება ჩვენი საკითხის ფარგლებს სცილდება. მითუმეტეს, მ. თავდიშვილის წიგნში ორივე პოემის ფაბულურ ურთიერთობაზე არაა საუბარი. სხვა მომენტები და ასპექტებია დაწვრილებით შესწავლილი, თანაც პირველად ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.

მ. თოდუა „ბათირ-არსლანის“ ფაბულის და „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის ადეკვატურობაზე მსჯელობის დასრულების შემდეგ მკითხველის ყურადღებას შეაჩერებს აღმოსავლურ ლიტერატურაში არსებულ სხვა ფაბულაზე, რომლის ფუნქციები თურმე მთლიანად ემთხვევა „ვეფხისტყაოსნის“ ფუნქციებს და პერსონაჟებზედაც ასევეა განაწილებული. კიდევ მეტი: რუსთაველის პოემას მასთან ანათესავებსო მრავალი სიუჟეტური დეტალი.² მეცნიერს მხედველობაში აქვს სპარსულენოვანი ინდოელი მწერლის ხოსროვ დეჰლევის (გარდაიცვალა 1324 წელს) მიერ ჩაწერილი ამბავი, რომელიც მის „ჩაჰარ დარვიშში“ („ოთხი დევრიში“) იკითხება. „მას სათაური არა აქვს, – წერს მ. თოდუა, – და ჩვენ პირობით „შაოსან გმირს“ დავარქმევთ“. ეს ამბავი მან „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის სფეროში პირველად შემოიტანა. აქვე გადმოსცემს ამ ამბავის მოკლე შინაარსს,³ რასაც ჩვენც გავიმეორებთ:

¹ მ. თავდიშვილი, ნიზამი და რუსთველი, თბ., 2011, გვ. 121-149.

² მ. თოდუა, ვეფხვის ნახტომი..., გვ. 76-77.

³ იქვე, გვ. 77-78.

ერთ ახალგაზრდა მეფეს შეუყვარდა არაბი მეფის ასული მას შემდეგ, რაც მისი გულუხვობა უქეს. მასთან წასვლა გადაწყვიტა. ვეზირმა ჯერ დაუშალა, მაგრამ რომ ვერაფერს გახდა, ურჩია, ვინმე მაინც იახლეო! მეფემ არ ქნა, გადაცმული წავალ მარტო, შენ ჩემს ნაცვლად გტოვებ და ხალხს მომიარე. მე თუ მოვკვდე, რაც გამაჩნია, შენი იყოსო. შემდეგ განზრახ ხმა დაყარა, სანადიროდ მივდივარო და გზას გაუდგა. როგორც იქნა, მიატანა ბასრის მეფის სასახლეს... ქალს ხელი სთხოვა, – მე სხვა სათხოვარი არაფერი მაქვს, ჩემს ქვეყანაში თავად ნებიერი მზრძანებელი ვარო.

ქალი დათანხმდა, ოღონდ ასეთი პირობა დაუდო: თურმე მის ხალხს ნიმრუზის ქვეყანაში წყლის პირას, შამბნარში, ერთი შაოსანი მხედარი ენახა, „ლაგამ-აბჯარსა და უნაგირს ხშირად ესხა მარგალიტი“, იჯდა და გმინავდა, ერთი მსახური ბიჭი ახლდა, ის მოკლა, მერე კი ამხედრდა და მიიმალა. თუ გინდა ცოლად გამოგყვე, ჯერ მისი ვინაობა გამიგეო, დაავალა ქალმა.

უფლისწული წავიდა იმ უცნაური კაცის მოსაძებნად. მთელი ერთი წელიწადი ეხეტა. ის უცხო მხედარი თვეში ერთხელ გამოდიოდა თურმე იმ ადგილას და ერთხელ კიდევაც შეესწრო, როგორც კი ამხედრდა უცნობი, უფლისწულიც გაეკიდა. არ ეპუებოდა, ან მომკლავს, ან მის ამბავს გავიგებო. ერთხანს ასე სდია. ბოლოს მაღალი კედლით შემორტყმული ბაღი გამოჩნდა. ის უცნობი მხედარი კარებს მიადგა და იღრიალა. კარები გაუღეს და შიგ შევიდა.

როგორც იქნა, უფლისწული და ის უცხო ერთმანეთს

შეხვდნენ. რა გინდა შენ, რისთვის გამომკიდებიხარ, – ჰკითხა შოსანმა. უფლისწულმა თავისი ამბავი უამბო: შენ ჩემი შეყვარებულის მსახურებს უნახიხარ. ჩემს სატრფოს შენი ამბავის გაგება უნდა და ამ მიზნით გამომგზავნაო. ამაზე შოსანს გული ამოუჯდა: შენც ჩემსავით შეყვარებული ყოფილხარ და ამიტომ მეცოდებიო. კარგი, ჩემს ამბავს გეტყვიო და დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავალი, რომელიც მოკლედ ასეთია:

იგი მეფის შვილი ყოფილა. ბავშვს ცუდი ბედი უწინასწარმეტყველეს და ის რომ აეცდინათ, მიწის ქვეშ დამალეს, ერთხელ ტახტზე დამჯდარი ფერიათა მეფის ასული დაინახა და შეუყვარდა, კინალამ გრძნობა დაკარგა. სიყვარულისგან ვაჟი ავად შეიქმნა. დიდი ამბების შემდეგ კი ქალის მამასთან მივიდა და მისი ხელი სთხოვა. მამა უარზე იყო. ვაჟმა ფერიების ენა იცოდა და მისი სატრფოს მოსატაცებლად მოსული ერთი ქაჯი ხარად აქცია (ამ ხარზე იყო მერე ამხედრებული), მაგრამ ამასობაში ქალი ქაჯებმა მოხიბლეს და უგონოდ აქციეს. მას აქეთ იგი ქაჯთა ჯადოთი იყო შეკრული და ვაჟიც ამის გამო გოდებდა.

ეს ამბავი რომ დაამთავრა უცხო რაინდმა, ისევ დაიწყო მოთქმა. მერე წამოვარდა და ველად გაიჭრა. უფლისწულმა თავისი შეყვარებული დროებით დაივიწყა და პირობა დადო, სანამ ამ კაცს თავის სატრფოს არ დავაბრუნებინებ, მე დანიშნულს არ დავუბრუნდებიო. ადგა და დაიწყო ხეტიალი მეგობრის საშველად... ბოლოს ყველაფერი კარგად მთავრდება. მიჯნურები თავიანთ სატრფოებს ირთავენ და ბედნიერად მეფობენ.

მ. თოდუა წერს: ამ ორ ამბავს „ვეფხისტყაოსანსა“ და „შაოსან გმირს“, იდენტური ფაბულები გააჩნია, აქედან გამომდინარე, მკვლევარი ამტკიცებს, რომ რუსთაველს პოემის ფაბულა „ჩარდავრიშიანიდან“ მომდინარეობს. ამავე დროს იგი ფიქრობს, უნდა არსებულიყო რაღაც „მესამე“ ფაბულა, რომელიც „ჩარდავრიშიანის“ დასთანსა და „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულებს აერთიანებდა.¹

მ. თოდუას მოსაზრებებს სპეციალური სტატია მიუძღვნეს ა. ბარამიძემ და დ. კობიძემ.² კრიტიკის ობიექტშია მოქცეული მ. თოდუას მიერ გამოთქმული შეხედულებები მისსავე წიგნში: „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია, თბ., 1967 (შდრ. ბაღდადელი თვალთმაქცი), მ. თოდუამ ვრცელი პასუხი გასცა რეცენზენტ-ოპონენტებს თავისივე მონოგრაფიაში – „ვეფხვის ნახტომია“...³

მ. თოდუას დასკვნით: „რუსთველის პოემის ფაბულა ეყრდნობა აღმოსავლურ დასთანს, მაგრამ მას ისეა დაშორებული, რომ ნასხვისარი მხოლოდ ფაბულის ფუნქციები თუ აქვს შემორჩენილი. ეტყობა, ასევე სახეცვლილი და ფაქტიურად გაქართულებული იყო ის ხელიხელ საგოგმანები პროზაული თხზულება, რომელიც რუსთველმა ლექსად გარდათქვა.“⁴ ა. ბარამიძემ კატეგორიულად უარყო მ. თოდუას თვალსაზრისი: „ჩარდავრიშიანი“ ახლა ყველასათვის არის

¹მ. თოდუა, ვეფხვის ნახტომი..., გვ. 83.

² ა. ბარამიძე, დ. კობიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის თაობაზე, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), თბ., 1971, N2.

³ მ. თოდუა, ვეფხვის ნახტომი..., გვ. 95.

⁴ იქვე, გვ. 126.

ხელმისაწვდომი. რამდენიმეჯერ დაიბეჭდა ამ მოთხრობის ძველი ქართული თარგმანის ტექსტი. გამოქვეყნდა ახალი ჩინებული თარგმანიც, რომელიც შეასრულა თვითონ მაგალი თოდუამ (ოთხი დევრიშის ამბავი, „ბაღდადელი თვალთმაქცი“) გამოტეხილად უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ გაგვაცოცა მ. თოდუას „მიგნებამ“. „ჩარდავრიშიანის“ ზღაპრულ-ფანტასტიკურ ამბებში „ვეფხისტყაოსნის“ ვერავითარ „ჩონჩხს“ თუ ნაკვალევს ვერ იპოვის აკვიატებული აზრის უქონელი მკითხველი. ჩვენი დასკვნის შესამოწმებლად საკმარისი იქნება „ჩარდავრიშიანის“ საგულდაგულო გადაკითხვა“.¹

მართალია, გაჭირდება მ. თოდუას „მიგნების“ გაზიარება, თითქოს დაკვირვებული მკითხველი „ჩარდავრიშიანში“ იპოვის „ვეფხისტყაოსნის“ მთლიან ფაბულურ ჩონჩხს, მაგრამ ვერც ა. ბარამიძეს დავეთანხმებით, თითქოს ხოსროვ დეჰლელის თხზულების ცალკეული დეტალების ნაკვალევი არ იყოს არეკლილი რუსთაველის პოემაში. ამ დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა „ჩარდავრიშიანის“ სწორედ „საგულდაგულო გადაკითხვა“.

მ. თოდუა არის ჯერჯერობით უკანასკნელი მკვლევარი, რომელმაც 1994 წელს გამოცემული წიგნით – „ვეფხვის ნახტომი“... კვლავ გააცოცხლა „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის სპარსულიდან „სესხების თეორია“. ახლა კი მივუბრუნდეთ იმ სათავეებს, საიდანაც იკიდებს ფეხს რუსთაველის პოემის ფაბულის სადაურობის საკითხი (ორიგინალურია იგი თუ ნასესხები).

¹ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1975, გვ. 67.

კვლავ გადავინაცვლოთ XVII-XVIII სს. ქართული მწერლობის სამყაროში. პირველად გ. ჯაკობიამ გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ „ომანიანში“ უთუოდ დასტურდება რუსთაველის პოემის პროლოგის მე-9 სტროფის („ესე ამბავი სპარსული“...) გავლენის კვალი.¹ თხზულების ავტორს, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ტექსტში ერთგან ჩაურთავს: „ერთმან მეტად გონიერმა კაცმან, სახელად მოლა-აბიბ, ოთხთა დიდთა ხელმწიფეთა ესრეთ მოახსენა, მე მკითხა მაგ კაცმან, რომლის მიზეზით იქმნა ამ ქვეყნის. მპყრობელთა მეფეთა ერთად შეყრა? მან ეს წიგნი თავით ბოლომდის სპარსთა ენით გამაგონა და მე ამ ქართულის ენით გადმოვსწერე, რომე ჭეშმარიტად დიდი არის ღმერთი“.² ამაზე ყურადღება გაამახვილა მერი გუგუშვილიმაც.³

აღორძინების პერიოდის მწერალთა შემოქმედებაში თავს იჩენს საინფორმაციო მასალა „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის შესახებაც. უწინარესად თეიმურაზ პირველი სახელდება, რომლის მიერ გადმოქართულებული სპარსული თხზულების „იოსებზილიხანიანის“ მისეულ შესავალში ვკითხულობთ: რუსთაველი „იტყვის, ვპოვეო ამბავი პირველ სპარსთაგან მზობითა“.⁴ საცილობელი არ უნდა იყოს, რომ ეს სიტყვები „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მე-9 სტროფის გამოძახილია, მისი გავლენითაა თქმული. თეიმურაზ მეორეც

¹ **ომანიანი, გ.** ჯაკობიას წინასიტყვაობით, ტფ., 1937, გვ. XVIII.

² იქვე, გვ. 114.

³ **მ. გუგუშვილი,** პოლემიკა რუსთაველის გარშემო, თბ., 1966, გვ. 140.

⁴ **თეიმურაზ პირველი,** თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და **გ. ჯაკობიას** რედაქციით, ტფ., 1934, გვ. 62.

მიგვანიშნებს. რუსთაველს ამბად ნათქვამი გაულექსავს: „ვპოვე ამბავი, ლექსად ვსთქვი, ვეჭვ, იყოს მოსაწონები“.¹

XIX საუკუნეში ქართულ და უცხოურ ენებზე არაერთი ნარკვევი გამოქვეყნდა რუსთაველზე და „ვეფხისტყაოსანზე“, სადაც ფაბულის სადაურობაც უყურადღებოდ არ დარჩენილა. ცნობილმა ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ 1831 წელს ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა წერილი, სადაც აღნიშნა: „ვეფხისტყაოსანში“ გარეგნულად ინდური ამბავი ჩანს, პოემის ყველა სახელიც სპარსულია, მაგრამ ყველაფერი დანარჩენი, არსებითად ქართულია.² „ვეფხისტყაოსნის“ პეტერბურგის 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში მარი ბროსე რუსთაველის პოემას ორიგინალურ ქართულ ნაწარმოებად თვლის, გამორიცხავს მასში სპარსულ-არაბულ გავლენას. მისი დასკვნით, „ვეფხისტყაოსანი“ არ არის დაწერილი „უცხოთა აზიურთა ზღაპრების მიბაძვით“.

1833 წელს ქვეყნდება პოლონელი ა. ხოძკოს ნაშრომი „ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი“, სადაც ერთგან დაფიქსირებულია ასეთი თვალსაზრისი: რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულიდან ქართულად გადმოლექსათამარ მეფის სურვილით, რომელსაც ის წაკითხული ჰქონდა სპარსულად პროზაული სახით. პოემის შინაარსი კი ინდურ ისტორიას შეიცავსო.³

¹ თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ., 1939, გვ. 133.

² გ. იმედაშვილი, რუსთაველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957, გვ. 9, ამ უნიკალური წიგნით აქაც და ქვემოთაც დიდად ვარ დავალებული.

³ ჟურნ. „ტელესკოპი“ (რუს), მოსკ. 1833, გვ. 61-70; შდრ. გ. იმედაშვილის დასახელ. წიგნი, გვ. 10-11.

დავით ჩუბინაშვილი 1842 წელს რუსულ ენაზე აქვეყნებს სტატიას სათაურით – „ქართული პოემა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“. მასში ავტორი ავითარებს აზრს, რომ რუსთაველს თავისი პოემის სიუჟეტი არ უსესხებია აღმოსავლეთიდან. ის თვითონ მან შექმნაო თამარის საქებრად. თუმცა, დ. ჩუბინაშვილი დარწმუნებულია ერთ რამეში: „ვეფხისტყაოსანში“ შეინიშნება აღმოსავლურ-დასავლური ელემენტების არსებობა. უფრო მეტიც, პოემაში იგრძნობაო სპარსული გავლენის კვალი. ავტორი იქვე შენიშნავს: ტარიელის ისტორია არ მოიპოვება არც ინდოეთში, არც არაბეთში, მაგრამ ის შედგენილია სპარსული ნიმუშების მიხედვით და პოემის გმირთა ეტიმოლოგია სწორედ ამიტომ სპარსულ-არაბულ ნიადაგზე იხსნება.¹ გვეჩვენება, რომ დ. ჩუბინაშვილი ორჭოფულ სიტუაციაშია. თუ პოემას აჩნია სპარსული გავლენის კვალი, აღმოსავლურ-დასავლური ელემენტების არსებობა, თუ ტარიელის ისტორია შედგენილია სპარსული ნიმუშების მიხედვით, მაშინ როგორ დავასკვნათ, რომ რუსთაველს პოემის ფაბულა არ უსესხებია.

დ. ჩუბინაშვილი 1850 წელს რუსთაველის პოემაზე დაბეჭდილ წერილში ამ თხზულებამ მას მოაგონა ჰომეროსი, აღმოსავლეთის მწერლები, განსაკუთრებით „ათას ერთი ღამე“. წერილში ის უარყოფს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სპარსულიდან მომდინარეობას. პოეტმა მოქმედება განგებ გადაიტანაო აღმოსავლეთის სამყაროში. პოემის სიუჟეტი

¹ დ. ჩუბინაშვილი, ქართული პოემა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ჟურნ. ЖМНП, 1842, №8, გვ. 112-126.

შექმნილათ თვითონ რუსთაველის მიერ თამარ მეფის ცხოვრების მიხედვით.

პლატონ იოსელიანი გაზეთ „კავკაზში“¹ ბეჭდავს წერილს „შოთა რუსთაველი (1174-1212)“. ეს წერილი მრავალფეროვნებით უთუოდ გამოირჩევა „ვეფხისტყაოსანზე“ მანამდე დაწერილ ნაშრომთაგან, მასში საუბარია რუსთაველის ბიოგრაფიაზე, პოემის წარმოშობაზე, პოეტის იდეოლოგიაზე: რელიგიაზე, ლიტერატურულ წყაროებზე. პირველად არის სტატიაში დასმული საკითხი ნეოპოლატონურ ნაკადზე „ვეფხისტყაოსანში“. ასევე ყურადღებას იქცევს მსჯელობა პოემის მხატვრულ კონსტრუქციაზე, მსოფლიო მნიშვნელობაზე.

პ. იოსელიანს მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულა არაბულია, მისი წყარო არაბულ-მუსლიმანურ გარემოშია. პოეტური აპარატი რუსთაველს სიუჟეტთან ერთად არაბულ ლიტერატურულ სამყაროდან მოაქვს. „ვეფხისტყაოსნის“ სახელწოდებას იგი სპარსეთს უკავშირებს. მოაქვს ფირდოუსის „შაჰნამეს“ მაგალითი, რომლის მიხედვით, ხოსროს დროინდელი სპარსელები ვეფხვის ტყავს იცვამდნენ. აქვე პ. იოსელიანი საინტერესოდ შენიშნავს: სახელწოდების სპარსულობა თვით პოემის სადაურობაზე არაფერს ლაპარაკობს და არც რუსთაველის მითითება პოემის სპარსულიდან თარგმნის შესახებ. თავისი თხზულების სინამდვილე პოეტმა განგებ გაახვიანო უცხო გარემოში.² პ. იოსელიანის შე-

¹ პ. იოსელიანი, „შოთა რუსთაველი“, გაზ. „კავკაზი“, 1870, N 13 (ამავე წელს იგი ცალკე წიგნაკად დაისტამბა).

² გ. იმედაშვილი, რუსთაველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 49.

ხედულებანი თითქოს დაპირისპირებულია ერთმანეთთან. თუ რუსთაველმა პოემის სინამდვილე განგებ გაახვია უცხო გარემოში, თუ არაფერს ლაპარაკობს პოეტის მითითება თხოვლების სპარსულიდან თარგმანის შესახებ, მაშინ გამოდის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თავისი ფაბულითაც ორიგინალური ძეგლია. ამ აზრთან თავსებადობას აცდენილია მისივე ნათქვამი: პოემის სიუჟეტი არაბულია, მისი წყარო არაბულ მუსლიმანურ გარემოშიაო.

1884 წელს არტურ ზუტნერმა გაზ. „კავკაზში“ გამოაქვეყნა სტატია „უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“¹ მისი ქართული თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“² და გაზ. „დროებაში“.³ წერილში ავტორი შეეხო „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხსაც და აღნიშნა: რუსთველი თავის პოემაში ამბობს, რომ ის ემყარება სპარსულ ლეგენდათხრობასო. მაგრამ ლაპარაკი იმაზე, როგორც ეს ზოგს ჰგონია, თითქოს ეს გარემოება ამცირებს შოთას შემოქმედებას, გროშადაც არ ღირს... სადაურიც არ უნდა იყოს „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი – სპარსულია ის თუ არაბული და სადაც არ უნდა მიმდინარეობდეს მისი მოქმედება – ინდოეთში თუ სხვა ადგილას, პოემა ყოველთვის იყო და სამუდამოდ დარჩება, როგორც ქართული ნაწარმოები.

თითქმის ამავე აზრს იმეორებს პ. კვიციანიძე, როცა წერს: „ესე ამბავი სპარსული“ პირწმინდად მისაღებია. ნუთუ

¹ არტურ ზუტნერი, უცხოელის აზრი ვეფხისტყაოსანზე, გაზ. „კავკაზი“, 1884.

² ჟურნ. „ივერია“, 1884, N XI-XII, გვ. 68-102.

³ გაზ. „დროება“, 1884, (ნოემბერ-დეკემბერი).

საჭიროა შევნიშნოთ, ეს სრულიად არ ამცირებს პოეტს, პირიქით, ამაღლებს კიდევ¹. ე. ვიედენბაუმი 1888 წელს თბილისში აქვეყნებს წიგნს, სადაც შენიშნულია: მართალია, რუსთაველი თვითონ ამბობს, რომ მან სპარსული ამბავი „გარდასთქვა“, მაგრამ თუ ეს ასეა, ის არის სპარსული დედნის უბრალო გამლექსავი. პოემაში ცხადად გამოსჭვივის ქრისტიანობისა და ბერძნული განათლების გავლენა, რაც შეუძლებელია სპარსულ ორიგინალში ყოფილიყო.²

გაზეთ „კავკაზში“ (N248) 1884 წელს ქვეყნდება უცნობი ავტორის წერილი რუსთაველზე. სადაც პოემის ორიგინალობაზე მსჯელობისას შენიშნულია: სიუჟეტი თავისთავად არაფერს ნიშნავს პოეზიაში. საქმეა მისი დამუშავება. აღმოჩნდება თუ არა ოდესმე „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული პროტოტიპი, ეს ოდნავადაც ვერ შეამცირებს მის მნიშვნელობას ქართველი ხალხისთვის.

ზ. მთაწმინდელი (ზაქარია ჭიჭინაძე) 1884 წელს აქვეყნებს წიგნს „შოთა რუსთაველი“. მასში მსჯელობა გაშლილია, სხვა საკითხებთან ერთად, „ამირანდარეჯანიანის“ გავლენაზე „ვეფხისტყაოსანში“, ასევე, „ვისრამიანის“, „აბდულმესიანის“, „თამარიანის“ ანარეკლზე პოემაში. ზ. ჭიჭინაძე 1885 წელს გაზეთ „დროებაში“ (30 ივლისი, N162) ბეჭდავს წერილს „ამირანდარეჯანიანი“, ავტორის დასკვნით, „ამირანდარეჯანიანის“ შინაარსს ერთობ დიდი გავლენა მოუხდენია რუსთაველის პოემის შინაარსზე.

¹ პ. კვიციანიძე, ქართული ალექსანდრიანი, კრებ. ც. დ. ა. ქუთაისი, 1888, N1, გვ. 173-206.

² ე. ვიედენბაუმი, მოგზაურობა კავკასიაში, ტფ., 1888, გვ. 330-331.

„ვეფხისტყაოსნის“ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან და-
მოკიდებულებაზე მსჯელობს ალ. ნანეიშვილი თავის წე-
რილში „ვეფხისტყაოსანი და ზეპირ სიტყვიერება“, „უკანას-
კნელ ხანებში თავი იჩინა მეტად საგულისხმო გარემოებამ,
რომ რუსთაველის ლექსები თვით ხალხის პოეზიას შეუთვი-
სებია, შეუხორცებია, რაიც იმის საწყაოა, თუ რამდენად მაღა-
ლი და ძლიერი იყო რუსთაველის ნიჭი, თავისებური კილო
დაუჩნევია, გადაუსხვაფერებია და ეს კი აუცილებელი იყო,
რადგანაც ხალხში „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირ-გადმოცემით
ტრიალებდა და არსებობდა. ის ნაწყვეტები, რომელიც დღემ-
დის დაბეჭდილი იყო, ნებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ
ხალხში არსებობს მთელი „ვეფხისტყაოსანი“ და შესაძლოა
აღვადგინოთ იგი... შესაძლოა ის აზრიც დაჰბადოს, რუსთა-
ველის წინადაც არსებობდა ხალხში ლექსად ან ამბად
„ვეფხისტყაოსანი“ და მხოლოდ რუსთაველმა შექპრიბა, გაალა-
ზათიანა და გააშალაშინა ხალხის გარდამონაცემი, მაგრამ ის
უფრო საფიქრებელია, რომ რუსთაველის ნაწერი გავრცელდა
და ჩაინერგა ხალხის გულში“.¹

თითქოს ალ. ნანეიშვილს გამოხმაურებია ალ. ხახანაშვი-
ლი. იქნებ ხალხურმა „ვეფხისტყაოსანმა“ გადაწყვიტოს
აქამდის გაუთავებელი ბაასი, საიდგან არის აღებული
შინაარსი ამ ძვირფასის ნაშთისა“.² იგი მკითხველს აცნობს
ცალკეულ ვარიანტებს, რომელიც უმთავრესად ლექსებისაგან
შედგება. ლექსში არეკლილია თუ ასახულია პოემის ცალ-

¹ ა. ნანეიშვილი, ვეფხისტყაოსანი და ზეპირ სიტყვიერება, გაზ. „ივერია“, 1888, N52, II მარტი.

² ა. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, გაზ. „ივერია“, 1888, 6 აგვისტო, N165, გვ. 3.

კეული მოტივები ტარიელთან, ნესტან-დარეჯანთან და ავთანდილთან დაკავშირებით.

ხალხური „ვეფხისტყაოსნით“ დაინტერესებულა დ. ხიზანიშვილიც, რომელიც გაზ. „ივერიაში“ აქვეყნებს სოფელ არტაანში ჩაწერილ ხალხურ ტექსტებს „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე.¹

კრიტიკის ქარცეცხლში გატარდა ივანე ჯაბადარის ავადსახსენებელი „წერილი საქართველოზე“, რომელიც პეტერბურგში გამოქვეყნდა.² წერილის ე. წ. ავტორი „ვეფხისტყაოსანს“ არაორიგინალურ ნაწარმოებად აცხადებს. იგი მიაჩნია უნიჭო მიბამვად სპარსული მწერლობის ნიმუშებისა: შაჰ-ნამე, ლეილმაჯუნუნიანი, ვისრამიანი. რუსთაველმა პოემის ძირითადი ჩონჩხი თუ ცალკეული ეპიზოდები ამ თხზულებებიდან გადაწერაო. ი. ჯაბადარის ნაბოდვარს იმთავითვე უწოდეს რუსთაველის შემოქმედების გამაბიბრუებული,³ უაზრობა, ოხუნჯობა, გაჩნდა მოწოდება წერილის ავტორის სასწრაფოდ წაყვანისა ფსიქიატრიულ კლინიკაში.⁴ ზოგიერთმა ჯაბადარს უწოდა „ვეფხისტყაოსნის“ შეურაცხმყოფელი. უსაფუძვლო ცილისმწამებლური შენიშვნებით.⁵ გაუგებარი ჩანს ნ. ნიკოლაძის პოზიცია, რომლის

¹ დ. ხიზანიშვილი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, გაზ. „ივერია“, 1888, ნოემბერი, N231-232.

² ნარდონი (ი. ჯაბადარი), წერილი საქართველოზე, „სვერნი ვესტნიკ“, პეტერბ., 1889, N9, გვ. 32-59, N10, გვ. 36-60.

³ გაზ. „ივერია“ 1889, 16 დეკემბერი, N268.

⁴ გაზ. „ტიფლისკი ლისტოკი“, 1889, 12 დეკემბერი, N 278.

⁵ გაზ. „ივერია“, 1889, 31 დეკემბერი, N 279.

მიხედვით, ქართველმა ინტელიგენციამ უმართებულოდ აქცია ნარდონის (ჯაბადარის – ტ. მ.) მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს შოთა რუსთაველმა თავისი თხზულება სპარსულიდან ისესხა. საკითხი სწორად არისო დასმული და გაგებული. სესხება ლიტერატურაში არაფერს არ ნიშნავსო.¹

1890 წელს ყურადღება მიიქცია ა. ხახანაშვილის მიერ გამოქვეყნებულმა სტატიამ „ხალხში დარჩენილი „ტარიელის ამბავი“ და შოთას „ვეფხისტყაოსანი“.² მასში ავტორი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ რუსთაველის პოემა წარმოქმნილია ხალხური „ტარიელიანის“ საფუძველზე. მისი თქმით: „ნაწყვეტი ლექსები ხალხისა გარდაქმნილია ლიტერატურულ პოემად, პოეტს შეუტანია კაცის ამამაღლებელი და განმასპეტაკებელი გრძნობა სიყვარულისა. თავითგან ბოლომდე გაუტარებია ეს აზრი და ამით შეუერთებია დაწყვეტილი საერო ლექსები, შოთას გაუმშვენებია პოემა ფილოსოფიური მოსაზრებით, მეტყველი ენით, პოეტური აღმაფრენით“.

თავისი შეხედულების გასამაგრებლად ა. ხახანაშვილს მწერალთა მიერ ხალხური შემოქმედების ნიმუშების გამოყენების მაგალითები მოაქვს მსოფლიო ლიტერატურიდან (შექსპირი, გოეთე, მოლიერი, ლესინგი), მკვლევარი არ გამორიცხავს, რომ შესაძლებელია „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი აზიიდან იყოს. გადმოსული და ერში გავრცელებული.

ა. ხახანაშვილის ამ სტატიის გამოქვეყნებიდან (1890) 14

¹ გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1889, 2 ნოემბერი, N20-22, შდრ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 135.

² გაზ. „ივერია“, 1890, 1 თებერვალი, N 25, გვ. 3.

წლის შემდეგ ცალკე წიგნად დაისტამბა მისივე „ქართული სიტყვიერების ისტორია, I, თფ-1904, ავტორი აქ განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის პრობლემას. კვლავაც მტკიცედ აცხადებს, რომ ვეფხისტყაოსანი მომდინარეობს ქართული ხალხური პოეზიიდან. თანაც ეს უკვე გაზიარებულიაო იუსტ. აბულაძისა და დ. კარიჭაშვილის მიერ. მეცნიერი ავლებს პარალელებს „ვეფხისტყაოსნისა“ და ხალხური ტარიელიანის ცალკეულ მომენტებს შორის.

ა. ხახანაშვილის მოსაზრებებს იმთავითვე გამოეხმაურა ვაჟა-ფშაველა იმავე გაზეთ „ივერიაში“ წერილით „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ (ორიოდე სიტყვა პასუხად ბ-ნ ა. ხახანაშვილს)¹ დიდი შემოქმედი თავიდანვე შენიშნავს: „მარტო ბ-ნი ხახანაშვილი არ უცქერის „ვეფხისტყაოსანს“, ცოტა არ იყოს, ეჭვიანის თვალთ, სხვანიც მოიპოვებია ჩვენში ამ აზრისანი... ეს ეჭვიანი ხალხი კარგად არ ჩაჰკვირვებია თვით თხზულებას და არ შესწევთ ძალ-ღონე ინდივიდუალური შემოქმედობა გაარჩიონ ხალხურიდგან“. ვაჟას მიხედვით, რუსთაველი რომ არ გვიხატავდეს თანამედროვე ეპოქას, ოქროს საუკუნეს, რომელიც იალბუზივით ქედ-მოღერებული სდგას მთელს საქართველოს ისტორიაში, არ აძლევდეს პასუხს. უმთავრესს იმ საუკუნის კითხვაზე, მაშინაც კი ვერ ვიტყვით, რომ ტარიელის ამბავი უცხოეთიდან არის შემოტანილი, იმდენად ქართულია „ვეფხისტყაოსანი“, იმდენად ამოღებულია ქართველის გულიდან, იმდენად გამომხატველია მთელის ერის არსებისა“.

¹ გაზ. „ივერია“, 1890, 21 თებერვალი, N39.

ამავე წერილში დიდი ვაჟა ამბობს: „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ ჩამომავლობას ისიც ამტკიცებს, რომ სხვადასხვა ტაეპს სხვადასხვა რითმა (დაბოლოვება) აქვს და საერო ვეფხის ტყაოსანშიაც ამას ვხედავთ... ბ-ნი ხახანაშვილი როგორც საერო, ისე სალიტერატურო ვეფხის ტყაოსანში“ მართო აზრის ერთიანობაში ხედავს მსგავსებას“ ვაჟა-ფშაველა ხალხური „ტარიელიანიდან“ და „ვეფხისტყაოსნიდან“ მოტანილი სათანადო ნიმუშების საფუძველზე უმტკიცებს ა. ხახანაშვილს ფორმალურადაც დიდ მსგავსებას:

1890 წელს ქვეყნდება ნიკო მარის „წერილი ვეფხისტყაოსნის“ გამო“.¹ დასაწყისშივე გაკრიტიკებულია ა. ხახანაშვილის მიერ გაზეთ „ივერიაში“ (1890, N25) გამოქვეყნებული წერილი „ხალხში დარჩენილი ტარიელის ამბავი და „ვეფხისტყაოსანი“ (თუმცა, ნიკო მარი სტატიის დასახელებას არც ახსენებს). დიდი მეცნიერი არ იზიარებს წერილის ავტორის პოზიციას „ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილი ამბების ქართული ხალხური სიტყვიერებიდან მომდინარეობის შესახებ: „ტარიელის ამბავი რომ ხალხში დადის, ეს კიდევ არაფერს არ მოასწავებს, რადგან ქართველებში სხვათა შორის ფირდოუსის „შაჰნამედგანაც“ ბევრს ამბავს გაიგონებთ, მაგრამ ყველა ეს ხალხში მწერლობიდან არის გადასული... ამის გარდა სხვა-და-სხვა კუთხეში ერთ და იმავე თხზულებას შეუძლია სხვა-და-სხვა ცვლილება მიიღოს ხალხის გადაცემაში და ამგვარად წარმომდგარა ეგრეთ წოდებული ხალხური ვარიანტები რომელიმე თხზულებისა“.

¹ ნიკო მარი, „წერილი ვეფხისტყაოსნის“ გამო, გაზ. „თეატრი“, 1890, N12 სხვათა შორის, ეს არის. საერთოდ, პირველი წერილი ნიკო მარის მიერ „ვეფხისტყაოსანზე“ შექმნილი.

როგორც ჩანს, ა. ხახანაშვილის კრიტიკა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის ხალხურიდან წარმომავლობის შესახებ ნიკო მარს ერთგვარ საბაზად დასჭირდა, რათა მთავარ სათქმელამდე მისულიყო „ვეფხისტყაოსნის“ ამზის სპარსულიდან მომდინარეობის დასამტკიცებლად. იგი სვამს კითხვას: „ვისი ქმნილება უნდა იყოს „ვეფხისტყაოსანი“. ერის თუ რუსთაველის, – უნდილად არის აღძრული. თვალ-საჩინო კითხვა აქ ეხება თვით შინაარსს, თუ ასეა, ჯერ ვინ დაგვიმტკიცა, რომ რუსთაველი ცრუობს და ვეფხისტყაოსანი სპარსულიდგან არ არის გადმოთარგმნილი? ან ის, რომ ვეფხისტყაოსანი ქართული ქმნილება არის შინაარსის მხრითაც, ვინ დაგვიმტკიცა იმდენად, რომ ეხლა მის მეტი საეჭვო და საძიებელი არა დაგვრჩენოდეს-რა“.

ამის შემდეგ ნიკო მარი გვიმხელს მთავარ სათქმელს: „რავდენად სპარსული ენის და მწერლობის გაცნობა საბუთს მამლევს, მე სრულ ჭეშმარიტებად მიმაჩნია რუსთაველისავე სიტყვები, რომ მას სპარსულიდგან ნათარგმნი ამბავი უნდა გაეღექსოს. რამდენად შესცვალა დედანი პოეტმა, გაავრცელა ან შეამოკლა, ამაზედ სჯა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა სპარსული დედანი აღმოჩნდება, რის იმედს ჯერ კიდევ არ ვკარგავ. ნიკო მარს სპარსულ დედანთა შორის ლეილ-მაჯნუნიანი არ ეგულება. სპარსული დედნის ძიებითა და პოვნით იმედმოცემული მეცნიერი დარწმუნებულია, რომ სპარსულ დედანში ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამბავი უნდა იყოს მოთხრობილი. „ტარიელი“ მას ესახება გადმოქართულებული სპარსელი კაცის სახელად – „შაჰრიერი“,

რაც ნიშნავსო ხელმწიფეს, ნესტან-დარეჯანიც სპარსელი ქალის სახელად დაუგულვებია. სპარსულად ითქმისო – „ნესტან-დარიჯეჰან და გულისხმობს: „არ არის ქვეყანაზე: ანუ ქვეყანაზე არ არის მისი მსგავსი, ე. ი. – უებრო.

დიდად დაიმედებული ნიკო მარი ელოდა თურმე ცნობებს ლონდონში ბრიტანულ მუზეუმში შენახულ ერთ სპარსულ ხელნაწერზე, რომელიც შეიცავსო კატალოგის მიხედვით „შაჰრიერ-ნამეს. მოვუსმინოთ დიდ მეცნიერს: „ველი ცნობებს ერთ სპარსულ ხელნაწერზე, რომელიც ბრიტანულ მუზეუმში ინახება. ლონდონში და იქნება თვით „ვეფხის-ტყაოსნის“ დედანია, რადგან ხელნაწერი შეიცავს, როგორც კატალოგიდან ჩანს, „შაჰრიერ ნამეს“, ე. ი. წიგნს შაჰრიერზე (ტარიელზე), რომლის ამბავი ინდოეთში მომხდარა, ბრიტანული მუზეუმის „შაჰრიერ ნამე“, რომ სხვა რამე აღმოჩნდეს და არა ქართული „ვეფხის-ტყაოსანი“, სხვა „შაჰრიერ ნამე“-თა მოპოვება და გასინჯვა იქნება რუსთაველის ნაწერთა მკვლევარის პირველი ვალდებულება, როცა სიტყვა შინაარსის სადაურობაზე ჩამოვარდება“.

ნიკო მარი 1898 წელს გამოქვეყნებულ წერილში,¹ სადაც ეკამათება აკაკი წერეთელს, კვლავ ადასტურებს: განა არ უნდა გამოვარკვიოთ, რომ ცნობილი პოემა „ვეფხის ტყაოსანი“ სპარსული ორიგინალიდან მომდინარეობს, რომ შოთამ სპარსული რომანის ქართული პროზაული თარგმანიდან შექმნა პოემა. ნიკო მარი მომდევო წლებშიც არ ცვლის პოზიციას. 1899 წელსაც აცხადებდა, რომ არსებობდა

¹ „ნოვოე ობოზრენიე“, 1898, 31 მარტი.

„ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოუღწეველი პროზაული თხზულება, რომელიც რუსთაველმა გამოიყენაო.¹ ნიკო მარის ნაშრომში „საქართველოს ისტორია“² კვლავ შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი“ სპარსულიდან თარგმნილი თხზულება, თუმცა რუსთაველის მხრიდან გამოჩენილია მაღალი ოსტატობა მშობლიური ენის საფუძველზე. 1912 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში³ ნ. მარი იმეორებს, რომ რომანული პოემა ვეფხისტყაოსანი სპარსული მოთხრობაა, რომელიც ავტორმა ქართულ სინამდვილეს დაუქვემდებარაო. 1917 წელს იბეჭდება ნიკო მარის ნაშრომი „შოთა რუსთაველის ქართული პოემა ვეფხისტყაოსანი“ და ახალი კულტურულ-ისტორიული პრობლემა“,⁴ სადაც საუბარია რუსთაველის მიერ გამოყენებულ სპარსულ პროტოტიპებზე. 1919 წელს იბეჭდება ნ. მარის კიდევ ერთი წერილი „კავკასია და მისი სულიერი კულტურის ძეგლები“,⁵ სადაც აღნიშნულია: ადგილობრივი გენია (იგულისხმება რუსთაველი – ტ. მ.) ერთ სპარსულ მოთხრობას რომანტიულ პოემად გარდაქმნის, რომელშიც შექმნილია რაინდების სიყვარული და მმად-ნაფიცობა, აგრეთვე გაღმერთებულია ქალი. ნ. მარი 1927

¹ ЖМНП, 1899. XII, გვ. 223-232.

² ნ. მარი, საქართველოს ისტორია, პეტერბ., 1906, გვ. 33.

³ ჟურნ. „იან“ (მეცნიერ. აკად. მაცნე), პეტერბ., 1912, N1, გვ. 69-82.

⁴ ნ. მარი, შოთა რუსთაველის ქართული პოემა ვეფხისტყაოსანი და ახალი კულტურულ-ისტორიული პრობლემა, ჟ. იან, პეტერბ. 1915, გვ. 446-452.

⁵ ნ. მარი, კავკასია და მისი სულიერი კულტურის ძეგლები ჟურნ. „იან“ (მეცნ. აკად. მაცნე), პეტერბ., 1919.

წელს ბეჭდავს წერილს „ჩემი ავტობიოგრაფია“,¹ სადაც გაკვრით ეხება ქართველებში გაზრდილ უკმაყოფილებას მისი მტკიცებულებების გამო, რომ ვეფხისტყაოსნის ვაბულა სპარსული წარმომავლობისაა.

1928 წელს პარიზში ქვეყნდება ფრანგულ ენაზე ნ. მარის წერილი, სადაც იგი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის საკითხს ისევ შეეხო. დიდი მეცნიერი წერდა: „ქართული მწერლობის შესახებ დროთა განმავლობაში შემუშავდა თეორია, რომლის მიხედვითაც ეს მწერლობა და, საერთოდ, კულტურა დაიბადა და განვითარდა უცხო გავლენის ქვეშ, სახელდობრ, ქართული სასულიერო კულტურა მოდიოდა ქრისტიანული ქვეყნებიდან (სომხეთი, სირია, საბერძნეთი, ქრისტიანული არაბეთი), ხოლო საერო-ირანული და მაჰმადიანური ქვეყნებიდან, განსაკუთრებით, ირანიდან“. ეს თეორია გადმოღებისა და უცხო წარმომშობ ძალებისა დაინგრა. ამის საუკეთესო მაგალითი გახლავთ ქართული ლიტერატურის უდიდესი პოემა გენიალური პოეტის შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანი. ეს გახლავთ ქრისტიანული საქართველოს უაღრესად აყვავების დროს მეტეორივით გამოჩენილი პოემა, რომელსაც დღემდე მტკიცე და ურყევი ადგილი უჭირავს ქართული პოეზიის ზენიტზე. „ნაწარმოების ენა შეუდარებელი ქართულია, დღემდე გადაულახავი თავისი ღრმა ხალხურ თავისებურებათა და მომხიბლაობით, „თავის პოემას შოთა აგებს ქართულ ხალხურ საფუძველზე,

¹ ნ. მარი, ჩემი ავტობიოგრაფია, ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1927, ივნის-ივლისი, №6-7, გვ. 218-221.

მმადნაფიცის წინაისტორიულ ინსტიტუტზე“. თუმცა, მისი სიუჟეტი სპარსული ზღაპარია და მისი გმირები მუსულმანები არიან, მაინც ყოველგვარი ცდა ამ პოემის მთლიანად უცხო წყაროთა ახსნისა უსაფუძვლოა.¹

ნიკო მარის ამ სიტყვების ციტირებისას ს. კაკაბაძე შენიშნავს: „ნიკო მარი თეორიიდან, რომ „ვეფხისტყაოსნის“ საფუძვლად დევს სპარსეთში და სპარსულად შემუშავებული მოთხრობა, მივიდა დასკვნამდე, რომ „ვეფხისტყაოსანი“ წარმოშობილია ადგილობრივ ნიადაგზე და წარმოგვიდგენს ქართული ფეოდალური საზოგადოების ძირითად იდეალებს“.

დავუბრუნდეთ XIX საუკუნის 90-იანი წლების პერიოდიკას. მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი კ. მილერი თავის სტატიაში გამოთქვამს ვარაუდს, რომ ადვილი შესაძლებელია, „ვეფხისტყაოსანი“ მართლაც უბრალოდ სპარსულიდან თარგმნილი თხზულება აღმოჩნდეს.² თ. სახოკიას ქართლში მოუსმენია ტარიელის ზღაპარი, რომლის ამბავი ძირითადად პროზაული თხრობისაგან შედგება, რომელშიაც ჩართულ ლექსებში იგრძნობაო რუსთაველის პოემის ცალკეული მოტივები.³

თედო რაზიკაშვილი, გაზ. „ივერიაში“ (9, 10, 27 ნოემბერს ნომრებში) აქვეყნებს ხევსურეთში შეგროვილ ლექსებს, რომელიც შეიცავს ვეფხისტყაოსნის ამბავის ცალკეულ მოტივებს („ლექსები ხევსურულის „ვეფხისტყაოსნისა“; „ხალ-

¹ ეს წერილი გადმობეჭდილია გაზეთში „ნოვოე ობოზრენიე“, ტფ. 1928.

² გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1890, 30 იანვარი, გვ. 3.

³ თ. სახოკია, ტარიელის ზღაპარი ანუ ხალხში დაშთენილი ვეფხისტყაოსანი (ქართლში გაგონილი). გაზ. „ივერია“, 1890, 11 იანვარი.

ხური ლექსები „ვეფხისტყაოსნისა“, „ლექსები ხალხურის „ვეფხისტყაოსნისა“). იგი იქვე მიუთითებს, რომ კახეთში „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტები ბლომად არის და საჭირო არისო მათი ჩაწერა.¹

ნიკო ნიკოლაძე მოუწოდებდა ყველა მოპასუხეს, რომ შეეწყვიტათ ნარდონთან (ივ. ჯაბადარი) კამათი, რადგან ამას აზრი არა აქვს, არ ღირს მასთან პოლემიკა იმის შესახებ, თითქოს რუსთველმა თავისი თხზულების სიუჟეტი სპარსულიდან ისესხაო. სესხება ლიტერატურაში არაფერს არ ნიშნავს, გოეთემ, შექსპირმა, ჰიუგომ თავიანთ ნაწარმოებთა შინაარსები ისესხეს, მაგრამ ამით მათი ღირსება არ შემცირებულაო.²

გიორგი წერეთელი თავის სტატიაში „ნიზამი და რუსთაველი“ უარყოფს რუსთაველის პოემის ნიზამი განჯელის „ლეილ-მაჯნუნის“ გადაკეთებად აღიარებას. შედარებითი ანალიზის საფუძველზე იგი არკვევს: „ვეფხისტყაოსანი“ არ შეიძლება ლეილ-მაჯნუნის გადაკეთება იყოს. სიყვარულის სცენები ფსიქოლოგიურად რუსთაველის ეპიკურ ძეგლში უფრო მაღალმხატვრულადაა გადაწყვეტილი, ვიდრე ნიზამის თხზულებაშიაო.³

1895 წელს გამოქვეყნდა წიგნი „მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი“, რომელსაც ერთვის მოსე ჯანაშვილის

¹ თ. რაზიკაშვილი, ლექსები ხევსურელის „ვეფხისტყაოსნისა“, გაზ. „ივერია“, 1890, 9 ოქტომბერი-27 ნოემბერი გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1889, 2 ნოემბერი.

² გ. წერეთელი, ნიზამი და რუსთაველი, გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1890, ნოემბერი.

³ გ. წერეთელი, ნიზამი და რუსთაველი, გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1890, ნოემბერი.

წერილი.¹ სტატიის ავტორმა მოგვცა „ამირანდარეჯანიანის“ და „ვეფხისტყაოსნის“ შედარებითი ანალიზი. გამოვლენილი შემხვედრი წერტილების საფუძველზე იგი დაასკვნის: „ვინ იცის, „აქამდის ამბად ნათქვამი, აწ დავჯე რუსთველმან და გალექსე“ იმას მოასწავებდეს, რომ მოსე ხონელის მიერ „ნასიტყვნი ამბავნი“ (პროზა) შეიქმნენ „აწ მარგალიტი წყობილი“ (პოემა). ორივე თხზულების შედარებისას მოსე ჯანაშვილი შენიშნავს: დედააზრის მხრივ, ორივე მოთხრობა მცირედ განირჩევა ერთმანეთისაგან. მათში მხოლოდ მოქმედი პირების სახელებია ერთმანეთისაგან განსხვავებული. იქნებ პოემა მოსე ხონელის პროზა შექმნა პოემად.

მ. ჯანაშვილი 1896 წელს ბეჭდავს წიგნს შოთა რუსთაველზე,² სადაც განავითარა აზრი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ალეგორიულად გამოხატავს საქართველოს ცხოვრებას XII საუკუნეში. „სრულიად და სავსებით გამოხატულია თამარ დედოფლის ცხოვრება“. მისი აზრით, ნესტანი განასახიერებს თამარს, ავთანდილი კი – ამირსპასალარ გამრეკელს.

1923 წელს მოსე ჯანაშვილი გაზეთ ტრიბუნაში“ (N478-481-483)³ აქვეყნებს წერილს „თამარ მეფის მეხოტბენი“. ამჯერად შევჩერდებით მის ქვეთავზე – „მახლობელი აღმოსავლეთი და საქართველო“. საუბარს იწყებს „ინდოეთის შვიდი სამეფოთი“. გვიყვება მის მოკლე ისტორიას: „ამ ვრცელ

¹ მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, წერილი მ. ჯანაშვილისა, ტფ. 1895, გვ. 17-25.

² მ. ჯანაშვილი, შოთა რუსთაველი, ტფ., 1896.

³ მ. ჯანაშვილი, „თამარ მეფის მეხოტბენი“, გაზ. „ტრიბუნა“, 1923, N478, 481, 483.

სამეფოში თავდაპირველად ბატონობდნენ სპარსთა ყაენები, მერე არაბები, ხოლო 969 წლიდან 1038 წლამდე ლაზნელები, 1038-1191 წლებში სელჩუკიანთა თურქები და 1191-1219 წლებში ხვარაზმშაჰები“ (გვ. 2, N478). ერაც ხვარასანი, სადაც დედოფლობდა თამარის მამიდა რუსუდანი, შედიოდა იმავე „ინდოეთის“ იმპერიაში. შემდეგ იგი საუბრობს აზიზზე, რომელმაც თავისი თავი ხვარაზმშად გამოაცხადა. მ. ჯანაშვილის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო 1153 წელს. ხვარაზმშაჰების დასასრულად იგი ასახელებს 1219 წელს, როდესაც ხვარაზმი დაიპყრეს ჩინგიზ-ხანის ურდოებმა. ამ ისტორიის მოყოლა იმიტომ დასჭირდა შ. ჯანაშვილს, რომ იგი დაუკავშიროს რუსთაველის პოემას, რომელიც მოიხსენიებს ხვარაზმშას: „პირველ ხვარაზმშად იყო აზიზი, – წერს მ. ჯანაშვილი, რომელიც განუდგა სულთან სანჯარს (1157), ამიტომ ფარსადანი და ტარიელი, თანამედროვენი ხვარაზმის ხვარაზმშობისა, 1157 წლის უწინარესი მეფენი არ იქნებოდნენ.

წერილის მომდევნო ქვეთავში („ტარიელის ქვაბები“) მ. ჯანაშვილი ცდილობს გაარკვიოს თუ სად მდებარეობდა ტარიელის ადგილსამყოფელი ქვაბები: „ამ ადგილად ჩვენ გვესახება სპარს-თურანელთა ლეგენდების მთა დემავედი, რომელიც მდებარეობს გურგანის ზღვის ახლოს მაზანდა-რანში იქაურ კავკასიონის (ელბრუსი) გაყოლება“... ავტორის ფიქრით, შოთას დევთა „ქვაბები“ უნდა იყოს იგივე მოსე ხონელის „დევთა ქვეყანა“, რომელიც შოთას თხზულებითაც მომიჯნავებდა ქაჯეთს. მ. ჯანაშვილი შეეხო ხატაეთს.

იხსენებს საბა ორბელიანის ახსნას, რომ ხატაეთი არის იგივე ჩინეთი, თუმცა, ეჭვი შეაქვს ამ განმარტებაში, ვინაიდან რუსთაველი ჩინეთს ეძახისო ჩინს („ესე ამბავი მართალი ჩანს ქვასა ზედან სწერია“).

მ. ჯანაშვილი ნარკვევში სათანადო ადგილს უთმობს არაბეთის სამეფოს, ვინაიდან შოთა მასში გულისხმობსო საქართველოს. ამის დამადასტურებელი ცნობა მოაქვს თითქოს ჩახრუხადის „თამარიანიდან“ („ა. ეს თინათინ, ნუ ეს თინათინ, არაბეთს იყო სულადიანი“): „არაბეთს თინათინ, „არაბეთის“ მეფის ქალი, ყოფილა თამარის სიმეტე. მაშ, თვით არაბეთიც უნდა ჩაითვალოს საქართველოს სიმეტედ (ნართაულებად)“. „თამარ მეფის მეხოტბენის“ მეოთხე თავში („შოთას ქორონიკონები) მ. ჯანაშვილი იძიებს რუსთაველის ე. წ. ქორონიკონებს. თუმცა, მანამდე არკვევს, თუ როდის დაქორწინდა თამარი ჯერ გიორგი რუსზე, შემდეგ კი დავით სოსლანზე. ამასთან დაკავშირებით, მას მოაქვს ცნობები ვახუშტი ბაგრატიონის, მარი ბროსეს, თედო ჟორდანიას ნააზრევიდან და მისაღებად მიაჩნია ამ უკანასკნელის ქორონიკონები: გიორგი რუსის მოწვევის თარიღია 1184 წლის დასასრული და 1185 წლის დასაწყისი, ხოლო თამარისა და დავით სოსლანის შეუღლების თარიღია 1189 წელი.

ამის შემდეგ, მ. ჯანაშვილი ლაპარაკობს ავთანდილის, ტარიელის „კიდევანობაზე“, ტარიელის ასაკზე, ტარიელის გაცილებაზე. ცდილობს მის დაკავშირებას თამარის ეპოქის ქართულ სინამდვილესთან.

ქუთაისში 1896 წელს გამოიცა წიგნი – „სახალხო პოეზია

და მისი საპედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა“. მისი შემდგენელი და გამომცემელია მ. კელენჯერიძე. წიგნში ერთგან ნათქვამია: რუსთაველს პოემის სიუჟეტი არა თუ არ უსესხნია, არამედ ხალხის გულიდან, ეროვნული ეპოსიდან ამოუღიაო.

გაზ. „ივერიაში“ ვინმე „მეგახლავარ“ აქვეყნებს პოლემიკურ სტატიას „პრივატ-დოცენტი მარრი და მისი სამეცნიერო მეტოდი“. ¹ ავტორი მიუღებლად მიიჩნევს და გულისწყრომას ვერ მალავს ნიკო მარის იმ დროისათვის გახმაურებულ და საპაექრო მტკიცებულებებზე „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სპარსულიდან მომდინარეობის შესახებ, ავტორის თქმით, მარის სურვილია და მიზანი იმის დასაბუთება, თითქოს პოემის დედანი სპარსულია, რომელიც თურმე ბრიტანეთის მუზეუმში ეგულებათ. ბევრი სწავლული ამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ არის სპარსულიდან ნათარგმნი, მაგრამ მარი ყოველგვარი საბუთის გარეშე საწინააღმდეგოს გაიძახისო.

გაზ. „ივერიაში“ 1899 წელს ილია ჭავჭავაძე აქვეყნებს ქართული პუბლიცისტიკის შედეგს „სომეხნი მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“. ავტორი აქვე აკრიტიკებს თუ კიცხავს ნიკო მარის მოსაზრებას „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულიდან თარგმნილობის შესახებ, მისი განზრახვა „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული მანუსკრიპტის აღმოჩენის ქადილად დარჩაო“. ²

¹ გაზ. „ივერია“, 1896, 16 აპრილი, N80.

² ი. ჭავჭავაძე, „სომეხნი მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“, გაზ. „ივერია“, 1899, 25 მარტი, N65, გვ. 17-18.

1903 წელს დავით კარიჭაშვილის მცდელობით განხორციელდა „ვეფხისტყაოსნის“ მეცხრამეტე გამოცემა, რომელსაც დართული აქვს გამომცემლის წინასიტყვაობა, შენიშვნები და ვრცელი ლექსიკონი.¹ წინასიტყვაობაში დ. კარიჭაშვილი, სხვა საკითხებთან ერთად, ეხება რუსთაველის თხზულების ორიგინალობის პრობლემას. მისი თქმით, „ვეფხისტყაოსანი“ თუმცა, დაფუძნებულია წინად არსებულის ამბავზე, მაგრამ წმინდა ორიგინალური თხზულებაა და უცხოობის ჩაბეჭდილებას მხოლოდ იმიტომ ახდენს, რომ მოქმედი პირები უცხო ქვეყნის შვილები არიან გამოყვანილნი, მოქმედება წარმოებს უცხო ქვეყნებში და წერის მანერას აჩვენია სპარსულ-არაბული პოეზიის გავლენის ბეჭედი.²

ნიკო მარის განცხადებას გამოეხმაურა იაკობ გოგებაშვილიც თავის წიგნში „ბურჯი ეროვნებისა“.³ აქ საყვედური გამოთქმულია იმათ მისამართით, რომლებიც ამბობენ: „თვით რუსთაველმა, პირველმა პოეტმა საქართველოსამ, თავისით ვერაფერი შექმნა და სპარსულიდგან ისესხა თავისი ვეფხისტყაოსანი და ისიც როგორ ისესხაო? ისე უხეიროდ დედნების გაუგებრად, რომ იგი სავესეა უაზრობითა და სისულელეთო და ეს უნიჭო ნასესხი მთელს საქართველოს ერს შვიდასი საუკუნის განმავლობაში დიდებულ და თავისებურ ქმნილებად მიაჩნდა და „დაბადებას“ გვერდს

¹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მეცხრამეტე გამოცემა დავით კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელი ლექსიკონით, ტფ. 1903.

² იქვე, გვ. XXVI.

³ ი. გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, ტფ, 1903.

უყენებდაო... ერთმა პროფესორმა (იგულისხმება ნიკო მარი – ტ. მ.) განაცხადა: ჩქარა ვიპოვი „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულ დედანსო.

ა. გრენის მიხედვით, რუსთაველის სანტიმენალურ პოემა „ვეფხისტყაოსანში“ ერთმანეთს გადაჯაჭვულია და შერწყმული სპარსულ-მუსულმანური და ეროვნული ამბები.¹

პ. მირიანაშვილის თანახმად, რუსთაველის პოემა წარმოადგენს აზიის ერთა თქმულების დიდ კრებულს, როგორც ფირდოუსის „როსტომიანი“ ირანისას და ამის აღიარებით ქართველებს არაფერი არ აკლდება.² იგივე ავტორი მოგვიანებით წერდა: შოთა რუსთაველი უცხო ამბავს გვიხატავს, აზიის ამბავს ისლამის გარემოცვით, ამიტომ პოემაში რაც კი ქრისტიანული მოტივებია, ის ყალბია, რუსთაველი არაბულ-სპარსული განათლების კაცი იყო.³

იპ. ვართაგავამ ვრცელი ნარკვევი შექმნა – „შოთა რუსთაველი“.⁴ ამ ნაშრომში ამჯერად ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ, ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ თავისი სიუჟეტით წააგავს ბარამიანს, ფორმით კი – ვისრამიანს.

1913 წელს ქვეყნდება ს. კაკაბაძის ნაშრომი – წერილი

¹ ჟურნ. ЖМНП, 1895.

² პ. მირიანაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ სამწერლო კრიტიკის გამო. გაზ. „ივერია“, 1903, 25 ოქტომბ. გვ. 2.

³ პ. მირიანაშვილი, სადაურია ჰომეროსის პოეზია? გაზ. „ფასკუნჯი“, 1908, 27 ივლისი.

⁴ ი. ვართაგავა, შოთა რუსთაველი, აღმანახი „მომბე“, 1910, 11 იანვარი, წერილის გაგრძელებანი დაიბეჭდა ჟურნ. „ერში“, 1910, 7-21 თებერვალი 2-30 მაისი.

„ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.¹ ნარკვევში ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელად ასახელებს სარგის თმოგველს, რომელსაც თურმე ნაწარმოები უთარგმნია სპარსულიდან და შემდეგ მასვე გაუღიქსავს პოემის წინა ნაწილი ნესტან-დარეჯანის დაკარგვამდე. პოემის ბოლო ნაწილის გამღიქსავად მოგვევლინაო ჰერეთის მკვიდრი შოთა რუსთაველი XV საუკუნის პირველ ათეულ წლებში. 1961 წელს იბეჭდება ს. კაკაბაძის წერილი „შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან“.² მასში ავტორმა რაღაც ლეგენდისნაირი აზრი განავითარა: ვეფხისტყაოსანს სიუჟეტის მხრივ საფუძვლად უდევს ქართულ ორიგინალურ სიუჟეტს სპარსულად დაწერილი თხრობა, რომელიც თამარ მეფისადმი იყო მიძღვნილი. ეს პროზაული თხრობა დაკავშირებული იყო ქართულ სინამდვილესთან... სპარსული თხრობის ავტორი უნდა ყოფილიყო ჩახრუხადის ძმა, რომელიც გაიჭრა საქართველოდან და, როგორც „თამარიანიდან“ ჩანს, სამშობლოში ცოცხალი არც დაბრუნებულა. სპარსულიდან თხრობის ქართული თარგმანის შემსრულებელი უნდა იყოს დილარგეთიანის ავტორი, სარგის თმოგველი. ს. კაკაბაძის ამ მოსაზრებებს იმთავითვე კრიტიკის ცეცხლში გაატარებს ა. ბარამიძე.

დიდი ივანე ჯავახიშვილი 1922 წელს მოხსენებას კითხულობს ვეფხისტყაოსანზე, სადაც ის აზრი განავითარა, რომ

¹ ს. კაკაბაძე, წერილი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ტფ. 1913.

² ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, N1; შდრ, ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 158-166.

პოემის ამბავი არც ქართულია და არც სპარსული. შესაძლოა იგი ძველი მოარული ინდური ან არაბული თქმულება იყო.¹ მოხსენების წაკითხვიდან გაცილებით ადრე, 1904 წელს იგი იაკობ გოგებაშვილთან პაექრობისას წერდა; უფრო სწორად, ამართლებდა ნიკო მარის მოსაზრებას: „პრ. მარმა იმიტომ „გამოაცხადა ლაღად“, „ვეფხის-ტყაოსანი“ გალექსილი და შემუშავებული სპარსული, – იგი შოთას წინააღმდეგ ნათარგმნი იყო – ამბავიო, რომ ამას თვითონ რუსთაველი აცხადებს: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“... თვით შინაარსიდან ცხადად ჩანს, რომ მოთხრობა სპარსულ-მაჰმადიანურია, რაც უფრო ამართლებს შოთას ცნობას“.²

იაკობ გოგებაშვილთან კამათისას ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს: „სულ სხვა შეხედულება აქვს იმის შესახებ ბ. გოგებაშვილს და ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს, რათა? – იმიტომ, რომ იმათ ჰგონიათ, ვითომც აღმოჩნდება თუ არა სპარსული მოთხრობა, მაშინვე შოთა რუსთაველის ნაწარმოებს უკვდავების სხივი მოაკლდებოდეს, ხოლო ეს საშიში აღმოსავლეთის მწერლობის უცოდინარობის გამო არის წარმომდგარი“.³ ამის შემდეგ დიდ მეცნიერს სპარსული მწერლობის ისტორიიდან სათანადო მაგალითები მოაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ შუა საუკუნეებში აღმოსავლეთის პოეტებს და მწერლებს საჭიროდ არ მიაჩნდათ თავიანთი

¹ გაზ. „ბახტრიონი“, 1922, 3 ივლისი.

² ი. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, ტფ. 1904, გვ. 38-40.

³ იქვე, გვ. 40-41.

თხზულებებისათვის ახალი „სიუჟეტი“ აეღოთ. იმათ ფიქრადაც არ მოსვლიათ, ვინმეს შეეძლო ამის გამო რაიმე წუნი დაედოთ მათივე ნაწარმოებებისათვის. თვითოეულ პოეტს თავისუფლად შეეძლო თავისი თხზულებისათვის სხვა მწერლის ნაწარმოებით ესარგებლნა“.¹ ი. ჯავახიშვილი მტკიცედ ამბობს: „რუსთაველმა მასალად ისეთი სპარსული ამბავი აიღო, რომელიც მის მოთხოვნილებასა და განზრახვას შეეფერებოდა. მაშასადამე, შოთა ისე მოქცეულა, როგორც მოიქცეოდა თვითოეული მაშინდელი პოეტი აღმოსავლეთში.“²

ამასთანავე, ი. ჯავახიშვილი ეწინააღმდეგებოდა „ვეფხისტყაოსნის“ წყაროდ ქართული ხალხური პოეზიის დასახელებას: „შეუძლებელი იყო, შოთას სახალხო თქმულებით ესარგებლნა, ერთადერთი მწერლობა, საცა საპოეზიო მასალების შოვნა შეიძლებოდა, სპარსული სიტყვიერება იყო“.³ 1914 წელს ივ. ჯავახიშვილი წერდა: „შოთა რუსთაველმა, როგორც თვით ავტორი ამბობს, თავისი პოემისათვის აიღო სპარსული ამბავი, რომელიც „ქართულად ნათარგმანები“ ყოფილა, ეტყობა, ეს ამბავი დიდი ხნის ნათარგმნი ყოფილა. ამას ისიც ამტკიცებს, რომ პოემაში სპარსული საკუთარი სახელები დამახინჯებული ყოფილა და თვით რუსთაველსაც ამ სახით სცოდნოდა ეს სახელები. შეიძლება შოთას მისი მთარგმნელის ვინაობა, მაინც და მაინც თვით სპარსული დედანი არც კი სცოდნია და იგი ამბობს, ეს ნათარგმნი ამბავი

¹ ი. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, ტფ. 1904, გვ.გვ. 41-42.

² იქვე, გვ. 45.

³ იქვე, გვ. 50.

„ვპოვე“-ო. რუსთაველს მოსწონდა ეს ამბავი და მას ობოლ მარგალიტად სთვლიდა“.¹ ივ. ჯავახიშვილი თავის ნარკვევებში „ვეფხისტყაოსანი“ ყურადღებას ამახვილებს ვახტანგ მეექვსის „კომენტარების“ („თარგმანი“) იმ ნაწილზე, სადაც მეფე-პოეტი მსჯელობს პოემის ფაბულის ორიგინალობაზე. მას საგულისხმოდ ეჩვენება ეს მსჯელობა და საბუთიანობა. თუმცა, იქვე აცხადებს, რომ რუსთაველის ცნობილი ტაეპის („ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“) ვახტანგ მეექვსისეული განმარტება ხელოვნური და ნაძალადევიანო.²

როგორც მართებულად შენიშნა მ. თოდუამ, რადგანაც ი. ჯავახიშვილს ხელთ სათანადო საბუთი არ ჰქონია, უმტკივნეულოდ დათმო თავისი პოზიცია და 1937 წლისათვის მეორე ბანაკში გადავიდა.³ ე. ი. იმათ მხარეს დადგა, ვინც პოემის ფაბულის ორიგინალობას ამტკიცებდა.

ს. გორგაძე 1922 წელს თბილისში წაკითხულ მოხსენებაში („ორიგინალობის საკითხი რუსთაველის შემოქმედებაში“) ავითარებდა იმ აზრს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გმირთა და ამბავთა ორი ციკლი არსებობს – არაბეთის და ინდოეთის. პირველი ორიგინალურია, რომელიც შექმნილია ავტორის ფანტაზიით, მეორე კი – ლიტერატურულად აღებული იმ „სპარსული ამბავიდან“, რომელიც თვით რუსთაველის თქმით, უკვე „ქართულად ნათარგმანები“, უპოვია და ლექსად

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, ტფ. 1914, გვ. 660; 1948 წლის გამოცემა, გვ. 311; 1965 წლის გამოც. გვ. 310.

² ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 35-36.

³ მ. თოდუა, ვეფხვის ნახტომი, გვ. 17.

გარდაუთქვამს. არაბული ამბავი საქართველოს ისტორიული ცხოვრების ანარეკლს წარმოადგენს – თინათინი თამარის სახის ანარეკლია, ავთანდილი შესაძლოა თვითონ ავტორი იყოს.¹

თედო ბეგიაშვილი თავის წიგნში („ქართული სიტყვიერების ისტორია, I“) ლიტერატურული ანალიზის შედეგად მისულა დასკვნამდე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ ლიტერატურული პოემიდან გადაიღო და არა პირიქით.²

კ. კაპანელი ქართველ საზოგადოებას უმტკიცებდა: „ვეფხისტყაოსანი“ ირანის სოციალური ეპოსის იდეოლოგიური გამონაკიდია, ის გამოხატავს ირანის სოციალური ეპოსის ფსიქოლოგიას, არც ფაბულა რუსთაველის პოემისა და არც მისი იდეოლოგია ქართული არ არის.³ ეს უკვე აბსურდამდე დასულ კონცეფციად მოჩანს.

ნოე ჟორდანიაც პარიზიდან გამოხმაურებია პოემის სიუჟეტის გარშემო ატეხილ აზრთა სხვადასხვაობას. მისი ფიქრით, რუსთაველი განგებ აცხადებს, რომ „ეს ამბავი მან სპარსულიდან გადმოიღო“, პოემის ფაბულა, მთავარ ამბავთა კონა ამოღებულია ქართული რეალობიდან. პოემის ამბავი ქართულია და მას არავითარი კავშირი არა აქვს არაბეთ-ინდოეთის სინამდვილესთან.⁴ ნ. ჟორდანიას თანაპარიზელი

¹ გაზ. „ბახტრონი“, 1922, 31 ივლისი.

² თ. ბეგიაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, I, თბ., 1925.

³ კ. კაპანელი, ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი, ტბ., 1928.

⁴ ნ. ჟორდანია, „ვეფხისტყაოსანი“, პარიზი, 1930.

ზურაბ ავალიშვილი შესაძლებლად მიიჩნევს პოემის ფაბულის წარმოშობის საკითხის ძველ ინდო-სპარსულ-არაბულ ურთიერთობასთან დაკავშირებას.¹ იგი წერს: „ვეფხისტყაოსანს“ სარჩულად გარკვეული წერილობითი მასალა უნდა ჰქონოდა. ამას ადასტურებს პოემის შესავალში შეტანილი, კარგად ცნობილი ჩვენება: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები... ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“. მკვლევარი ასკვნის: „არავითარი საბუთი არ არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ ამ ჩვენებაში რაიმე ეჭვი შევიტანოთ. ძველი ამბის ახალი პოეტის მიერ გამოყენება და დამუშავება განა ისეთი უცხო რამეა აღმოსავლეთსა და დასავლეთში? ხოლო ისიც ირკვევა, რომ პირვანდელი სპარსული მოთხრობა ჯერ ქართულად პროზით სთარგმნეს, მერე კი ამ თარგმანის გამოყენებით რუსთაველმა თავისი პოემა „სთქვა“.²

შ. ნუცუბიძე „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის ანალიზის სა-ფუძველზე არკვევდა ორიგინალობის პრობლემას. მისი მტკიცებით, პოემის ფაბულასა და მსოფლგაგებას შორის ორგანული კავშირი შეუძლებელს ხდის მისი არაქართულ ნიადაგზე წარმოშობის დაშვებას.³ საინტერესოა ამ დიდი მეცნიერის მოსაზრება „ამირანდარეჯანიანთან“ რუსთაველის პოემის ურთიერთობის თაობაზე „ამირანდარეჯანიანს“ იმდენად ემთხვევა „ვეფხისტყაოსანი“ სიუჟეტურად ფორმალურ-პოეტურად, რომ შეიძლება არც სავსებით გაუმართლებელი

¹ **ზ. ავალიშვილი**, ვეფხისტყაოსნის საკითხები, პარიზი, 1931.

² იქვე, გვ. 86-87.

³ **შ. ნუცუბიძე**, რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის, თსუ შრომები, I, 1935, გვ. 1-12.

იყოს აზრის შესაძლებლობა: ხომ არაა სწორედ ეს „ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“, რომელიც აქამდე აღელვებს მეცნიერებას“.¹

დავით ჩქოტუას აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს არ ირანულიდან ნასესხებ უცხო ამბავს, არამედ ქართულ ხალხურ ეპოსსა და XI-XII სს. ქართულ მწერლობაში არსებული იდეალების, სახეებისა და გმირების სინთეტიკას პოემის ამბავი ღრმად ორიგინალური ქართულია.²

ვ. შიშმარიოვი მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსანს“ გააჩნია სპარსული დედანი, რომელიც ჯერ აღმოჩენილი არ არის. ქართული ლიტერატურის ფორმირებაში სპარსულ მწერლობას დიდი როლი ჰქონდა, პოემის გმირთა სახელები არაბულ-სპარსულია.³ ი. მეგრელიძეს შესაძლებლად მიაჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის წყაროს სპარსულ ფოლკლორში არსებობა. საბოლოოდ მოხსნილი არ არის შესაძლებლობა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მსგავსი თქმულება ირანულში აღმოჩნდესო.⁴

როგორც ზემოთაც გაკვრით შევნიშნეთ, 1938 წელს ტაშვენტში გამოქვეყნდა ა. შარაფუტდინოვის წერილი

¹ შ. ნუცუბიძე, ვეფხისტყაოსნის ლიტერატურული წყაროები, „რუსთაველის კრებული“, თბ., 1938, გვ. 164.

² დ. ჩქოტუა, რუსთაველის პოემის გმირები და მათი მსოფლმხედველობა, თსუ შრომები, I, თბ., 1936, გვ. 164-189.

³ ვ. შიშმარიოვი, შოთა რუსთაველი, ენიმკის მოამბე, II, თბ., 1938, გვ. 229-250.

⁴ ი. მეგრელიძე, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, ჟურნ. „საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობა“, I, სსრკ მეცნ. აკად. 1940, გვ. 112-146.

„შოთა რუსთაველი და უზბეკური ფოლკლორი“. ავტორი მიიჩნევს, რომ ცნობილი უზბეკური ზღაპარი „ბატირ-არსლანი“ „ვეფხისტყაოსნის“ უშუალო გავლენით შექმნილი თხზულებაა და ქართული პოემის ერთ-ერთ გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს. ამ ორ ნაწარმოებს შორის გავლებული პარალელების საფუძველზე მან დაადგინა: ისინი ერთმანეთს გვანან იდეური შინაარსითაც და ფილოსოფიური საფუძვლებითაც. ა. შარაფუტდინოვის თქმით, „ვეფხისტყაოსანი“ უზბეკეთში შესაძლებელი იყო ადრევე შესულიყო, რადგან იგი შუა აზიაში ცნობილი გახლდათ.¹

1938 წლის აპრილში გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია: 26 აპრილს მწერალთა სასახლეში კ. ჭიჭინაძეს გაუკეთებია მოხსენება – „ხალხური ვეფხისტყაოსნის უზბეკური ვერსიები“ კ. ჭიჭინაძეს გამოუთქვამს აზრი, რომ უზბეკეთში ვეფხისტყაოსნის ვერსია საქართველოდან უნდა იყოს წადებული მონღოლთა შემოსევების დროს. მოპაექრეთაგან გამოხატულა მტკიცე რწმენა, რომ უზბეკეთში პოემის ვერსიების არსებობა რუსთაველის საიუბილეო დღეების გამოძახილი უნდა იყოს და უზბეკური ვერსია ვეფხისტყაოსნის გადამღერებას წარმოადგენდეს.²

1938 წელს ჟურნალ „მნათობში“ იბეჭდება კ. ჭიჭინაძის „ვეფხისტყაოსნის“ უზბეკური ვერსიები.³ მას შესადარებ-

¹ ა. შარაფუტდინოვი, შოთა რუსთაველი და უზბეკური ფოლკლორი, გაზ. „პრავდა ვოსტოკა“, ტაშკ. 1938, N48.

² ხალხური ვეფხისტყაოსნის უზბეკური ვერსიები, გაზ. „კომუნისტი“, 1938, 29 აპრილი.

³ კ. ჭიჭინაძე, „ვეფხისტყაოსნის“ უზბეკური ვერსიები, ჟურნ. „მნათობი“, 1938, N10, ოქტომბ. გვ. 135-173.

ლად გამოუყენებია უზბეკური ზღაპრის „ბატირ-არსლანის“ და ვაზილ იულდაშევის პოემა-ზღაპრის ქართული თარგმანი, ავტორს შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა: ამ ზღაპრებს და ვეფხისტყაოსანს შორის შესამჩნევია სიუჟეტურ-ეპიზოდურ დამთხვევასთან ერთად გმირთა ხასიათების მსგავსება.

კ. ჭიჭინაძეს ამ ზღაპრებისთვის დაურთავს გამოკვლევა „ხალხური ვეფხისტყაოსნის უზბეკური ვერსიების გამო“. დამოწმებული აქვს შარაფუტდინოვას თვალსაზრისი, რომ „ბატირ-არსლანი“ რუსთაველის პოემის ზღაპრული ვარიანტია, რომელიც აღმოცენებული უნდა იყოს ვეფხისტყაოსნის ნიადაგზე. ამას იმით ხსნის, რომ შესაძლოა ვეფხისტყაოსანი შუა აზიაში თვით ქართველების მიერ იყოს წაღებული.

უფრო ადრე კ. ჭიჭინაძე თავის წერილში „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, რომელიც გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“.¹ შენიშნავდა: ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი ირანულ ლიტერატურაში ცნობილი რომ ყოფილიყო, უთუოდ მის გადამღერებას შეეცდებოდნენ. მისი აზრით, ირანული ლიტერატურის გავლენა რუსთაველის შემოქმედებაზე უდავო ფაქტია. ამის დასამტკიცებელ მასალებს მკვლევარი პოულობს ვეფხისტყაოსნის ლექსიკაში, წერის მანერაში, მდიდარი მეტაფორების და სენტენციების აღმოსავლურობაში.

იუსტინე აბულაძე ათეულობით წლების მანძილზე იკ-

¹ კ. ჭიჭინაძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გაზ. „კომუნისტი“, 1937, 24 დეკემბერი.

ვლევდა „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა პრობლემატიკას, მათ შორის პოემის სიუჟეტის წარმომავლობას. 1903 წელს ბეჭდავს წერილს „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის გამო“.¹ სადაც უარყოფს შოთას თხზულების ორიგინალობას. პოემაში ხედავს მაჰმადიანური ყოფის ელემენტებს. მკვლევარი ემხრობა ა. ხახანაშვილს, რომ რუსთაველს პოემა აუგია ხალხში გავრცელებულ ზღაპრულ მოთხრობაზე. პოემა გამსჭვალულიაო არაბულ-მაჰმადიანური პრინციპებით. ნაწარმოებში ამჩნევს „ვისრამიანის“ ანარეკლს. 1909 წელს იუსტ. აბულაძე წერდა: ვეფხისტყაოსანს საფუძვლად დაედო გადმოქართულებული უცხო არაბული ამბავი. რუსთაველის თხზულება თავისი სიუჟეტით ძლიერ წააგავსო ბარამიანს, გარეგანი ფორმით კი „ვისრამიანს“.²

1910 წელს იუსტ. აბულაძე ამბობდა: რამდენადაც ონანა მდივნის „ბარამ გულიჯანიანი“ ძალიან წააგავს რუსთაველის ვეფხისტყაოსანს, შესაძლებელია პოემის პროტოტიპი აღმოჩნდეს ბარამიანის ტიპის მოთხრობებში.³ სამი წლის შემდეგ ავტორმა ასეთი აზრი განავითარა: თუმცა, ტარიელისა და ავთანდილის ამბავი წარმოადგენდა სპარსულიდან ლიტერატურული გზით შემოსულ ამბავს, მაგრამ იგი დროთა განმავლობაში უნდა შეცვლილიყო თვით ქართულ

¹ იუსტ. აბულაძე, „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის გამო, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903, 14-15 ოქტომბერი.

² მისივე, XII ს. ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, კრ. „ძველი საქართველო“, განყ. II, ტფ. 1909, გვ. 62-112.

³ მისივე, კიდევ „ვეფხისტყაოსანის“ გამო, გაზ. „დროება“, 1910, აპრილი.

ნიადაგზე.¹ იუსტ. აბულაძე ისევ მიუბრუნდა „ბარამგულიჯანიანის“ და „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთობის საკითხს.² გავლებულია პარალელები ამ ორ ნაწარმოებს შორის და მიღებულია დასკვნა: თხზულებათა სიუჟეტები ერთმანეთისაგან არ განირჩევიან, მათ საერთო წყარო უნდა ჰქონოდათ. რუსთაველს უსარგებლია სპარსული სიუჟეტით, მაგრამ შეუცვლია, გარდაუქმნია და პოეტური შემოქმედების მარგალიტად უქცევია.

1914 წელს იუსტ. აბულაძის რედაქციით ქვეყნდება „ვეფხისტყაოსანი“, რომლის შესავალ ნაწილში იგი კვლავ იმეორებს ადრე ნათქვამს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული წყარო „ბარამგულიჯანიანია“: „შესაძლებელია იმ დროს (იგულისხმება XII ს. – ტ. მ.) უკვე არსებობდა სპარსულითგან ნათარგმნი მთელი კრებული, რომლებშიც მოთავსებული იყო ისეთი პროზითი ამბები, როგორც არის „ვეფხისტყაოსნის“ და „ბარამგულიჯანიანის“ მოთხრობები, რომლებიც არსებითად ერთი მეორეს ძალიან ჰგავს.³ იუსტ. აბულაძე კვლავ აქვეყნებს 1926 წელს „ვეფხისტყაოსანს“,⁴ სადაც შენიშნავს: „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულა იმ სახით, რა სახითაც იგი წარმოდგენილია რუსთაველის პოემაში, უნდა იყოს ერთ-ერთი

¹ მისივე, პასუხის ნაცვლად ჯორჯიკიას პოლემიკის გამო, გაზ. „იმერეთი“, ქუთ. 1913, 10-13 აგვისტო.

² მისივე, „ბარამგულიჯანიანი“ და რუსთაველის პოეტური შემოქმედება, კრ. „ძველი საქართველო“, 1913-1914, III, განყ. II, გვ. 45-48.

³ **შოთა რუსთაველი**, ვეფხისტყაოსანი, ი. აბულაძის რედაქტორობით, ტფ. 1914, გვ. XXXI.

⁴ **შოთა რუსთაველი**, ვეფხისტყაოსანი, იუსტ. აბულაძის რედაქტორობით, ტფ. 1926, გვ. LXIII.

არაბული თქმულებანი, რომელშიც გადამუშავებულია გამაჰმადიანებულ ირანში. აქვე იმეორებს მეცნიერი პოემის 1914 წლის გამოცემაში ნათქვამს: „ბარამგულიჯანიანის“ გამიჯნურების ამბავი ძალიან ჰგავს „ვეფხისტყაოსნის“ გამიჯნურების ამბავს, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ „ბარამგულიჯანიანში“, წინააღმდეგ „ვეფხისტყაოსნისა“, ვერ ვხედავთ მოქმედ პირთა გმირულ ბრძოლას დევებსა და ქაჯებთან.

იუს. აბულაძე თავის ნარკვევში „ვეფხისტყაოსნის“ ამბის სადაურობისა და მისი დამწერის პიროვნების საკითხთა გამო“ კვლევის შედეგებს აჯამებს. ბოლოს და ბოლოს პოემის შინაარსის დაახლოებით შესწავლა მოწმობს, რომ ამ ნაწარმოების მთავარ ჩონჩხად, რომელიც ძველი ზღაპრის ნაშთს წარმოადგენს, უნდა ცნობილ იქმნას აღმოსავლეთის უცხო ხელმწიფეების შესახები ზღაპარი და ამ ზღაპარში კი – წარმოდგენილია სწორედ ირანის ბუმბერაზების მსგავსი გმირები – ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, რომლების მოპირდაპირებადაც პოემაში გამოდიან ქაჯები, დევები და საშინელი მხეცები, ეს ასეა, მაგრამ, ამასთანავე, ავტორის პირადი ერუდიციისა და ნაკითხობის გავლენით, უნდა მომხდარიყო ძირითადი ცვლილებები „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულაში. ამ ნაწარმოებში უკვე აღნიშნულია და პირდაპირ ნაჩვენები ნეოპლატონური წყარო და აგრეთვე აფორიზმები და პოეტური ფიგურები, რომლებიც ამშვენებენ და სიბრძნის დაუშრეტელ წყაროდ ქმნიან პოეტის ქმნილებას და მასთან წმინდა საქრისტიანო წყაროდგან ამოღებული ფრაზები.¹

¹ ი. აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, გამოსცა ი. მეგრელიძემ, თბ., 1967, გვ. 181.

იუსტ. აბულაძემ 1915 წელს გამოსცა „შაჰ-ნამეს“ ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები“, რომლის წინასიტყვაობაში ეხება ირანული მწერლობის კვალს ქართულ ლიტერატურაში. მისი თქმით, „ვეფხისტყაოსნის“ მთელის ამბავის მონახვა შეიძლება სხვადასხვა სპარსული ნიმუშებითგან ამოდებული ისეთი ეპიზოდების შეერთებით, რომლებსაც გასაოცარი მსგავსება აქვთ ტარიელის თავგადასავალთან.¹ ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყაოსნი აცვია რუსტემსაც, მაგრამ ვეფხისტყაოსნის, რომელსაც ტარიელი სარიდანის ძე ატარებს, რუსტემის ტყავთან შედარებით მეტი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ვეფხვი ულმოხელის მიჯნურის განსახიერებაა.

1917 წელს იუსტ. აბულაძე წერდა: დიდი ხანია ვამტკიცებ „ვეფხისტყაოსნის“ მოთხრობის წმინდა მუსულმან-არაბულ-სპარსულობას, მაგრამ თვითონ რუსთაველი არ არის მაჰმადიანი.² 1936 წელს იუსტ. აბულაძემ გამოაქვეყნა წერილი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისათვის“.³ მოკლედ გადმოსცემს პოემის სიუჟეტის წარმომავლობაზე არსებულ შეხედულებებს, კვლავ იმეორებს თითქოს და აკვიატებულ თვალსაზრისს: „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი წარმოშობით მაჰმადიანური, არაბულ-ირანული მოთხრობის ნაშთია გადამუშავებული და შეცვლილი ირანულ-ქართულ შეჯვარდინებათა ნიადაგზე.

¹ შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტ. აბულაძემ, ტფ. 1915, გვ. XXXIII.

² გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917, 21 მაისი.

³ იუსტ. აბულაძე, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისათვის, თსუ შრომ., I, 1936, გვ. 141-150.

საინტერესოდ შენიშნა იუსტ. აბულაძემ: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ირანული ლიტერატურის უბრწყინვალეს ვარსკვლავებს, ფირდოუსსა და ნიზამი განჯელს, არც სხვა რომელიმე სპარსელ პოეტს ეპიკო-რომანტიკული პოეზიის სფეროში არ შეუქმნია არც ერთი ისეთი ხასიათის ნაწარმოები, როგორც არის „ვეფხისტყაოსანი“.¹ თუმცა, იქვე არ „დაივიწყა“, რომ პოემა აგებულია აღმოსავლური ხასიათის ფაბულაზე. ავტორი სხვა წერილში შენიშნავს: „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი წარმოადგენს ტიპიური მოარული აღმოსავლური ამბის საუცხოო ნიმუშებს, რომლის შინაარსიც იძლევა მთელი აღმოსავლეთის არაბულ-ინდურ-სპარსული ყოფა-ცხოვრებისა და მსოფლმხედველობის სრულ სინთეზს. პოემაში გამოვლენილია ძველი სპარსული სეფასიანური მოძღვრების დოგმები, რომლისთვისაც უმთავრესად დამახასიათებელი იყო მნათობთა კულტი.²

სიმონ ქვარიანი „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულაზე საუბარს იწყებს ნიკო მარის კრიტიკით. შემცდარს უწოდებს მის თვალსაზრისს ფაბულის სპარსულ წარმომავლობაზე: „გამოყავს ის აპრიორული აზრი, თითქოს ეს დიდებული ნაწარმოები ქართული გენიისა იყოს უბრალო თარგმანი სპარსულიდან. მასთან ბ. მარი გაიმახის რიხით, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დედანი სპარსულ ენაზე შაჰრიარ-ნამეს სახელით ბრიტანიის მუზეუმში უნდა იყოსო.“³

¹ იუსტ. აბულაძე, შოთა რუსთაველი და ვეფხისტყაოსანი, „რუსთაველის კრებული“, ტფ. 1938, გვ 81-84.

² იუსტ. აბულაძე, რუსთაველის მსოფლმხედველობისა და ფილოსოფ. აზროვნების წყარო, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, თბ., 1938, N12, გვ. 50-53.

³ ს. ქვარიანი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, ქუთ., 1914, გვ. 28.

ს. ქვარიანი სიხარულის ტონით შენიშნავს, რომ ნ. მარის ნათქვამიდან ორ ათეულზე მეტი წელი გავიდა, მაგრამ ამ „თავაზიანმა პროფესორმა“ ველარ აღმოაჩინა შაპრიერ-ნამე. ეს გახლავთო „მხოლოდ ბ. მარის ოცნების ნაყოფი“. იგი იქვე გადაჭრით ამბობს: „არავითარი დედანი „ვეფხის ტყაოსნისა“ არ არსებობს სპარსულ ენაზე“¹ ნათქვამის განსამტკიცებლად მოუხმობს ვახტანგ მეექვსის სახელს, რომელიც ასევე პროლოგის ტაეპს („ესე ამბავი სპარსული... იგულისხმება – ტ. მ.) შეუყვანიაო შეცდომაში. ვახტანგ მეექვსეს, როგორც სპარსული ენის მშვენივრად მცოდნეს. ბევრი უძებნია სპარსეთში „ვეფხის-ტყაოსნის“ დედანი, მაგრამ ვერ უპოვიაო.

ცოტა ქვემოთ ს. ქვარიანი არ ივიწყებს ნიკო მარის მიერ მოგვიანებით „ოდნავ შეცვლილ“ აზრს: „თავისი ლექსების მხოლოდ მუსიკალური მომხიბლაობის ძალით შოთამ შესძლო მიეცა ეროვნული ქართული სახე ნათარგმნ სპარსულ მოთხრობისათვის და გაეხადა იგი ხალხის კუთვნილებად“. ან კიდევ: „როგორც ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ ამ რომანტიკულ პოემაში სურთ პოონ თამარის ქება-დიდება, ან მეთორმეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრების, სრული სურათი, ეს შესაძლოა მხოლოდ მისტიკური ახსნით, რომელიც დამყარებულია ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტების სრულ უარყოფაზე და ხელოვნურად აღგზნებულ პატრიოტიზმზე“.

არ ცხრება ს. ქვარიანი ნიკო მარის შეხედულებათა ციტირებით: „ადვილათ შესაძლოა, რომ „ვეფხის ტყაოსნის“

¹ ს. ქვარიანი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, ქუთ., 1914, გვ. 29.

გულ დასმით შესწავლამ დაგვანახოს ამ სპარსულ რომანის გალექსილ თარგმანში ქართულ-ავტორის ნაცნობ ტიპთა და მოვლენათა შეგნებული გამოხატვა თანამედროვეთათვის გასაგებ პოეტურ კილოკავებით. ამ კილოკაურ პოეზიას რამდენობით ვგრძნობთ ახლაც“ ს. ქვარიანი აქვე ახსენებს მარისებური აზრის გამომთქმელ ნ-დ-ს, რომლის მიხედვით, რუსთაველს თითქოს პოემის სიუჟეტი და დედა აზრი ნასესხები ჰქონდეს ნიზამის „ლეილმაჯნუნიანიდან“.

ს. ქვარიანი მოკლედ გადმოსცემს დავით ჩუბინაშვილის, მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძის, გულაკის, ა. ხახანაშვილის, ვაჟა-ფშაველას, პლატონ იოსელიანის, ალექსანდრე ნანეიშვილის, მურავიოვის თვალსაზრისებს „ვეფხისტყაოსანზე“. მათ ყოფს სამ ჯგუფად: 1. პირველი აზრი ეკუთვნის დ. ჩუბინაშვილს, მ. ბროსეს, ვაჟა-ფშაველას და მურავიოვს. ეს ავტორები ბრძანებენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ეროვნული პოემაა და იგი დასწერა შოთამ თამარ მეფის და მისი დროის სადიდებლათაო. 2. მეორე აზრი ალ. ხახანაშვილისაა. იგი ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ თითქოს შოთამ შეკრიბა ხალხში გავრცელებული ლექსები და თქმულეზანი ტარიელ-ავთანდილზე და მით შექმნა ეს უკვდავი პოემა. 3. მესამე აზრი კი წარმოსთქვეს პირველათ პლ. იოსელიანმა და დიმ. ბაქრაძემ; გაიმეორეს იგი გულაკმა, ნანეიშვილმა და ჯანაშვილმა.

ამ ავტორების გამოკვლევით შოთას პოემის დედა-აზრი არის დაფუძნებული იმ დროის საქართველოს ისტორიაზე. ესენი პოეზიენ დიდ მზგავსებას რუსთაველის გმირებსა და გიორგი III ოჯახს შორის და მხერენ თვით პოემაში

საქართველოს პოლიტიკურ წყობილებას, ცხოვრებას და ნაციონალურ ბრძოლას. მათი აზრით, ტარიელი და დავით სოსლანი ერთი და იგივე პირია.¹

ს. ქვარიანისთვის მიუღებელია პირველი და მეორე ჯგუფის მკვლევართა შეხედულებანი პოემის შინაარსის სიმბოლურ-ალეგორიულ დატვირთვაზე. ასევე, ნაწარმოების ქართული ხალხური სიტყვიერებიდან მომდინარეობაზე. მას გამართლებულად და შესაწყნარებლად მიაჩნია მესამე ჯგუფის (პლ. იოსელიანი, დიმ. ბაქრაძე, გულაკი ნანეიშვილი, ჯანაშვილი) მსჯელობანი. მას საფუძვლიანს და სერიოზულს უწოდებს. თუმცა, მათივე ნააზრევში აღმოუჩენია „ლოგიკური შეცდომანი, აზრების დახლართვა და ბუნდოვანობა“.² სწორად მიაჩნია იმ აზრის გათვალისწინება, რომ პოემაში ასახულია საქართველოს პოლიტიკური წყობილება, დიდი მსგავსება გიორგი მესამის ოჯახსა და თხზულების გმირებს შორის. განსაკუთრებით უწყნებს მათ ტარიელის გაიგივებას დავით სოსლანთან.

ს. ქვარიანის მტკიცებით, რუსთაველს დავით სოსლანი გამოყვანილი ჰყავს ავთანდილად, როსტევეანისა და ფარსადანის პიროვნებაში იგი ხედავს გიორგი მესამის სახეს, ნესტანისა და თინათინის სახეში კი – თამარის პიროვნებას.³ ს. ქვარიანის თანახმად, ტარიელის სახიდან უნდა ამოვიკითხოთ დემნა ბატონიშვილის (გიორგი მესამის ძმისწული) პიროვ-

¹ ს. ქვარიანი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 31-36.

² იქვე, გვ. 38.

³ იქვე, გვ. 49.

ნება, ხოლო მულღაზანზარელი ფრიდონი დემნას მომხრე სპასალარი ივანე ორბელიანია.¹ ყველაზე მიუღებელი ის არის, რომ ს. ქვარიანი გვარწმუნებს დემნა ბატონიშვილისა და თამარის ერთმანეთისადმი გამიჯნურებაში და თითქოს საამისო მასალებს „ვეფხისტყაოსანში“ პოულობს.

მ. ჩიქოვანი წერს: „დღემდე სადისკუსიო პროლოგის ცნობილი ადგილი პირდაპირ ამბობს, რომ ამბავი ქართული არ არის, ის შოთას არ გამოუგონია:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელი-ხელ საგოგმანები;
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“.

ამ სტრიქონების ავტორი საჯაროდ აღიარებს: 1. „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის „ამბავი“, მოთხრობა ქართული კი არაა, არამედ ირანული; 2. ირანული ამბავი შოთამ სთარგმნა, გადმოაქართულა; 3. „ესე ამბავი“, „ხელი-ხელ საგოგმანები“ მარგალიტივით შესანიშნავი იყო; 4. პოეტმა მოიწონა „ამბავი“ და მისი მაღალ ხელოვნებით გარდაქმნას შეუდგა. ამით მან საქმე ქნა „საჭოჭმანები“, ე. ი. გზა აუბნია მკითხველს საქმის ნამდვილი ვითარების გაგებაში“.²

ციტირებული სტრიქონების გაგებაში არსებული შეხედულებებიდან მ. ჩიქოვანმა არც ერთი არ გაიზიარა. მხედველობაში გვაქვს პოემის ფაბულის ორიგინალობისა თუ უცხოური წარმომავლობის ვერსიები. მეცნიერი გადაჭრით ამტკიცებს: „ესე ამბავი სპარსული“ არ არის ირანული,

¹ იქვე, გვ. 61.

²მ. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, ტფ. 1936, გვ. 56-57.

არც არაბული, არც ინდური წარმოშობის. ის შოთას არსა-
იდან არ უსესხებია, არც გადმოუქართულებია, არამედ
თვით საქართველოში არსებობდა, ქართულ ნიადაგზე წარ-
მოშობილი და ის გამოიყენა“.¹

„ვეფხისტყაოსნის“ ქართულ ხალხურ „ტარიელიანთან“
დაპირისპირებისას მ. ჩიქოვანი გამოყოფს მთავარ საკითხებს:
1. პოემა-რომანის გმირთა დახასიათება; 2. მოქმედ გმირთა
ნათესაური ფარგალი; 3. მათ შორის არსებული სიუჟეტური
პარალელები; 4. ისტორიულ-გეოგრაფიული სარჩული; 5.
ორივე თხზულების მხატვრული გაფორმება; 6. ხალხური
და შოთასეული „ვეფხისტყაოსნის“ ენა; 7. ხალხური „ტარი-
ელიანის“ მითოლოგია და სხვ.

მ. ჩიქოვანი „ვეფხისტყაოსნისა“ და „ტარიელიანის“ შე-
დარებითი ანალიზისას მივიდა დასკვნამდე: „ყველაფერი
ზემოთ თქმული იმას გვიმტკიცებს, რომ შოთა რუსთაველს
თავისი გენიალური პოემა-რომანის თხზვის დროს ხელთ
ჰქონია სწორედ ეს მითოლოგიური ხალხური „ტარიელიანი“
და არა სხვა რომელიმე „ამბავი სპარსული“.² მ. ჩიქოვანმა 1937
წელს გამოაქვეყნა – „ხალხური ვეფხისტყაოსანი, გამოკვლევა
და ტექსტები, მეორე შევსებული გამოცემა, იმავე წელს
რუსულ ენაზე ბეჭდავს – „შოთა რუსთაველი და ქართული
ფოლკლორი (ჟურნ. „ლიტერატურული კრიტიკა, მოსკ. 1937,
N1, გვ. 231-252). ნაშრომში ერთმანეთთან დაპირისპირე-
ბულია ხალხური „ტარიელიანი“ და რუსთაველის პოემა,

¹ იქვე, გვ. 57.

² იქვე, გვ. 63.

გავლებულია პარალელები, გაკეთებულია ანალიზი პოემის ფაბულისა და მოტივების ამირანიანის, აბესალომ და ეთერის, ტრისტან-იზოლდას ცალკეულ მოტივებთან დაკავშირებით. ავტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსნის მოტივები დამოკიდებულია ხალხური პოეზიისაგან. რუსთაველმა გადაამუშავა ხალხური ამბავი, მხოლოდ მან შესცვალა გმირთა შორის ნათესაობითი დამოკიდებულება. 1937 წელს მ. ჩიქოვანმა ჟურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „შოთა რუსთაველი და ხალხური შემოქმედება“. მასში კვლავ გამართულია მსჯელობა რუსთაველის პოემაზე ხალხური ვეფხისტყაოსნის გავლენებზე. მითითებულია ქართული ხალხურ ანდაზებზე, თქმულებებზე, ლეგენდებზე, გამოცანებზე, ზღაპრებზე, რომელთაც გამოვლინება უპოვიათ „ვეფხისტყაოსანში“. რუსთაველმა ხალხური საუნჯე შემოქმედებითად გამოიყენაო.¹

96 წლის ასაკში აკად. აკაკი შანიძე დაფიქრებულა „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის სადაურობის საკითხზე. სტატიაში „ესე ამბავი სპარსული“ დიდი მეცნიერი წერს: „მე იმ აზრისა ვიყავი და ვარ ახლაც, რომ შ. რუსთაველი მართალს ამბობს, როცა გულახდილად გვეუბნება, რომ მან თავის ნაშრომს სპარსული ამბავი დაუდო საფუძვლად. ამასთანავე, იგი იმასა ამბობს, რომ მან ეს სპარსული ამბავი წყობილ მარგალიტად გადააქცია: „აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“. ამ სიტყვებით, შ. რუსთაველი თავის დიდ

¹ მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ხალხური შემოქმედება, ჟურნ. „მნათობი“, 1937, N12, გვ. 195-212.

დამსახურებასაც აღნიშნავს, აქამდე უბრალო ამბავი იყო, ახლა კი წყობილი მარგალიტიაო. არ შეიძლება არ დავეთანხმოდით მას მისი ქმნილების ასეთ მაღალ შეფასებაში. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ მსოფლიო ლიტერატურაში მრავალი შემთხვევაა, რომ ამა თუ იმ მწერალს თავისი ქმნილების სიუჟეტი სხვისგან ესესხოს, მაგრამ ეს არავითარი გასაკიცხი ან სასაყვედურო საქციელი არ არის. მთავარია არა ის, თუ საიდან მოდის სიუჟეტი. არამედ ის, თუ რა საბოლოო სახე მიიღო მან მწერლის ხელში, როგორ შეასრულა მან თავისი ნაშრომი, როგორ ფორმებში ჩამოასხა მან სხვისგან აღებული სიუჟეტი და რა ღირებულებების მქონეა მისგან შექმნილი ახალი ნაწარმოებები. ამ მხრივ თუ განვიხილავთ ვეფხისტყაოსანს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ იგი უაღრესად მაღალ დონეზე შესრულებული მხატვრული ნაწარმოებია, რომელსაც მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში ერთი უპირველესი ადგილთაგანი უკავია. ამიტომ შეგნებულ ქართველს კი არ უნდა ეწყინოს, არამედ დიდი კმაყოფილებით უნდა შეხვდეს ჩვენი დიდი პოეტის განცხადებას, რომ მან სპარსული ამბავი გამოიყენა თავისი შედევრის შესაქმნელად¹.

სიუჟეტის ორიგინალობის საკითხს ნოდარ ნათამეც შეეხო. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანის“ პროლოგის ბიბლიოგრაფიული ცნობა („ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები...“) მაინც ნდობას არ იმსახურებს არა მარტო იმიტომ, რომ მსგავს სიუჟეტს სპარსული ლიტერატურა არ იცნობს, არამედ, პირველ რიგში, იმიტომ, რომ თვით სიუჟეტი, რო-

¹ აკ. შანიძე, ესე ამბავი სპარსული, გაზ. „მოთაობა“, 1983, N11.

გორც ის დღეს ჩვენს ხელთაა, თავის ხასიათისდა მიხედვით არ გულისხმობს რაიმე ლიტერატურულ პროტოტიპს, მით უმეტეს, არ გულისხმობს მას იმ კულტურულ სფეროში, რომელსაც სპარსული კლასიკური ლიტერატურა ეკუთვნის“.¹

მკვლევარს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ პოემა წარმოუდგენელია ქალის რაინდული კულტურისა და ქალის განდიდების გარეშე. ეს კი სრულიად უცხოაო რუსთაველის ეპოქის თუ მისი წინაპერიოდის სპარსული ეპიკისათვის. ნ. ნათაძეს მიაჩნია, რომ „საკითხი ორიგინალობა-თარგმნობის შესახებ ეხება არა სიუჟეტს მის მთლიანობაში. აგებულს საერთო კონცეფციაზე, არამედ მხოლოდ მასში შემავალ ცალკეულ ელემენტებს, როგორცაა ვეფხისტყაოსანი მოყმის ხეტიალი ტყე-ღრეში, ქალის გატაცება ზღვის გაღმა, ქაჯების მიუვალი ციხე, მეგობრისაგან მეგობრის დახმარება და სხვა“.² ავტორის ვარაუდით, შესაძლებელია უცხო წყაროს დამოწმება იმაზედაც მიუთითებდეს, რომ რუსთაველს სარწმუნოებრივი ან სხვა მიზეზით საჩოთიროდ მიაჩნია თავისი პოემის მოქმედების გაშლა უცხო ქვეყნებში, ან ქართველი გვირგვინოსნის ქება უცხო მეფეთა საქმეების თხრობით.³

საინტერესოდ შენიშნავს ნ. ნათაძე: „პოემის ზოგი სიუჟეტური ხაზები, უნდა ვიფიქროთ, მართლაც აღებულია საზღაპრო და სათავგადასავლო ლიტერატურის აღმოსავლური ფონდიდან, მაგრამ სიუჟეტის მთავარი და მსოფ-

¹ ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 66.

² იქვე, გვ. 68.

³ იქვე, გვ. 69.

ლმხედ-ველობრივი თვალსაზრისით არსებითი ხაზები, რომლებიც ავტორის ეთიკურ-მორალური და პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვას ემსახურება, სავსებით ორიგინალურია“.¹

რუსთაველის პოემის ფაბულის წყაროს საკითხზე მსჯელობისთვის განგებ ბოლოსთვის მოვიტოვეთ სამი დიდი მეცნიერის ნააზრევი. ესენი არიან: კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე და პ. ინგოროყვა. საუბარს დავიწყებთ კ. კეკელიძის შეხედულებებით. ჩვენი დიდი მეცნიერის მიერ ნაკვლევია საკმაოდ ბევრი რუსთველოლოგიური პრობლემა, რომელთა შორის არც პოემის ფაბულის წყაროზე დაფიქრება ყოფილა გამონაკლისი. ვრცელ ნარკვევში „სიუჟეტის საკითხები“ მეცნიერმა ჩამოაყალიბა თავისი კონცეფციები. ამასთანავე, მოგვცა საკითხზე გამოთქმული მოსაზრებების კრიტიკული ანალიზი.

კ. კეკელიძე, პირველ რიგში, მსჯელობს სიუჟეტის „სესხების“ თეორიაზე. საუბარს იწყებს ნიკო მარის თვალსაზრისის კრიტიკით, რომელსაც მიაჩნდა, რომ პოემის ამბავი პირდაპირი ნათარგმნია ერთ-ერთ სპარსული თხზულებისა. კვლავ გავიხსენოთ, რომ იგი 1890 წელს გაზეთ „თეატრში“ (N12) წერდა: „მე სრულ ჭემმარიტებად მიმაჩნია რუსთველისვე სიტყვები, რომ მას სპარსულიდან ნათარგმნი ამბავი უნდა გაეღექსოს „ველი ცნობებს ერთ-ერთი სპარსულ ხელნაწერზე, რომელიც ბრიტანულ მუზეუმში ინახება,

¹ შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სასკ. გამოც., ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, განმარტებანი და კომენტარები დაურთო ნ. ნათაძემ, თბ., 1974, გვ. 519.

ლონდონში და იქნება თვით ვეფხისტყაოსნის დედანია, რადგან ხელნაწერი შეიცავს შაჰრიარ-ნამეს, ესე იგი – წიგნს შარიერზე (ტარიელზე), რომლის ამბავი ინდოეთში მომხდარა“.¹

„ამრიგად, – წერს კ. კეკელიძე, – ნ. მარის აზრით, ვეფხისტყაოსანი სპარსული შაჰრიერნამეს უბრალო თარგმანია, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ ბრიტანულ მუზეუმში ვეფხისტყაოსნის დედანი არ აღმოჩნდა, შემდგომი დროის რუსთველოლოგიურ შტუდიებში შეარბილა თავისი შეხედულება იქამდის, რომ განაცხადა: ამლექსადგადმოკეთებულს სპარსულ რომანში ჩვენ გვაქვს შეგნებული დასურათხატება ქართველი ავტორის ნაცნობი ტიპებისა და მოვლენების პოეტური იგავ-გაკვრით, რომელიც განსაკუთრებით აშკარა იქნებოდა თანამედროვეთათვის“. მაგრამ იმ აზრს, რომ სიუჟეტი ნასესხებია, ის სიკვდილამდე შერჩა“.²

იუსტ. აბულაძის თვალსაზრისის გათვალისწინებით და მხარდაჭერით, კ. კეკელიძე მცდარად თვლის ნ. მარის ეტიმოლოგიურ განმარტებას, რომლის მიხედვით სახელი „ტარიელი“ გაიგივებულია სპარსულ „შაჰრიერარ“-თან. ჩვენ აქ გვაქვს წმინდა ირანული სახელი „დარიელ“. იუსტ. აბულაძემ გაარკვია, რომ ეს სახელი ჯერ კიდევ XI საუკუნის მემატიანეს აქვს მოხსენიებული. თუმცა, კ. კეკელიძის თანახმად. ის გაცილებით უფრო ადრეა შემოსული ქართველთა შორის, ბიბლიის თარგმანთან ერთად, მეხუთე-მეექვსე საუკუნეებში.

¹ გაზ. „თეატრი“, 1890, N12.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 161-162.

ამ ნათარგმნში უძველესი ირანის მეფეს დარიოზს სისტემატურად „დარიელ“ ეწოდება. მეცნიერის თქმით, „იშვიათია ისეთი ბიბლიური სახელი, რომელიც ჩვენში ეროვნულ სახელად არ ქცეულიყოს, მამასადამე, რა გარანტია გვაქვს იმისა, რომ „დარიელ-ტარიელიც“ ბიბლიიდან არ შემოვიდა ჩვენში გაცილებით ადრე ვეფხისტყაოსნის დაწერამდე“.¹

კ. კეკელიძე განიხილავს იუსტ. აბულაძის შეხედულებას, რომელიც ასე გამოიყურება: ვეფხისტყაოსანი გადმოგვცემს არაბეთში წარმოშობილ ზღაპრულ ამბავს, სპარსეთში ლიტერატურულად დამუშავებულს, სპარსულიდან ქართულ ლიტერატურაში პროზით შემოსულს და მერე რუსთაველის მიერ გალექსილს, რომელშიაც გენიოს პოეტს ნასესხები ჩონჩხისათვის დაუმატებია სხვადასხვა წყაროდან ამოღებული ეპიზოდები და ზოგიერთი დეტალი ქართულ ყაიდაზე გადაუკეთებია, როგორც, მაგალითად, დევების შესახებ თქმულება – ქაჯთა შესახებ თქმულებად.

„მოყვანილი შეხედულებისაგან, – განაგრძობს კ. კეკელიძე, – დიდად არ განსხვავდება ა. ხახანაშვილის აზრი, ვითომც ვეფხისტყაოსანში მოცემულია აღმოსავლეთში მთავარი ამბავი, რომელიც ჩვენში შემოვიდა არა ლიტერატურული, არამედ ზეპირი თქმულების გზით და ქართული ზღაპრის ხასიათი მიიღო.“² მეცნიერის თანახმად, „სესხების“ თეორიის გამზიარებელნი თავიანთ აზრს შემდეგზე ამყარებენ: პოეტს მოქმედება აღმოსავლეთის ქვეყნებში გადაუშლია, მის

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 164.

² იქვე, გვ. 162.

ნაწარმოებში მრავლადაა არაბულ-სპარსული სიტყვები, მოქმედ პირთა სახელები მაჰმადიანურია, რელიგიითა და ზნე-ჩვეულებებითაც ისინი მაჰმადიანები არიან. ამის შემდეგ კ. კეკელიძე „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან და ეპილოგიდან იმოწმებს იმ სტროფებს („ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“... „დავჯე, რუსთველმან გავლექსე“... „ესე ამბავი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი“...). რომლებიც აღნიშნულ შეხედულებათა წარმომადგენლებს თითქოს და მთავარ არგუმენტს აძლევს. აქვე დიდი მეცნიერი აფიქსირებს საკუთარ კონცეფციებს და ინტერპრეტაციებს. ამ შეხედულებათა გასაქარწყლებლად: „ცნობილია, რომ რუსთაველის ეპოქაში სპარსულ-ეპიკურ-რომანულ ნაწარმოებთ ჩვენში დიდი გასავალი ჰქონდა, მათზე დიდი მოთხოვნილება იყო, ისინი ჩვენს მწერლობაში მისაბამ ნიმუშებად ითვლებოდნენ; ამიტომ ეს სიტყვები შეგვიძლია გავიგოთ როგორც მითითება, რომელსაც განსაკუთრებული წონა და მნიშვნელობა უნდა მიეცა ვეფხისტყაოსანისათვის მისი მოქცევით ცნობილ, ავტორიტეტულ თხზულებათა წიგნში“.¹

აღნიშნულის დასასაბუთებლად კ. კეკელიძეს სათანადო მაგალითები მოაქვს ბიზანტიური, ასევე დასავლეთ ევროპის მწერლობის ისტორიიდან. ამასთანავე, მას გაუგებრობად მიაჩნია იმის მტკიცება, რომ, რადგანაც პოემით მოქმედება აღმოსავლეთის ქვეყნებშია (ინდოეთი, არაბეთი, სპარსეთი) გაშლილი, ამიტომ ის ორიგინალური არ არის: „განა ლი-

¹ იქვე, გვ. 163.

ტერატურაში ცოტაა ისეთი მაგალითი, როდესაც ამა თუ იმ ეროვნების ავტორს მოქმედება უცხო ქვეყნებში გადაუტანია. განა ის თხზულება არ შეიძლება ორიგინალური იყოს, რომლებშიაც მოქმედება უცხო ქვეყნებშია გაშლილი და „უცხონი ამბავნი უცხოთა ხელმწიფეთანი არის მოთხრობილი? მაშინ ჩვენი „ომინიანიცა“ და მთელი რიგი რომანებისა აღორძინების ხანიდან არ იქნებიან ორიგინალური“.

აქვე კ. კეკელიძე ამტკიცებს, რომ არაბულ-სპარსული სიტყვების, სახელების, აგრეთვე, მაჰმადიანური ზნე-ჩვეულების წარმოდგენაც ვერ გამოდგება პოემის არაორიგინალობის არგუმენტად: „გაუგებარი და არაბუნებრივი იქნებოდა, რომ პოეტს, რომელსაც საჭიროდ დაუსახავს მოქმედების გაშლა მაჰმადიანურ ქვეყნებში, წარმოედგინა არა მაჰმადიანური რელიგია და ზნე-ჩვეულება. არამედ, ვთქვათ, ქრისტიანული“.

კ. კეკელიძის კრიტიკის ვერც კ. ჭიჭინაძის მსჯელობანი გადაურჩა უზბეკურ ფოლკლორში აღმოჩენილი ვეფხისტყაოსნის ფაბულის თაობაზე.¹ მეცნიერი ამ საკითხზე არ შეჩერებულა, ვინაიდან „დღეს უკვე გარკვეულია, რომ უზბეკური „ფოლკლორი“ წარმოშობილა პოემის რუსული თარგმანების ნიადაგზე, რომელნიც შესრულებულნი არიან 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით.² ამასთან დაკავშირებით, მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს ერთ გარე-

¹ კ. ჭიჭინაძე, „ვეფხისტყაოსნის“ უზბეკური ვერსიები, ჟურნ. „მნათობი“, თბ., 1938, N10.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 167.

მოებაზე: კ. ჭიჭინაძის „აღმოჩენამდე“ გ. წერეთელს შუა აზიის არაბთა ფოლკლორში მიუკვლევია სახელისათვის – ნესტან-დარეჯანი. იგი იმოწმებს გ. წერეთლის ნააზრევს: „შუა აზიის ფოლკლორში არამც თუ ერთი სახელი, მთელი პოემის მსგავსი ამბავიც რომ აღმოჩნდეს. ეს კიდეც არ მოგვეცემს უფლებას, მისი „ნასესხობა“ ვამტკიცოთ, მარტო მსგავსება თავისთავად არ სწყვეტს საკითხს სესხების შესახებ, ვინაიდან გავლენა შეიძლება სხვა მიმართულებითაც წარმართულიყო, სახელდობრ, ქართულიდან ირანულისკენ და ვეფხისტყაოსნის მსგავსი ირანული მოთხრობა განგვეხილა როგორც შორეული ანარეკლი რუსთაველის გენიალური თხზულებისა. ასეთი გავლენის შესაძლებლობა (ქართულისა ირანულზე) მით უფრო საფიქრებელია, რომ, როგორც სპეციალისტების (განსვენებული გიორგი მარი) უკანასკნელი გამოკვლევებიდან ირკვევა, ირანული ლიტერატურული სამყაროსათვის უცნობი არ ყოფილა ქართველი ხალხის დიდი კულტურული ტრადიციები.¹

კ. კეკელიძე მსჯელობს „სესხების“ თეორიის ფოლკლორულ ვარიანტზე, რომლის სათავესთან ა. ხახანაშვილი დგას. მის თანახმად, ვეფხისტყაოსნის ფაბულა საქართველოში შემოსულია აღმოსავლეთიდან, როგორც მთარეული არაკი. შეესისხლხორცა იგი ქართულ სინამდვილეს საუკუნეთა მანძილზე და ქართული თქმულების ხასიათი მიიღო. ეს ამბავი (არაკი) თავს იჩენსო ხალხში დარჩენილ ნაწყვეტ ლექსებში: „ნაწყვეტი ლექსები ხალხისა გარდაქმნილა ლიტერატუ-

¹ გ. წერეთელი, ნესტან-დარეჯანი შუა აზიის არაბულ ფოლკლორში, ენიმკის მოამბე, III, თბ., 1938, გვ. 12.

რულ პოემად; პოეტს შეუტანია კაცის ამაღლვებელი და განმასპეტაკებელი გრძნობა სიყვარულისა, თავიდან ბოლომდე გაუტარებია ის აზრი და ამით შეუერთებია დაწყვეტილი ლექსები.¹

კ. კეკელიძე არ შეჩერებულა ა. ხახანაშვილის თვალსაზრისზე, ვინაიდან მას არ დაუსაბუთებია ეს შეხედულება. ამ შემთხვევაში მეცნიერი იუსტ. აბულაძის ნათქვამის გამზიარებელია: „ლექსები ხალხის ფანტაზიით დამახინჯებული რუსთაველის ლექსების უაზრო გადმოცემაა, სხვა არაფერი“.²

მოკლედ განუხილავს კ. კეკელიძეს მ. ჩიქოვანის გამოკვლევანი ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ხალხური „ტარიელიანიდან“ მომდინარეობის თაობაზე. ქართული ფოლკლორის აღიარებული მკვლევრის დასკვნით: ვეფხისტყაოსნის ამბავი არ არის სპარსული, არამედ ქართული, ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული და შემდეგ დიდი პოეტისაგან წყობილ მარგალიტად გარდაქმნილი... „ესე ამბავი“ არ არის ირანულ-სპარსული, არც არაბული და არც ინდური... „ამბავი“ არსაიდან არ შემოუტანია, არ უსესხებია, არამედ ის თვით საქართველოში არსებობდა, საკუთარ ნიადაგზე შექმნილი და ჩამოყალიბებული“.³

¹ გაზ. „ივერია“, 1890, N25; შდრ. **ალ. ხახანაშვილი**, ნარკვევები ქართული სიტყვიერების ისტორიიდან, II, გვ. 218.

² „**იუსტ. აბულაძე**, XII საუკუნის ქართ. საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი, გვ. 40; შდრ. მისივე სტატია კრებულში „შოთა რუსთაველი სკოლაში“, გვ. 211.

³ **მ. ჩიქოვანი**, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, კრებ. „შოთა რუსთაველი სკოლაში“, გვ. 150, 169, 170.

კ. კეკელიძის გაკვირვება გამოუწვევია მ. ჩიქოვანის კატეგორიულ განაცხადს: „XII საუკუნიდან მოყოლებული „ტარიელიანმა“ ვეფხისტყაოსნის დიდი გავლენა განიცადა. პოეტის ვირტუოზობამ აჯობა სახალხო მომღერალს და დაიმორჩილა იგი. შოთას ქმნილებამ ადრინდელი თქმულება დაიმსგავსა, დაიახლოვა და პირვანდელი სახე დაუკარგა, რის გამოც ჩვენთვის ახლა თითქმის შეუძლებელია აღვადგინოთ „ტარიელიანის“ პირვანდელი სახე.¹ ამაზე სამართლიანად შენიშნავდა კ. კეკელიძე: „თუ ეს ასეა, თუ ჩვენ ხელთ აღარ გვაქვს პირვანდელი სახე ხალხური ვეფხისტყაოსნისა, რა ფასი და მნიშვნელობა ექნება მსჯელობას ხალხურისა და ლიტერატურული ვეფხისტყაოსნის ურთიერთობების შესახებ. როგორ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეორე პირველზეა დამოკიდებული და არა პირიქით? ამით აიხსნება, რომ მკვლევარი მთლიანად მოსწყდა სამიებელ პრობლემას.² ასე რომ, კ. კეკელიძის თქმისა არ იყოს, მ. ჩიქოვანმა ვერ დაამტკიცა, ლიტერატურული ვეფხისტყაოსანი ხალხურიდან იყოს წარმომდგარი. მეცნიერის დასკვნით, ვეფხისტყაოსნის ამბავი რომ „ნასესხებია“, როგორც არ უნდა გავიგოთ, ეს „ნასესხობა“, და ამიტომ პოემა ორიგინალური არ არის, ეს დამტკიცებული არაა და ვეჭვობთ, რომ ოდესმე დამტკიცდეს.

როგორც ირკვევა, კ. კეკელიძე არ იზიარებს პოემის ვაბულის „სესხების“ თეორიას და არც ხალხური „ტარი-

¹ მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, კრებ. „შოთა რუსთაველი სკოლაში“, გვ. 170.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 164.

ელიანიდან“ წარმომავლობას. იგი მსჯელობას განაგრძობს ვეფხისტყაოსნის ფაბულის ორიგინალურობაზე და რუსთაველისათვის კუთვნილებაზე. პირველ რიგში, აანალიზებს ვახტანგ მეექვსის მიერ პოემისათვის დართულ კომენტარებს, სადაც საუბარია იმაზე, რომ ვეფხისტყაოსანში მოთხრობილი ამბავი სპარსეთში არ არსებობს, პოემის „ამბავიც თვითონ გააკეთა და ლექსადაც იმისათვის უბნობს, რომ სპარსის ლექსიც იმას გაუკეთებია და ამბავიც“.

კ. კეკელიძე კრიტიკულად განიხილავს იმათ თვალსაზრისებს, რომლებმაც მოგვცეს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაციები, ისტორიულ-გეოგრაფიული ანალოგიები. მხედველობაში გვაქვს დავით ჩუბინაშვილის, სიმონ ქვარიანის, მოსე ჯანაშვილის ინტერპრეტაციები. დასახელებულ მოღვაწეთა მეთოდი კ. კეკელიძეს გამართლებულად მიაჩნია იმ შემთხვევაში, თუ, რასაკვირველია, ალევორია და ისტორიული სინამდვილე ერთმანეთს ზუსტად ემთხვევიან და ისტორიული ინტერპრეტაცია ნამალადევი არ არის.

კ. კეკელიძის დაკვირვებიდან ჩანს, რომ დავით ჩუბინაშვილის მიერ მოყვანილი ანალოგიებიდან¹ ზოგი ისტორიულად არ მართლდება, ზოგი კი შემთხვევითი ხასიათისაა. ასევე, მას უსაფუძვლოდ ეჩვენება ს. ქვარიანის² ჰიპოთეზა, თითქოს პოემაში გამოხატული იყოს ტარიელისა

¹ დ. ჩუბინაშვილი, ქართული ქრისტომატია, II, პეტერბ., 1846, გვ. VI-VII.

² მოამბე, თბ., 1903, N7-8.

და ნესტანის ამბავში თამარისა და მისი ბიძაშვილის დემნას ურთიერთსიყვარულის ამბავი. რთულსა და საყურადღებოს უწოდებს მეცნიერი მ. ჯანაშვილის მიერ მოცემულ ისტორიულ პარალელებს და ანალოგიებს.¹ მიაჩნია, რომ მ. ჯანაშვილის ისტორიულ-გეოგრაფიული ინტერპრეტაცია, რომელსაც ის ერთგვარ ქრონოლოგიურ საფუძვლებსაც უძებნის, არის თვითნებობა, დამყარებული „ალბათ“ და „უნდა იყოს“-ზე, არავითარ ანალოგიას და პარალელს არ შეიცავს. კ. კეკელიძის მტკიცებულებანი მყარი არგუმენტებით არის გამაგრებული.

ამრიგად, კ. კეკელიძემ თავის ნარკვევში („სიუჟეტის საკითხები“) წარმოაჩინა ვეფხისტყაოსნის ფაბულის წყაროსთან დაკავშირებით „სესხების“ თეორიის მომხრეთა პოზიციები, მოგვცა მათი შეხედულებების, თვალსაზრისების კრიტიკული ანალიზი, რითაც საფუძველი გამოაცალა მათივე კონცეფციებს. ასევე მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა პოემის ფაბულის ისტორიულ-ნაციონალური, ალევორიული ინტერპრეტაციები, ვინაიდან, ავტორთა თვალსაზრისები გაუმართლებლად და უსაფუძვლოდ მიიჩნია, რასაც დაუპირისპირა საკუთარი არგუმენტაციები. ნარკვევიდან ჩანს, რომ კ. კეკელიძე აღიარებს ფაბულის ორიგინალობას, რუსთაველისათვის მის კუთვნილებას.

ვრცელი ნარკვევი მიუძღვნა ა. ბარამიძემ ვეფხისტყაოსნის ფაბულის წყაროს საკითხს. ნარკვევის დასაწყისში დამოწმებულია პოემის პროლოგიდან ერთი სტროფი,

¹ მ. ჯანაშვილი, თამარ მეფის მეხოტბენი, გაზ. „ტრიბუნა“, 1923, N478, 781, 783.

რომელიც ასე იწყება: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“. იქვე შენიშნულია, რომ ვახტანგ მეექვსემდე ამ სტროფის შინაარსი ჩვეულებრივი, პირდაპირი მნიშვნელობით ესმოდათ. შემდეგ ავტორი იმოწმებს ვახტანგ მეექვსის კომენტარებს პოემის ფაბულის ორიგინალობასთან დაკავშირებით ორიოდ სიტყვით მოხაზულია ნიკო მარის თვალსაზრისი ფაბულის სპარსულიდან („შაჰრიერ-ნამე“) მომდინარეობაზე. უნაყოფო მცდელობად არის მონათლული კ. ჭიჭინაძის მიერ ვეფხისტყაოსნის ფაბულის პროტოტიპების შუა აზიის ხალხთა ფოლკლორში ძიება.

ა. ბარამიძე გადაჭრით ამბობს: „უსაფუძვლოა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის (თუ ფაბულის) უცხოური წარმოშობილობის თეორია. რასაკვირველია, ვეფხისტყაოსნის ღირსებას ვერაფერს დააკლებდა, მისი ფაბულა რომ ნასესხები ყოფილიყო. ცნობილია, რომ „ნასესხებია“ ფაბულა გოეთეს „ფაუსტისა“, შექსპირის პიესებისა, ფირდოუსისა და ნიჰამ განჯელის პოემებისა, პუშკინის დონ-ჟუანისა, ვაჟა-ფშაველას რიგი ნაწარმოებისა.¹ აქვე ავტორი მსჯელობს იმაზე, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში დაწესებული ყოფილა სწორედ პოპულარული ამბების დამუშავება. პოეტებს თურმე თავიანთ მოვალეობად ესახებოდათ სახელის მოსახვეჭად თავისებური შეჯიბრების წესით (რასაც ნაზირა ერქვა) ფართოდ გავრცელებულ სიუჟეტებზე მოესინჯათ თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

სანიმუშოდ ა. ბარამიძე ასახელებს ისეთ ძეგლებს, რო-

¹ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1975, გვ. 61.

გორიცაა „ლეილმაჯუნნიანი“, „ხოსროვშირინიანი“, „იოსებ-ზილიხანიანი“, „ბარამგულიჯანიანი“ (შვიდი მთიები), „ისქანდერ-ნამე“. თურმე ამ ნაწარმოებთა სიუჟეტი (ფაბულა) მთლიანად ან ნაწილობრივ დამუშავებული ჰქონია სხვადასხვა ავტორს, რომელთა შორის არიან: ნიზამი განჯელი (1141-1211), ხოსრო დეჰლეელი (1253-1325), აბდურ-რაჰმან ჯამი (1414-1492), ალიშერ ნავოი (1441-1501). მეცნიერი აქვე ახსენებს ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“, რომელიც თავის არსებით ნაწილში მზამზარეული პროზაული ტექსტის გალექსავა. ავტორი იმასაც მოგვაგონებს, რომ აღნიშნული აღმოსავლური ტრადიცია უცხო არ ყოფილა დასავლეთის ქვეყნების ლიტერატურისთვისაც. საამისოდ დამოწმებულია აკად. ა. ვესელოვსკის სიტყვები.¹

ა. ბარამიძე წერს: „ვეფხისტყაოსნის ამბავი შეუქმნია თვითონ შოთა რუსთაველს. „სპარსული ამბის“ მომიზეზებით რუსთველმა გამოიყენა მსოფლიო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ხერხი – სიუჟეტური შენიღბვის ხერხი, სიუჟეტის ხელოვნურად გაუცხოებისა თუ გაუცნაურების ხერხი.² აქვე მეცნიერი საილუსტრაციოდ ასახელებს ორ თვალსაჩინო მაგალითს. კერძოდ, ეს არის დიდი ფრანგი მწერალი და მოაზროვნე შარლ მონტესკიე (1689-1755), რომელსაც ეკუთვნის თხზულება „სპარსული წერილები“. იგი წერილებისაგან (ეპისტოლეები) შედგება, რასაც თხზავენ „სპარსელები“. ისინი თითქოს აღწერენ სპარსეთის ამბებს. მონტესკიე თითქოს

¹ ა. ვესელოვსკი, ისტორიული პოლემიკა, ლენინგრ. 1960, გვ. 50.

² ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, გვ. 63.

ამ წერილების მთარგმნელად გვევლინება. სინამდვილეში „სპარსულ წერილებს“ საერთო არაფერი აქვს სპარსეთთან და სპარსულ ლიტერატურასთან.

„ამ თხზულებით, – წერს ა. ბარამიძე – მონტესკიემ გააშიშვლა და დაუზოგავად ამხილა ფეოდალურ-აბსოლუტისტური საფრანგეთის სამეფო კარისა და მაღალ-არისტოკრატიული საზოგადოების გახრწნილება. ოღონდ ეს ავტორმა ერთგვარად შენიღბა შინაარსობრივადაც და სიუჟეტურადაც.¹ ავტორი აქვე გვაცნობს, თუ როგორ გამოუყენებია დიდ რუს მწერალს მიხეილ ლერმონტოვს სიუჟეტური შენიღბვის ხერხი. მკითხველმა კარგად უწყის, რომ „ჩვენი დროის გმირის“ უმთავრესი მონაკვეთის ავტორობას ლერმონტოვი მიაკუთვნებს ნაწარმოების პერსონაჟს გრიგოლ პეჩორინს.

ა. ბარამიძის მიხედვით, სიუჟეტის შენიღბვის მეთოდისთვის მიუმართავს ცნობილ ქართველ პოეტს ბესარიონ გაბაშვილს (1750-1791). პოეტი „რძალ-დედამთილიანში“, კერძოდ, მის შესავალ ნაწილში გვაკვავალიანებს, თითქოს იგი გვიყვებოდეს სამარყანდში ნანახ ამბებს. „ჩვენ ვიცით, რომ ბესარიონ გაბაშვილი არ ყოფილა სამარყანდში, „რძალ-დედამთილიანის“ სიუჟეტი მან თვითონ შეთხზა. თუ თავისი პოემის სიუჟეტი ბესიკმა უცხოეთის სინამდვილეს დაუკავშირა, ამით იგი მოერიდა თხზულებაში მოთხრობილი ამბის საჩოთირო მხარეს“, – წერს ა. ბარამიძე.² იგი, ასევე, გაკვრით მიგვანიშნებს დიდ ფანგ მწერალზე – ლესაჟი (1668-1747),

¹ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, გვ. 63.

² იქვე, გვ. 64.

რომელსაც თავისი ნაწარმოების („კოჭლი ეშმაკი“) სათაური, კვანძი და კომპოზიცია უსესხებია ესპანელი მწერლისაგან. პარიზის ცხოვრების აღწერა შეუნიღბავს მადრიდის აღწერით.

ა. ბარამიძე აქცენტს აკეთებს იმაზე, თუ რა მიზეზით მიმართა რუსთაველმა სიუჟეტური შენიღბვის მეთოდს: „შენიღბვის საჭიროებას ალბათ იწვევდა ვეფხისტყაოსანში ასახული ამბის გამჭვირვალე ისტორიული ასოციაციები და პოემაში გატარებული სოციალურ-პოლიტიკური და სარწმუნოებრივ-ფილოსოფიურ შეხედულებათა რადიკალიზმი. ამიტომაც პოეტმა თავისი თხზულების წყაროდ გამოაცხადა „სპარსული ამბავი“, მოქმედება გაშალა უცხოეთის დიდ გეოგრაფიულ არეზე (არაბეთსა, ინდოეთსა, ხატაეთსა და გამონაგონ ქვეყნებში – მულღანზანზარში, გულანშაროში, ქაჯეთში...), შესაფერისადვე უცხოური სახელი შეარქვა თავის ზოგიერთ პერსონაჟს, მათ შორის ნესტან-დარეჯანს, თუმცა, ზოგიერთს მაინც ქართული სახელწოდება შეუნარჩუნა (ტარიელი, თინათინი“).¹

ა. ბარამიძე საუბარს განაგრძობს პოემის ფაბულისა და იდეური შინაარსის ორგანულ კავშირზე საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან, ქართველი ხალხის ცხოვრებასთან, მოწინავე ქართველი საზოგადოების აზროვნებასთან. ამ მხრივ დაკვირვებული მკვლევარებიდან, პირველ რიგში, იმოწმებს თეიმურაზ ბატონიშვილს: „ესე უკვე წიგნი ლექსთან ვეფხისტყაოსანი ყოველთა ქართველთა სიბრძნის მოყვარეთა შორის უმეტეს ყოველთა ზედა სხვათა ბევრთა

¹ ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი, გვ. 65.

თხზულებისაგან არს უმეტეს მოწონებული, ვინაიდან ქართულსა ხარაკტერსა ზედა არს შეწყობილი. ხოლო მელექსობასა შინა რუსთაველი არცა ბაძავს ბერძენთა, არცა სპარსთა, არამედ აქვს მას მხოლოდ აღრჩეულ ლექსთა თვისთა შეთხზვისათვის ქართული ხარაკტერი და ჩვეულება, გინა ზნეობა“.¹

თეიმურაზ ბაგრატიონის თვალსაზრისის განვითრებად ესახება ა. ბარამიძეს მარი ბროსეს გამონათქვამი: „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ზნეობა, ყოფაქცევა გულოვნობა, ძმური მეგობრობა უთუოდ ქართველთა გულს, ზნეობას, ერთი სიტყვით, ვსთქვათ, სრულს მათს ხარაკტერს გამოგვიხატავენ“. მარი ბროსეს მიხედვით, რუსთაველს თვით შეუთხზავს ზღაპარი ესე უფრო თამარ მეფის ქებისათვის და დაუწერია შეთანხმობითა საქართველოს მოთხრობისათა“.²

მართებულად შენიშნა ა. ბარამიძემ, რომ მარი ბროსემ სათავე დაუდო ვეფხისტყაოსნის შინაარსის ალეგორიულად და მის ისტორიულ-ნაციონალურ ინტერპრეტაციას. მის გზას გაჰყვა დავით ჩუბინაშვილი,³ რომელსაც ეკუთვნის ისტორიული ანალოგების დადგენის პირველი სერიოზული ცდა. დავით ჩუბინაშვილის ინტერპრეტაციების მხარდამჭრნი აღმოჩნდნენ დიმიტრი ბაქრაძე.⁴

¹ თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბ., 1960, გვ. 290-291.

² იხ. ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემა პეტერბურგში, რომლის შესავალ ნაწილში ავითარებს აღნიშნულ თვალსაზრისებს მარი ბროსე, გვ. IX.

³ ქართული ქრისტომატია, II, გვ. V-VIII.

⁴ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, დ. ბაქრაძის რედაქციით, ტფ. 1885, გვ. 218-219.

მოსე ჯანაშვილი,¹ ვაჟა-ფშაველა,² ხოლო მოგვიანებით – დიმიტრი ბენაშვილი,³ დიმიტრი ქუმსიშვილი.⁴

ა. ბარამიძე არ იზიარებს ვეფხისტყაოსნის ალევორიული ინტერპრეტაციის თვალსაზრისებს: „ვეფხისტყაოსნის“ ამბისა და პერსონაჟების მოხმობილი ანალოგიები და პარალელები საქართველოს ისტორიული სინამდვილიდან ზოგჯერ შემთხვევით ხასიათს ატარებს და ნებისმიერია. ამისდა მიუხედავად ჩვენთვის უდავოა, რომ რუსთაველის პოემაში გარკვეული ასოციაციებით ნამდვილად აღბეჭდილია მე-12 საუკუნის საქართველოს სწორედ კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის ნიშანდობლივი მოვლენები და ცალკეული ფაქტებიც. ზოგი რამ ამ მხრით სრულიად გამჭვირვალეა.⁵ მეცნიერი სამართლიანად ფიქრობს, რომ ვეფხისტყაოსნის მოტივების აღნიშნულმა გამჭვირვალე ისტორიულმა ასოციაციებმა შეასრულა გადამწყვეტი როლი პოემის სიუჟეტის გაუცხოურების საქმეში.

ა. ბარამიძე გაკვრით ეხება საკმაოდ გავრცელებული შეხედულებებს, თითქოს რუსთაველი უშუალოდ მონაწილეობს პოემაში, როგორც ლიტერატურული პერსონაჟი. იმოწმებს ა. წერეთლის ნათქვამს: „ბევრნი დღესაც კი ამტკიცებენ, რომ

¹ შოთა რუსთაველი, ტფ. 1866, გვ. 66-93.

² ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, VII, თბ., 1956, გვ. 318-330.

³ დ. ბენაშვილი, სახისა და ხასიათის პრობლემა ვეფხისტყაოსანში, თბ., 1954, გვ. 72, 99, 100, 232, 235, 236.

⁴ დ. ქუმსიშვილი, რუსთაველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1968.

⁵ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, გვ. 68.

რუსთაველმა მისი და თამარ მეფის სიყვარული აღწერა.¹

ვაჟა-ფშაველას ვარაუდით, რუსთაველს „ტარიელად თავისთავი ჰყავს წარმოდგენილი“.² ს. გორგაძის მიხედვით, შესაძლებელია ავთანდილი იყოს თვითონ ავტორი.³ პ. ინგოროყვამ ის არსი განავითარა, რომ ვეფხისტყაოსანში პოეტურად აისახა რუსთაველის (ტარიელის) და თამარის (ნესტანის) ცხოვრების ამბავი: ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს ისტორიული შიფრის შემცველ მხატვრულ ნაწარმოებს, ხოლო „ამოცნობა ვეფხისტყაოსნის ისტორიული შიფრისა – ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა პოემის სხვა საკითხთა შორის... ის იძლევა თვით ვეფხისტყაოსნის გასაღებს“.⁴ ა. ბარამიძე ვრცლად ჩერდება თავის ნარკვევში პ. ინგოროყვას ამ გახმაურებულ თეორიაზე.

ა. ბარამიძისთვის საკვებით სამართლიანად მიუღებელი აღმოჩნდა პ. ინგოროყვას მიერ „რუსთველიანაში“ და „რუსთველიანას ეპილოგში“ შემოთავაზებული ვეფხისტყაოსნის ისტორიული შიფრისა და ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების შინაარსი. მეცნიერის არგუმენტირებული მტკიცებულებებით, პ. ინგოროყვას ეს ცდები უმეტესწილად სათუო ვარაუდების ფარგლებში რჩება. ტარიელის თავგადასავლის მიხედვით, შეუძლებელია რუსთაველს ბიოგრაფიული საკი-

¹ ა. წერეთელი, სამი ლექცია ვეფხისტყაოსანზე, „კრებული“, 1898, VI, განყოფ. I, გვ. 23.

² ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, VII, თბ., 1956, გვ. 323.

³ ს. გორგაძე, ორიგინალობის საკითხი რუსთაველის შემოქმედებაში გაზ. „ბახტრიონი“, 1922, N5.

⁴ პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, თბ., 1963, გვ. 200-201.

თხების თუ გინდ ზოგადი ხაზებით გადაწყვეტა.¹

ა. ბარამიძეს მიუღებლად მიაჩნია ს. კაკაბაძის მიერ მოცემული ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის უცხოური წარმოშობილობის თეორია, რომელსაც უნიადაგო მცდელობას უწოდებს. რა თქმა უნდა, სიმართლისგან შორს დგას და კრიტიკას ვერ უძლებს ს. კაკაბაძის „მტკიცებულებანი“, თითქოს ვეფხისტყაოსანი სპარსულ ენაზე შეექმნას „თამარიანის“ ავტორის ძმას პროზული ფორმით. იგი თურმე სპარსულიდან უთარგმნია სარგის თმოგველს, ხოლო გაუღექსავს რუსთაველს.

ა. ბარამიძე ასევე აკრიტიკებს და, ცხადია, არ იზიარებს მაგალი თოდუას თვალსაზრისს, რომელმაც თითქოს „ჩარდავრიშიანში“ მიაგნო ვეფხისტყაოსნის კვალს და გამოავლინა პოემის მთლიანი ფაბულური ჩონჩხი.² ა. ბარამიძე შენიშნავს: „ჩარდავრიშიანი“ ახლა ყველასათვის არის ხელმისაწვდომი. რამდენიმეჯერ დაიბეჭდა ამ მოთხრობის ძველი ქართული თარგმანის ტექსტი. გამოქვეყნდა ახალი ჩინებული თარგმანიც, რომელმაც შეასრულა თვითონ მაგალი თოდუამ (ოთხი დერვიშის ამბავი, „ბაღდადელი თვალთმაქცი“). გამოტეხილად უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ გაგვაოცა მ. თოდუას „მიგნებამ“, „ჩარდავრიშიანის“ ზღაპრულ-ფანტასტიკურ ამბებში ვეფხისტყაოსნის ვერავითარ „ჩონჩხს“ თუ ნაკვალევს ვერ იპოვის აკვიატებული აზრის უქონელი მკითხველი. ჩვენი დასკვნის შესამოწმებლად საკმარისი

¹ ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი, გვ. 69-79.

² მ. თოდუა, ქილილა და დამანას საბასეული ვერსია, თბ., 1967, გვ. 23-26.

იქნება „ჩარდარვიშიანის“ საგულდაგულო გადაკითხვა.¹

სრულ მეცნიერულ უმწეობად მიიჩნია ა. ბარამიძემ დ. დანდუროვის მიერ ვეფხისტყაოსანში ისტორიული ანალოგებისა და პარალელების უკიდურესობამდე მიყვანილი ძიება. დ. დანდუროვის მიხედვით, ტარიელი დავით სოსლანია, თინათინი და ნესტან-დარეჯანი – თამარი, ავთანდილი თვითონ რუსთაველია, ფრიდონი კი – გიორგი რუსი (თამარის პირველი ქმარი)² „საკვირველია, – წერს ა. ბარამიძე, – როგორ დაძმობილდნენ და შეერთებულის ძალით შეუდგნენ ნესტან-თამარის გათავისუფლებისათვის ბრძოლას ტარიელ-სოსლანი, ავთანდილ-რუსთველი და ფრიდონ-გიორგი რუსი? როგორ შეიძლებოდა დავით სოსლანის ძმობილისა და პოლიტიკური მოკავშირის როლში გამოსულიყო (და ისიც თამარის ხელის მოსაპოვებლად) გიორგი რუსი?“³ ა. ბარამიძემდე დანდუროვის მოსაზრებანი გააკრიტიკეს და უგულვებელყვეს კ. დონდუამ⁴ და კ. ჭიჭინაძემ.⁵

ზემოთ გავცანით ა. ბარამიძის კრიტიკულ დამოკიდებულებას კ. ინგოროყვას მიერ „რუსთველიანაში“ და „რუსთველიანის ეპილოგში“ მოცემულ ვეფხისტყაოსნის ისტორიული შიფრისა და ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების შინაარსის მიმართ. ახლა კი განვიხილავთ

¹ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, გვ. 63.

² დ. დანდუროვი, შოთა რუსთაველი (რუს.), მოსკ., 1937.

³ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, გვ. 68.

⁴ კ. დონდუა, საშინელი უმეცრება, ჟურნ. „მნათობი“, 1938, N1, გვ. 193-196.

⁵ იხ. კ. ჭიჭინაძის წერილი გაზ. „ზარია ვოსტოკაში“, 1938, იანვარი.

საკუთრივ პ. ინგოროყვას შეხედულებებს ვეფხისტყაოსნის ფაბულის გარშემო. იგი დარწმუნებულია, რომ მის მიერ რუსთაველის ბიოგრაფიის აღდგენით საბოლოოდ გადაწყვიტა პოემის სიუჟეტის თუ ფაბულის ორიენტირების პრობლემა. მას ყველაზე ნაკლებ დასაბუთებად მიაჩნია სიუჟეტის ფოლკლორიდან მომდინარეობის ჰიპოთეზა: „შოთას პოემა კი არ არის დამოკიდებული ხალხურ ვეფხისტყაოსანზე, არამედ, პირიქით, ხალხური ვეფხისტყაოსანი მიმდინარეობს შოთას პოემიდან... რასაკვირველია, არ გვინდა ვთქვათ, ვეფხისტყაოსანში არ იყოს ქართული ფოლკლორიდან შეთვისებული ელემენტები. ასეთი ელემენტები პოემაში ჩანს“.¹

ამის შემდეგ პ. ინგოროყვა განიხილავს ვეფხისტყაოსნის ფაბულის ირანული წარმოშობის თეორიას თუ ჰიპოთეზას. ეს ჰიპოთეზა ემყარება პოემის პროლოგში გახმოვანებულ ცნობას ფაბულის „სპარსულობაზე“ („ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“...). მეცნიერი დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ „სპარსული ამბავი“ პროლოგში წარმოადგენს გვიანი დროის ჩამატებას ანუ ინტერპოლაციებს და იგი რუსთაველს არ ეკუთვნის, რაც, ერთი შეხედვით, გასაზიარებელი მოსაზრებაა. ჩვენც ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ „ესე ამბავი სპარსული“... სპარსული ლიტერატურული ორიენტაციის მქონე ვინმე პოეტი – ინტერპოლატორის ნახელავია.

პ. ინგოროყვა წერს: „ირკვევა, რომ სტროფი, რომელიც ვეფხისტყაოსნის ამბავის „სპარსულობას“ ეხება, თავდა-

¹ პ. ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, I, თბ., 2016, გვ. 316.

პირველად არ შედიოდა პოემის ტექსტში, არამედ მიწერილი ყოფილა შენიშვნის ხელნაწერის არშიაზე. ამით აიხსნება, რომ შემდეგ ამ სტროფისათვის გარკვეული ადგილი ვერ მიუჩენიათ. შემდეგი დროის გადამწერლებმა არ იციან, თუ პოემის რომელ ადგილას ჩააკერონ ეს სტროფი, რომელიც არშიაზე ყოფილა მიწერილი, და ათავსებენ ამ სტროფს ხან ვეფხისტყაოსნის პროლოგში, ხან პროლოგის გარეთ – პირველ თავში.¹

ამასთანავე, პ. ინგოროყვა ერთ საგულისხმო მომენტზე ამახვილებს ყურადღებას: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში სხვადასხვა დროს ჩამატებულ ინტერპოლაციებში სიტყვა „სპარსულობაში“ გულისხმობდნენ არა სიუჟეტის სპარსულიდან სესხებას, არამედ, ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობას, ვეფხისტყაოსნის არაქტრისტიანულს, „მწვალებლურს“ (ერეტიკულს) იდეოლოგიას. მეცნიერს არგუმენტად მოაქვს: „ნათქვამია იგ სპარსულად... არას შეიქმს ხორცს, არ სულად... არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად, არას გვარგებს საუკუნოს რა დღე იქმნას აღსასრულად“. სწორედ ამ სტროფს მიიჩნევს მკვლევარი ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სპარსულიდან მომდინარეობის ლეგენდის შეთხზვის მიზეზად: „გვიანი დროის ინტერპოლატორს სრულიად აურევია ძველი ტრადიცია, რომელიც ეხებოდა არა სიუჟეტურს, არამედ იდეოლოგიას, ვეფხისტყაოსნის არაქტრისტიანულს მომდევნებას.“²

¹ პ. ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, I, თბ., 2016, გვ. 318.

² იქვე, გვ. 319.

„ვეფხისტყაოსნის“ არაქრისტიანულს მოძღვრებაზე“ პ. ინგოროყვას მსჯელობა უნიადაგო მცდელობაა, უსაფუძვლოა, კრიტიკას ვერ უძლებს. სიმართლისაგან შორს დგას, ცხადია, იგი არ გაიზიარა სამეცნიერო ლიტერატურამ. პოემის სიუჟეტის საკითხთან დაკავშირებით მკვლევარს მოტანილი აქვს ერთი ტექსტი, რომელსაც XIV საუკუნით ათარიღებს და რომელსაც მიაწერს სარგის მცირე თმოგველს და შეტანილიაო ვეფხისტყაოსნის ხელნაწერში (H-2074). მასში თამარ მეფის ქებაა აღვლენილი:

„კვლავ ქებანი ვჰკადრენ ვის მე, არვის უთქვამს ჩემსა წინა, მისთვის (თამარისთვის) ვლექსობ, სიტურფითა ვინ შუქთა ჰფენს ხმელთა შინა“.

პ. ინგოროყვა ამ ცნობას ემყარება, როგორც ერთ-ერთ არგუმენტს, პოემის ფაბულის ორიგინალობის დასასაბუთებლად. მკვლევარი თავის შეხედულებას ამაგრებს ვახტანგ მეექვსის კომენტარების მოშველიებით, სადაც საუბარია ფაბულის ორიგინალობაზე. იგი არც ნიკო მარის დაუსაბუთებელ მოსაზრებას ივიწყებს „სესხების“ თეორიაზე: „საქმე ისაა, რომ ირანულსა და სხვა აღმოსავლურ ლიტერატურაში არათუ არ მოიპოვება ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის შემცველი ნაწარმოები, არამედ აქ არც ერთ სალიტერატურო წყაროში არ გვხვდება არავითარი ხსენება ან ციტატი ვეფხისტყაოსნიდან... არსად არ არის მოხსენებული ვეფხისტყაოსნის თუნდა რომელიმე გმირის სახელიც კი“...¹ მკვლევარი საუბრობს პოემაში დაფიქსირებულ ანტიისპარ-

¹ პ. ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, I, გვ. 321.

სულ ტენდენციებზე, როგორც ერთ-ერთ მაჩვენებელზე, რომ სიუჟეტი არ არის ირანული წარმოშობის.

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ორიგინალობის დასამტკიცებლად პ. ინგოროყვა ძირითად და გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს პოემაში ასახულ ისტორიულ გარემოს. პირველ რიგში ასახელებს ქალის კულტს და რაინდობას, რაც საქართველოს სინამდვილიდან არის აღებული. ვეფხისტყაოსანი ამტკიცებსო ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეას ცნობილი აფორიზმით: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. წამოყენებულია პრინციპი ქალისა და ვაჟის თანასწორობისა პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ეხება ქალის გამეფების ამბავს არაბეთსა და ინდოეთში, რაც გამოძახილს პოულობს ქართულ სინამდვილეში თამარის გამეფებასთან დაკავშირებით. ანალოგიურ მოვლენას საქართველოს გარეშე არსად არ ჰქონიაო ადგილი იმდროინდელ აღმოსავლეთში.

პ. ინგოროყვას დასკვნით: „პრობლემა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტისა, რომლის გამო ხანგრძლივი კამათი იყო გამართული რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში, საბოლოოდ გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც აღდგენილ იქნა პოეტის ბიოგრაფია და ამასთან დაკავშირებით, ამოშიფრულ იქნა ისტორიული ქარგა ვეფხისტყაოსნისა“.¹ ეს ბოლო მოსაზრება, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, არ დამკვიდრდა რუსთველოლოგიაში. კვლავ გავიმეორებთ ა. ბარამიდის ნათქვამს: „პ. ინგოროყვას ეს ცდები უმეტესწილად სათუო ვარაუდების ფარგლებში რჩება. ტარიელის თავგა-

¹ პ. ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, I, გვ. 324.

დასავლის მიხედვით, შეუძლებელია რუსთაველის ბიოგრაფიული საკითხების თუ გინდ ზოგადი ხაზებით გადაწყვეტა“. საუბარია პ. ინგოროყვას მტკიცებულებაზე ტარიელისა და შოთას საგვარეულო ისტორიის იგივეობის შესახებ,¹ ასევე, ნესტან-დარეჯანის იდეალურ პორტრეტში თამარის ბიოგრაფიის ცალკეული ხაზების გამეორებაზე,² ტარიელ-შოთას ტახტის მემკვიდრეობის უფლებებზე.³ ვეფხისტყაოსნის დანარჩენ პერსონაჟებზე (ფარსადანი, დავარი),⁴ შოთას განდევნაზე სამეფო კარიდან და მისი უცხოეთში ყარიბობაზე,⁵ შოთას დაბრუნებაზე საქართველოში,⁶ შოთას ცხოვრების უკანასკნელ პერიოდზე.⁷

აქვე შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ცნობილი ინგლისელი მეცნიერის, ბრიტანეთის სამეფო აკადემიის წევრის მორის ბოურას ნაშრომს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, რომელიც შესულია მისივე წიგნში – „შთაგონება და პოეზია“. სხვადასხვა პრობლემური საკითხების განხილვისას მისი დაკვირვების საგნად ქცეულა პოემის პროლოგისეული „ესე ამბავი სპარსული“... მ. ბოურა საკითხზე საუბარს ასე იწყებს: „რუსთაველის ორიგინალობა და დამოუკიდებლობა საკმაოდ ცხადია. ამიტომ მით უფრო აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ

¹ პ. ინგოროყვა, რუსთაველოლოგიური თხზულებანი, I, გვ. გვ. 331-334.

² იქვე, გვ. 294-295.

³ იქვე, გვ. 295-299.

⁴ იქვე, გვ. 299-302.

⁵ იქვე, გვ. 303-310.

⁶ იქვე, გვ. 310-312.

⁷ იქვე, გვ. 312-314.

პოეტმა, რომელიც დიდად განსწავლული იყო სპარსულ პოეზიაში და მისგან განსხვავებული მანერა გამოიმუშავა, თავისი პოემის დასაწყისში სრულიად საწინააღმდეგო რამ განაცხადა¹. ამის დასადასტურებლად მეცნიერს იქვე დამოწმებული აქვს პროლოგის ცნობილი სტროფი: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“...

მ. ბოურას ამ სტროფის პირდაპირი აზრით გაგებაში ეჭვი ეპარება, ვინაიდან სპარსულ ლიტერატურაში ტარიელი და „ვეფხისტყაოსნის“ სხვა გმირები არსად მოიხსენიება და, საერთოდ, საქართველოს გარეთ არაფერი ამჟღავნებს მათთან მსგავსებას. მეცნიერის ფიქრით: „რასაკვირველია, რუსთაველის ამბავმა, თუკი იგი სპარსული წარმოშობისაა, კვალი რატომ ვერსად დატოვა“².

მეცნიერი მზადაა გაიზიაროს ასეთი მოსაზრება: „რუსთაველი პოემას „სპარსულ ამბავს“ იმიტომ უწოდებს, რომ იგი სპარსულის მსგავსი მაღალი, დახვეწილი პოეტური გემოვნებით არის შესრულებული იმ მხრით, რაც სიყვარულსა და თავგადასავალს შეეხება და სპარსულისებრი მდიდარი, მკაფიო პოეტური სახეებითაა აღბეჭდილი, სპარსეთი იმ დროის დიდი კლუტურული ძალა იყო და რუსთაველს ეგებ იმის ჩვენება უნდოდა, რომ იგი იცნობდა ხელოვნების უახლეს მიმდინარეობებს და მიღწევებს. ამიტომ უწოდებს თავის პოემას სპარსულს, რისი განცხადების შედეგადაც წმინდაწყლის ქართულ პოემას წერს“³.

¹ მ. ბოურა, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 15.

² იქვე.

³ იქვე.

მ. ბოურა მხედველობიდან არ უშვებს იმ გარემოებას, რომ რუსთაველი კარგს არაფერს ამბობს სპარსელებზე, რომლებიც თან მაჰმადიანებიც არიან. პოემაში ერთადერთი სპარსელია გამოყვანილი – უფლისწული ხვარაზმმა და მასაც საშინელი დღე დაადგებაო.¹ მკვლევარი აქვე აფიქსირებს პოემის გმირების ნათქვამს სპარსელებზე: „კადრე, თუ სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა“: „ეგე საქმე არ იქნების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“. მეცნიერის თქმით: „რასაკვირველია, რუსთაველმა ბევრი რამ ისწავლა სპარსული პოეზიისაგან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ამბავი, ან ამ „ამბის“ დამუშავება სპარსული წარმოშობისა იყოს“.² ამრიგად, მ. ბოურა ერთმნიშვნელოვნად აფიქსირებს თავის პოზიციას „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წყაროსთან დაკავშირებით. უარყოფს მისი სპარსული წარმომავლობის თეორიას და მკაფიოდ აცხადებს რუსთაველის კუთვნილებად.

როგორც დავინახეთ, „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წარმომავლობაზე პროლოგის მონაცემებმა სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი ახსნა-განმარტებანი გამოიწვია. „ესე ამბავი სპარსულის“ განსხვავებული, ურთიერთგამომრიცხველი ინტერპრეტაციებიდან სპეციალურად ბოლოსთვის მოვიტოვებ რევაზ სირამის მოსაზრებანი, რომელიც სხვებისაგან განსხვავებით ყველაზე მართალ, სწორ და მისაღებად მიგვაჩნია. ამ საკითხს მეცნიერი შეეხო თავის პირველივე მონოგრაფიაში. „ძველი ქართული თეორიულ-

¹ მ. ბოურა, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 15.

² იქვე.

ლიტერატურული აზროვნების საკითხები“,¹ ამ პრობლემას მიუბრუნდამეორემონოგრაფიაშიც – „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან“,² ასევე წიგნში – „სახისმეტყველება“.³

რ. სირაძე წერს: „ამაო იყო ის სინანული, რომელიც გამოიწვია ნიკო მარის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის სპარსულად გამოცხადებამ. პოემის ღირსება არაფერს დააკლებდა, მისი ფაბულა სპარსულიც რომ ყოფილიყო. მაგრამ პოემის ფაბულა არაა სპარსული“.⁴ ყოველივე ზემოთქმულს რ. სირაძე უკავშირებს პოემის ცნობილ სტროფს, რომელსაც კვლავ გავიმეორებთ:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები.
ვპოვე და ლექსად გარდავსთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
ჩემმან ხელმქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან
ნები“.

ამ სტროფის კომენტირებას რ. სირაძე ასე იწყებს: „ხშირად ეს სიტყვები პირდაპირ ესმოდათ: ეს ამბავი, ანუ ამბავი, რომელიც პოემაშია მოთხრობილი, სპარსულია: იგი ქართულად იყო ნათარგმნი, იშვიათი და ყველას მოსაწონი ამბავი მე ვიპოვე, ლექსად გავაწყვე და ამით საჩოთირო საქმე ჩავიდინე, ამიტომ „ჩემ ხელ-ქმნელს“, ანუ თამარს, ვთხოვ ამისი ნება დამართოს“.⁵ იქვე სწორად შენიშნავს მეცნიერი, რომ

¹ რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978.

² რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975.

³ რ. სირაძე, სახისმეტყველება, თბ., 1982.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

ვინც ასე გაიგებდა რუსთაველის სიტყვების არს, ბუნებრივია, პოემის ფაბულასაც სპარსულად მიიჩნევდა. ასეთი გაგება ძველადაც იყო და დღესაც არსებობს. ძველთაგანვე იწყეს მსგავსი ამბის ძებნა სპარსულ მწერლობაში ან თქმულებებში, მაგრამ ამაოდ.¹

რ. სირამე ფიქრობს, რომ პოემის პროლოგიდან ზემოთ დამოწმებულ სტროფში სულ სხვაგვარი აზრია გამოხატული. იგი ჩვენს ყურადღებას მიაქცევს მთავარ გარემოებას: „სიტყვა „სპარსული“ ძველად აღნიშნავდა არა მხოლოდ წარმოშობით სპარსულს, არამედ გამონაგონს. „სპარსული ამბავი“ კი ნიშნავდა გამონაგონ ამბავს, შეთხზულ ფაბულას, ანუ ისეთ ამბავს, რომელიც ნამდვილად არ იყო მომხდარი, არ იყო ისტორიული, ასე რომ, რუსთაველსაც „სპარსული ამბავი“ შეეძლო ამ აზრით ეხმარა, რაკილა ის ისტორიას მხატვრულად და არა პირდაპირ ასახავდა“.²

ამდენად, რუსთაველოლოგიურ მეცნიერებაში რ. სირამემ პირველთაგანმა სწორი ამოხსნა მოუძებნა გამოთქმას – „ესე ამბავი სპარსული“, რომ „სპარსული“ აქ მხოლოდ გამონაგონს უნდა ნიშნავდეს, რომ ეს ამბავი თავისი ლიტერატურული ხასიათითაა სპარსული; „ესე ამბავი სპარსული“ წარმოშობაზე კი არ მიგვითითებს, არამედ, ამბის ლიტერატურულ ბუნებაზე.³

ამის შემდეგ გასარკვევი რჩებოდა შესიტყვება „ქართულად ნათარგმანები,“ დღეს ჩვენ გვესმის, როგორც თარ-

¹ რ. სირამე, სახისმეტყველება, თბ., 1982.

² იქვე, გვ. 192.

³ იქვე, გვ. 193.

გმნილი. ძველად კი ეს სიტყვა ნიშნავდა გაგებულს, გააზრებულს, განმარტებულს. „ქართულად ნათარგმანები“ კი გულისხმობდა გააზრებულს და გაგებულს ქართველთა თვალსაზრისით“.¹

მთელი სტრიქონი – „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ რ. სირამეს ასე აქვს გაგებული: ეს ამბავი გამონაგონია, სპარსულია თავისი ლიტერატურული ხასიათით და ბუნებით, მაგრამ გააზრებულია ქართული თვალსაზრისით.²

ამის შემდეგ, რ. სირამის დაკვირვების საგნად ქცეულა პროლოგისეული სიტყვა „ვპოვე“. „ვპოვეო ეს ამბავი, სად შეიძლება ეპოვა პოეტს? ცხადია, ქართულ სინამდვილეში, რადგანაც ის, რასაც პოემის ფაბულა გვიყვება. ასახავს თამარისდროინდელ საქართველოს ამბებს. მაგრამ ეს ამბები მემატანის სიზუსტით როდია გადმოცემული. აქ ქართული სინამდვილის მხატვრული ასახვაა. აქ კარგად ჩანს გიორგი მესამის მიერ თამარის გამეფების ანარეკლი. ასევეა ჩაქსოვილი ქართული სინამდვილე ინდოეთის სამეფოს ამბებში, რაც მთავარია, – განაგრძობს მეცნიერი, – „ვეფხისტყაოსნის“ ქვეყნების პატრონ-ყმური სახელმწიფოებრივი. წყობილებაა, რაც არ იყო არც იმდროინდელ არაბეთში და არც ინდოეთში და იყო საქართველოში, ავთანდილზე ნათქვამი – „ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული“ კარგად გვიჩვენებს, რომ მისი არსებობა მხატვრული პირობითობაა“.³

¹ რ. სირამე, სახისმეტყველება, გვ. 193.

² იქვე.

³ იქვე.

დასასრულს რ. სირაძე შენიშნავს: „ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლე, რაც რენესანსულმა ესთეტიკამ დაამკვიდრა, ეს იყო ნაწარმოებში გამონაგონი სინამდვილის შემოტანა. ეს დიდ გარდატეხას მოასწავებდა... ამიერიდან თვით ხელოვანი ქმნის ახალ სინამდვილეს, გამონაგონ სინამდვილეს, თვით გვთავაზობს თუ რა უნდა იყოს გასაიდებალელი... ამგვარ ესთეტიკურ პრინციპს მიჰყვება რუსთაველიც და ამგვარივეა „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულაც“.¹

შეიძლება დავასკვნათ: რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წყაროს და წარმომავლობის კვლევა-ძიება სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა. იგი თავის გარშემო იკრებდა შემდეგ პრობლემებს: პოემის პროლოგის ცნობები ფაბულის წარმომავლობაზე და მათი განსხვავებული ახსნ-განმარტებანი; ფაბულის ორიგინალობის საკითხი; მისი უცხოური წარმოშობის თეორიები; ფოლკლორული წარმოშობის თეორია, პოემის შინაარსის ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაცია, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის გაუცხოებისა და შენიღბვის თეორია და ა.შ.

ამ პრობლემებით, ქართველებთან ერთად, უცხოელი მკვლევრებიც იყვნენ დაინტერესებულნი. მის გარშემო შეიქმნა უზარმაზარი ლიტერატურა. ვეფხისტყაოსნის ფაბულის სადაურობით დაინტერესებას და მის კვლევა-ძიებას ტონი მისცა პოემის პროლოგის მეცხრე სტროფმა, რომელიც ასე იწყება: „ეს ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“...

¹ რ. სირაძე, სახისმეტყველება, გვ. 194.

„ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის ორიგინალობის მტკიცებას საფუძველი რუსთველოლოგიური მეცნიერების დაფუძნებისთანავე ჩაეყარა ვახტანგ მეექვსის წყალობით. მომდევნო სამი საუკუნის მანძილზე მას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა: მარი ბროსე, დავით ჩუბინაშვილი, არტურ ზუტენერი, პეტრე კვიციანიძე, ე. ვეიდენბაუმი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, დავით კარიჭაშვილი, ნოე ჟორდანიას, დავით ჩქოტუას, სიმონ ქვარიანის, კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე, შალვა ნუცუბიძე, პავლე ინგოროყვა, რევაზ სირაძე, მორის ბოურას... აქვე შეუძლებელია არ დასახელდეს დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც თავიდან პოემის ფაბულის სპარსულ წარმომავლობას აღიარებდა და ამართლებდა ნიკო მარს, მაგრამ ბოლოს შეიცვალა აზრი და ფაბულის ორიგინალობის მაღიარებელთა და დამამტკიცებელთა რიგებში ჩადგა, რაც შეეხება ნოდარ ნათამეს, ისიც აღიარებს ფაბულის რუსთველის საკუთრებად, თუმცა, შესაძლებლად მიიჩნევს პოემის ზოგი სიუჟეტური ხაზების აღმოსავლური ფონდიდან აღებას.

XVII-XVIII საუკუნეების ქართველი მწერლები და მოღვაწენი. ალბათ, პროლოგისეული გამოთქმისათვის („ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“), სრული ნდობის გამოცხადებით, რუსთაველს მიიჩნევენ სპარსთა ნაჭორი ამბების გამომყენებლად და მიმბამველად. ესენი იყვნენ: თეიმურაზ პირველი, არჩილ ბაგრატიონი, თეიმურაზ მეორე, ანტონ ბაგრატიონი. XIX-XX საუკუნეებში მრავლად

იყვნენ მკვლევარნი თუ ამ პრობლემით დაინტერესებული პირნი, რომლებიც აღიარებდნენ, რომ პოემის ფაბულა არ ეკუთვნის რუსთაველს და იგი სპარსული წარმომავლობისაა. ასე ფიქრობდნენ: ნიკო მარი, იონა მეუნარგია, ალექსანდრე ხოძკო, ივანე ჯაბადარი, კონსტანტინე მილერი. ალექსანდრე გრენი, იპოლიტე ვართაგავა, პეტრე მირიანაშვილი, სარგის კაკაბაძე, სერგი გორგაძე, კონსტანტინე კაპანელი, ზურაბ ავალიშვილი ვლადიმერ შიმშარიოვი, აკაკი შანიძე, იოსებ მეგრელიძე, იუსტ. აბულაძე, მაგალი თოდუა, ზოგიერთი მათგანის მოსაზრება აბსურდამდე დადიოდა.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ონანა ქობულაშვილის მიერ გალექსილმა „ბარამგულიჯანიანმა“. პირველთაგანმა იონა მეუნარგიამ დაასახელა იგი „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წყაროდ. „ბარამგულიჯანიანის“ შინაარსობრივი სიახლოვე „ვეფხისტყაოსანთან“ შესწავლილი აქვთ ექვთიმე თაყაიშვილს, კორნელი კეკელიძეს, დავით ბრეგაძეს, მერი გუგუშვილს. ამ უკანასკნელმა გამოთქვა მეტად ანგარიშგასაწევი თვალსაზრისი, რომ „ბარამგულიჯანიანი“ შექმნილია ონანა ქობულაშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ გავლენით. თხზულების პროზაული ვარიანტი საერთოდ არ არსებობს, რომლის გამლექსავად მოგვლენოდა ონანა მდივანი.

თავის დროზე „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის არაბულ წარმომავლობაზე ალაპარაკდნენ პლატონ იოსელიანი და იუსტინე აბულაძე, რაც დამყარებული იყო რაღაც გაუგებრობაზე და არა რაიმე მტკიცებულებაზე. 1938 წელს ტაშკენტში

ქვეყნდება ა. შარაფუტდინოვის წერილი „შოთა რუსთაველი და უზბეკური ფოლკლორი“. ავტორის აზრით, ცნობილი უზბეკური ზღაპარი „ბატირ-არსლანი“ „ვეფხისტყაოსნის“ უშუალო გავლენით შექმნილი თხზულებაა და ქართული პოემის ერთ-ერთ გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს. ისინი ერთმანეთს ჰგვანანო იდეური შინაარსითაც და ფილოსოფიური საფუძვლებითაც.

უზბეკეთში ყოფნისას კ. ჭიჭინაძეს აშული ფაზილ იოლ-დაშევისაგან ჩაუწერია უზბეკეთში გავრცელებული ხალხური ვეფხისტყაოსნის ვერსიები. კ. ჭიჭინაძემ მაშინ მიიჩნია, რომ უზბეკეთში ვეფხისტყაოსნის ვერსია საქართველოდან უნდა ყოფილიყო წაღებული მონღოლთა შემოსევების დროს. გაირკვა მთავარი რამ: უზბეკეთში პოემის ვერსიების არსებობა რუსთაველის საიუბილეო დღეების (1937 წელი) გამოძახილია და უზბეკური ვერსია ვეფხისტყაოსნის გადამღერებას წარმოადგენდა. 1938 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებულ წერილში „ვეფხისტყაოსნის“ უზბეკური ვერსიები კ. ჭიჭინაძე უზბეკური ზღაპრის „ბატირ-არსლანის“ და ფაზილ იულდაშევის პოემა-ზღაპრის შედარებითი ანალიზის შედეგად ასკვნის: ამ ზღაპრებს (ისინი კ. ჭიჭინაძემ თარგმნა ქართულ ენაზე) და ვეფხისტყაოსანს შორის შესამჩნევია სიუჟეტურ-ეპიზოდურ დამთხვევასთან ერთად გმირთა ხასიათების მსგავსება.

ამ საკითხს მიუბრუნდა მ. თოდუა, რომელიც „ვეფხისტყაოსანთან“ ანათესავებს „ბარამგულიჯანიანს“, „ბატირ-არსლანს“, „ლეილმაჯნუიანს“. რაც მთავარია, მან რუს-

თაველის პოემის ფაბულის უშუალო წყაროდ დაასახელა სპარსული ლიტერატურული ძეგლი „ჩარდავრიშიანი“, რის გამოც სამართლიან კრიტიკას ვერ ასცდა.

მ. ჯანაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ უშუალო წყაროდ მიიჩნევდა „ამირანდარეჯანიანს“. ამის შესაძლებლობას შ. ნუცუბიძეც უშვებდა. რუსთაველის პოემის ქართული ზეპირსიტყვიერებიდან წარმოშობის მტკიცებას შეეცადნენ ალექსანდრე ნანეიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, დავით ხიზანიშვილი, მელიტონ კელენჯერიძე. ამ მიმართულებით შრომატევადი სამუშაო ჩაატარა მიხეილ ჩიქოვანმა. ამ თეორიას კი საფუძველი ჩაუყარა ა. ხახანაშვილმა და იმთავითვე იწვინა დიდი ვაჟა-ფშაველასაგან მძაფრი რეაქცია და მკაცრი კრიტიკა. რუსთველოლოგიურმა მეცნიერებამ არ გაიზიარა „ვეფხისტყაოსნის“ ხალხური „ტარიელიანიდან“ წარმომავლობის კონცეფციები. მეცნიერულად გარკვეულია, რომ თვითონ რუსთაველის პოემისგან არის წარმოშობილი ხალხური ვერსიები ანუ „ტარიელიანი“.

From the History of Research of Identity of the Author of The Knight in the Tiger's Skin

In scientific literature, the history of research of the identity of the author of *The Knight in the Tiger's Skin* is quite large scale. Clarification of the biography of the genial Georgian poet is complicated by the lack of historic-documentary materials. This is primarily reasoned by the fact that biographic and bibliographic facts were not being written in the ancient times.

The essay chronologically presents the history of research of the identity of the author, versions hypothesis defined in Rustvelology science; emphasized is the name of the poet "Shota" and last name "Rustaveli; his Meskhetian origins. The essay also critically analyses the contradictory concepts: Rustaveli's confusion with Heretian Count Shota Kupr; argument that he was a representative of Heretian Bagrationi family.

It does not also stand criticism to assume that Rustaveli was Chakhrukhadze, Gabelisdze, Khursidze, Kolonkelisdze. Same can be said about the presumption that Rustaveli was a cleric, a Bishop. We can agree that Rustaveli was a representative of the feudal family of the Toreli. Materials from the Georgian Cross of Monastery of Jerusalem have evidenced that the author of the epic poem was a Treasurer (Mechurchletukhutsesi) and the fact of him holding position of the Treasurer brought the Rustvelological science to the version of the Toreli feudal family. It has been identified that our great poet was a son of

Chiaber Toreli, the head of ushers and that he was appointed to the position of Treasurer during 1205-1220.

When identifying Rustaveli's date of birth one of the following appears to be close to the truth – 1160-1165; 1163-1165; 1166. In written sources and in folk statements Rustaveli is mentioned to have been King Tamar's Secretary; the Royal poet; head of writers; historian; theologian; head of cashiers; Treasurer; and a Vizier. Part of researchers argues that Rustaveli was the author of the following literary works: Life of King Tamar; Tamariani; Kebani (The Praises); Novel about Ioseb Mshvenieri; Istoriani and Azmani Sharavandedtani; Tsasa Tsatasa (To the Skies of the Skies); To the Virgin Blood. None of these claims are shared and agreed to by the scientific literature.

წყობისა და ლიტერატურის მითითებები

ა) წყაროები

1. ვეფხის ტყაოსანი, აწ ახალი დაბეჭდული ქართულსა ენასა ზედა, ჟამსა ამალღებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა უფლისა ვახტანგისა. შრომითა და წარსაგებელითა მისივე მპყრობელისათა, გაიმართა ხელითა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა, ქალაქსა ტფილისისასა, ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და თორმეტსა, დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვიდიათას ორას ოცსა.
2. ვეფხის ტყაოსანი, პოემა დაწერილი შოთა რუსთველის მიერ. ახლად დაბეჭდვილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ. ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა, სანკტ-პეტერბურღს, სტამბაში სახელმწიფო აკადემიის მეცნიერებათა, 1841.
3. **შოთა რუსთველი**, ვეფხისტყაოსანი, მეცხრამეტე გამოცემა, დავით კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელი ლექსიკონით, ტფ. 1903.
4. **შოთა რუსთველი**, ვეფხისტყაოსანი, იუსტინე აბულაძის რედაქტორობით, ტფ. 1914.
5. **შოთა რუსთველი**, ვეფხისტყაოსანი, იუსტინე აბულაძის რედაქტორობით, ტფ. 1926.
6. **შოთა რუსთველი**, ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა,

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, განმარტებანი და კომენტარები დაურთო ნოდარ ნათაძემ, თბ., 1974.

7. **შოთა რუსთველი**, ვეფხისტყაოსანი, გამოსაცემად მოამზადა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ, თბ., 1988.
8. **ანტონ ბაგრატიონი**, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1980.
9. **არჩილიანი**, I, ალ. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1937.
10. **იოანე ბატონიშვილი**, კალმასობა, II, 1948.
11. ალაპი ჯვრის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, გამოსცა **ნიკო მარმა**, სანკტ-პეტერბურგი, 1912.
12. **ტ. გაბაშვილი**, მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და სამიებლები დაურთო **ელენე მეტრეველმა**, თბ., 1956;
13. **დ. გურამიშვილი**, თხზულებათა სრული კრებული. შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო **სარგის ცაიშვილმა**, თბ., 1980.
14. ვაეზ ქაშიფი, ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-

- საბა ორბელიანის მიერ. ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო **მაგალი თოდუამ**, თბ., 1975.
15. **თეიმურაზ პირველი**, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ. 1934.
 16. **თეიმურაზ მეორე**, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ., 1939.
 17. **მოსე ხონელი** და მისი ამირან-დარეჯანიანი, **მ. ჯანაშვილის** გამოცემა, ტფ. 1895.
 18. ომანიანი, **გ. ჯაკობიას წინასიტყვაობით**, ტფ. 1937.
 19. ქართლის ცხოვრება, II, გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1959;
 20. შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართულ ვერსიები, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო **იუსტინე აბულაძემ**, ტფ. 1915.
 21. შაჰ-ნამე, ქართული ვერსიები, II, ტფ. 1934.
 22. ენიძვის მოამბე, III, თბ., 1938.
 23. „რუსთველის კრებული“, ტფ., 1936;
 24. საისტორიო მოამბე, ტფ., 1924;
 25. „ძველი საქართველო“ (კრებული), განყოფ. II, ტფ. 1909.
 26. ჟურნ. „განთიადი“, თბ., 1988, N1.
 27. ჟურნ. „ერი“, ტფ., 1910, თებერვალ-მაისი.

28. ჟურნ. „იან“ (მეცნ. აკად. მაცნე), სანკტ-პეტერბურგი, 1912, N1.
29. ჟურნ. „ივერია“, ტფ., 1884, N XI-XII;
30. ჟურნ. „მნათობი“, ტფ., 1938, N10, 1937, N12.
31. აღმანახი „მომბე“, ტფ., 1910, იანვარი.
32. ჟურნ. „ნოვი მირ“, მოსკ. 1934.
33. ჟურნ. ЖМНП, პეტერბ., 1895; 1899, XII.
34. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, ტფ., 1938, N12; 1961, N1.
35. ჟურნ. „საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობა“, I (სსრკ მეცნ. აკადემია), მოსკ. 1940.
36. ჟურნ. „ცისკარი“, თბ., 1965, N6.
37. გაზ. „ბახტრიონი“, ტფ., 1922, 3 ივლისი; 31 ივლისი.
38. გაზ. „დროება“, ტფ., 1884, (ნოემბერ-დეკემბერი).
39. გაზ. „დროება“, ტფ., 1910, აპრილი.
40. გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1938, იანვარი.
41. გაზ. „თეატრი“, 1890, N 12.
42. გაზ. „იმერეთი“, ქუთაისი, 1913.
43. გაზ. „ივერია“, ტფ., 1877, N9.
44. გაზ. „ივერია“, ტფ., 1889, N279.
45. გაზ. „ივერია“, ტფ., 1889, N268.

46. გაზ. „ივერია“, ტფ., 1890, იანვარი
47. გაზ. „ივერია“, ტფ., 1890, N39.
48. გაზ. „ივერია“, ტფ., 1892, N66.
49. გაზ. „ივერია“, ტფ., 1896, N80.
50. გაზ. „ივერია“, ტფ., 1898, ოქტომბერი.
51. გაზ. „ივერია“, ტფ., 1899, N65.
52. გაზ. „ივერია“, ტფ., 1903, ოქტომბერი.
53. გაზ. „კომუნისტი“, 1938, 29 აპრილი
54. გაზ. „კომუნისტი“, 1961, 10 იანვარი
55. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1970, 7 აგვისტო.
56. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1991, 5 აპრილი.
57. გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, ტფ., 1889, N20-22.
58. გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1890, ნოემბერი.
59. გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1899, იანვარი.
60. გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1898, 31 მარტი.
61. გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, ტფ., 1928.
62. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917, 21, მაისი.
63. გაზ. „ტიფლისკი ლისტოკი“, 1889, N278.
64. გაზ. „ტრიბუნა“, 1923, N478.
65. გაზ. „ფასკუნჯი“, 1908, 27 ივლისი

66. გაზ. „შოთაობა“, 1983, N11.

67. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903, ოქტომბერი.

ლიტერატურა

1. **იუსტ. აბულაძე**, „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას გამო, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903.
2. **იუსტ. აბულაძე**, XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, კრებ., „ძველი საქართველო“, განყოფ. II, ტფ., 1909.
3. **იუსტ. აბულაძე**, კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ გამო, გაზ. „დროება“, 1910, აპრილი.
4. **იუსტ. აბულაძე**, პასუხის ნაცვლად ჯორჯიკიას პოლემიკის გამო, გაზ. „იმერეთი“, ქუთაისი 1913.
5. **იუსტ. აბულაძე**, „ბარამ გულიჯანიანი“ და რუსთაველის პოეტური შემოქმედება, კრებული, „ძველი საქართველო, განყოფ. III, ტფ., 1913-1914.
6. **იუსტ. აბულაძე**, რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, შესავალ წიგნისა: შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ი. აბულაძის რედაქტორობით, ტფ., 1914.
7. **იუსტ. აბულაძე**, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისათვის, თსუ შრომები, I, ტფ. 1936.
8. **იუსტ. აბულაძე**, შოთა რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“, „რუსთაველის კრებული“, ტფ. 1936

9. იუსტ. აბულაძე, რუსთაველის მსოფლმხედველობისა და ფილოსოფიური აზროვნების წყარო, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1938, N12.
10. იუსტ. აბულაძე, რუსთაველოლოგიური ნაშრომები, გამოსცა იოსებ მეგრელიძემ, თბ., 1967.
11. ზ. ავალიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები, პარიზი, 1931.
12. ზ. ალექსიძე, ახალი ცნობა „რუსთაველთა სახლის“ შესახებ, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1991, 5 აპრილი.
13. ილ. ანთელავა, XI-XII საუკუნეების ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988.
14. გ. არაბული, შოთა რუსთაველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში, თბ., 1992.
15. არტურ ზუტენერი, უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“, გაზ. „კავკაზი“, 1884.
16. ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1975.
17. ა. ბარამიძე, დ. კობიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის თაობაზე, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1971, N2.
18. ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1952.
19. თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, გ. იმედაშვილის რედაქციით, თბ., 1960.

20. **თ. ბეგიაშვილი**, ქართული სიტყვიერების ისტორია, I, ტფ., 1925.
21. **დ. ბენაშვილი**, სახისა და ხასიათის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1954.
22. **მ. ბოურა**, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966.
23. **დ. ბრეგაძე**, ქართველი მწერლები რუსეთში, I, თბ., 1958.
24. **ა. გვახარია**, სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი თეიმურაზ პირველის შემდეგ, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966.
25. **ი. გოგებაშვილი**, ბურჯი ეროვნებისა, ტფ., 1903.
26. **ს. გორგაძე**, ორიგინალობის საკითხი რუსთაველის შემოქმედებაში, გაზ. „ბახტრიონი“, 1928, N5.
27. **კ. გრიგოლია**, შოთა რუსთაველის ისტორიოგრაფიულ მოღვაწეობაზე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1970, 7 აგვისტო.
28. **მ. გუგუშვილი**, პოლემიკა რუსთაველის გარშემო, თბ., 1966.
29. **დ. დანდუროვი**, შოთა რუსთაველი (რუს.), მოსკ. 1937.
30. **კ. დონდუა**, საშინელი უმეცრება, ჟურნ. „მნათობი“, 1938, N1.
31. **თ. ერისთავი**, „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები ანუ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განზომილება, ჟურნ. „განთიადი“, 1988, N1.

32. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, VII, თბ., 1956.
33. იბ. ვართაგავა, შოთა რუსთაველი, აღმან. „მომამბე“, 1910, 11 იანვარი.
34. იბ. ვართაგავა, შოთა რუსთაველი, ჟურნ. „ერი“, ტფ., 1910, თებერვალ-მაისი.
35. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, დ. ბაქრაძის რედაქციით, ტფ., 1885.
36. ა. ვესელოვსკი, ისტორიული პოლემიკა, ლენინგრ. 1960.
37. ე. ვიენზაუმი, მოგზაურობა კავკასიაში, ტფ., 1888.
38. მ. თავდიშვილი, ნიზამი და რუსთაველი, თბ., 2011.
39. ე. თაყაიშვილი, ხელნაწერების აღწერილობა (რუს.), I.
40. მ. თოდუა, „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია, თბ., 1967.
41. მ. თოდუა, ვეფხვის ნახტომი ანუ რითი სჯობს რუსთაველი შექსპირსა და გოეთეს, თბ., 1994.
42. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957.
43. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, თბ., 1963.
44. პ. ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, I, თბ., 2016.
45. პლ. იოსელიანი, „შოთა რუსთაველი“, გაზ. „კავკაზი“, ტფ., 1870, N3.

46. **ს. კაკაბაძე**, წერილი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ტფ., 1913.
47. **ს. კაკაბაძე**, შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, თბ., 1961, N1,
48. **ს. კაკაბაძე**, შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1966.
49. **კ. კაპანელი**, ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი, ტფ., 1928.
50. **კ. კეკელიძე**, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981.
51. **კ. კეკელიძე**, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბ., 1967.
52. **პ. კვიციანიძე**, ქართული ალექსანდრიანი, კრებულ. ც. და. ა., ქუთაისი, 1888, N1
53. **ბ. კილანავა**, რჩეული შრომები, I, რევაზ ჩხარტიშვილის რედაქციით, თბ., 2009.
54. **ივ. ლოლაშვილი**, შოთა რუსთაველი და თამარის ისტორიკოსის ვინაობის პრობლემა, თბ., 1961.
55. **ს. მაკალათია**, მესხეთ-ჯავახეთი, ტფ., 1938.
56. **მ. მახათაძე**, სამხედრო ხელოვნება „ვეფხისტყაოსანში“, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, 1940.
57. **მ. მახათაძე**, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისათვის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, 1946.

58. **ი. მეგრელიძე**, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, ჟურნ. „საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობა“, I (სსრკ მეცნ. აკად.), 1940.
59. **ი. მეგრელიძე**, გადმოცემები რუსთაველის შესახებ, თბ., 1954.
60. **პ. მირიანაშვილი**, „ვეფხისტყაოსნის“ სამწერლო კრიტიკის გამო, გაზ. „ივერია“, 1903, ოქტომბერი.
61. **პ. მირიანაშვილი**, სადაურია ჰომეროსის პოეზია? გაზ. „ფასკუნჯი“, 1908, 27 ივლისი.
62. **ნ. ნადირაშვილი**, რუსთაველის ვინაობა – სადაურობის საკითხი, გამოსცა ტარიელ კვანჭილაშვილმა, თბ., 1979.
63. **ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი**, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966.
64. **ა. ნანეიშვილი**, „ვეფხისტყაოსანი“ და ზეპირ მეტყველება, გაზ. „ივერია“, 1888, N52.
65. **ნარდონი** (ივ. ჯაბადარი), წერილი საქართველოზე, „სევერნი ვესტნიკ“, პეტერბურგი, 1889, N9.
66. **ნიკო მარი**, „ვეფხისტყაოსნის“ გამო, გაზ. „თეატრი“, 1890, N12.
67. **ნიკო მარი**, საქართველოს ისტორია, სანკტ-პეტერბურგი, 1906.
68. **ნიკო მარი**, შოთა რუსთაველის ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და ახალი კულტურულ-ისტორიული პრობლემა, ჟურნ. „იან“, პეტერბ., 1915.

69. **ნიკო მარი**, კავკასია და მისი სულიერი კულტურის ძეგლები, ჟურნ. „იან“, პეტერბ., 1919.
70. **ნიკო მარი**, ჩემი ავტობიოგრაფია, ჟურნ. „ქართული მწერლობა“, ტფ., 1927, N6-7.
71. **შ. ნუცუბიძე**, რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის, თსუ შრომები, I, 1935.
72. **შ. ნუცუბიძე**, „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული წყაროები, „რუსთაველის კრებული“, 1938.
73. **ნ. ჟორდანიას**, „ვეფხისტყაოსანი“, პარიზი, 1930.
74. **თ. რაზიკაშვილი**, ლექსები ხევსურელის „ვეფხისტყაოსნისა“, გაზ. „ივერია“, 1890, ოქტომბერი.
75. **პ. რატანი**, „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი, I, თბ., 1975.
76. **თ. სახოკია**, ტარიელის ზღაპარი ანუ ხალხში დაშთენილი „ვეფხისტყაოსანი“, გაზ. „ივერია“, 1893, იანვარი.
77. **რ. სირაძე**, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975.
78. **რ. სირაძე**, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978.
79. **რ. სირაძე**, სახისმეტყველება, თბ., 1982.
80. **რ. ფირცხალაიშვილი**, ახალი მასალები შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისათვის, თბ., 1987.

81. ს. ქვარიანი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, ტფ., 1914.
82. დ. ქუმსიშვილი, რუსთაველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1968.
83. აკ. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები, თბ., 1966.
84. ა. შანიძე, ესე ამბავი სპარსული, გაზ. „შოთაობა“, 1883, N11.
85. ა. შანიძე, ა. ბარამიძე, რუსთაველი თუ რუსთველი? გაზ. „კომუნისტი“, 1961, 10 იანვარი.
86. ა. შარაფუტდინოვი, შოთა რუსთაველი და უზბეკური ფოლკლორი, გაზ. „პრავდა ვოსტოკა“, ტაშკენტი, 1938, N98.
87. ვ. შიშმარიოვი, შოთა რუსთაველი, „ენიმკის მოამბე“, II, 1938.
88. ნ. შოშიაშვილი, XII-XIII საუკუნეთა საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორია და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „ცისკარი“, 1965, N6.
89. მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, კრებ. „შოთა რუსთაველი სკოლაში“, თბ., 1937.
90. მ. ჩიქოვანი, ხალხური „ვეფხისტყაოსანი“, ტფ. 1936.
91. მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ხალხური შემოქმედება, ჟურნ. „მნათობი“, 1937, N12.
92. დ. ჩუბინაშვილი, ქართული პოემა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ჟურნ. ЖМНП, 1842, N8.

93. **დ. ჩქოტუა**, რუსთაველის პოემის გმირები და მათი მსოფლმხედველობა, თსუ შრომები, I, 1936.
94. **ა. წერეთელი**, სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“, „აკაკის კრებული“, ტფ., 1898.
95. **გ. წერეთელი**, ნიზამი და რუსთაველი, გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1893, ნოემბერი.
96. **გ. წერეთელი**, ნესტან-დარეჯანი შუა აზიის არაბულ ფოლკლორში, ენიმკის მოამბე, II, 1938.
97. **ი. ჭავჭავაძე**, „სომეხნი მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“, გაზ. „ივერია“, 1899, N65, 25 მარტი.
98. **კ. ჭიჭინაძე**, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გაზ. „კომუნისტი“, 1937, 24 დეკემბერი.
99. **კ. ჭიჭინაძე**, „ვეფხისტყაოსნის“ უზბეკური ვერსიები, ჟურნ. „მნათობი“, 1938, N10, ოქტომბერი.
100. **ა. ხახანაშვილი**, „მგზავრის დღიურიდან“, გაზ. „ივერია“, 1888, N165.
101. **ა. ხახანაშვილი**, ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფ., 1904.
102. **ა. ხახანაშვილი**, ნარკვევები ქართული სიტყვიერების ისტორიიდან, II, ტფ., 1918.
103. **დ. ხიზანიშვილი**, ხალხური „ვეფხისტყაოსანი“, გაზ. „ივერია“, 1888, N231.

104. ივ. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, ტფ., 1904.
105. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, ტფ., 1914.
106. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956.
107. მ. ჯანაშვილი, „შოთა რუსთაველი“, ტფ., 1896.
108. მ. ჯანაშვილი, თამარ მეფის მეხოტბენი, გაზ. „ტრიბუნა“, 1923, N478.

შინადაკისი

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შინაობის კვლევის ისტორიიდან	3
„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანისათვის	57
„ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წყაროს სკიპონის უმცროსის ისტორიიდან	72
წყაროებისა და ლიტერატურის მათითებელი	184

ტიტი ვისია

**„გეზისტყარნის“ ისტორიულ-ლიტერატურული
საკითხების კვლევის მასალებიდან**

გამომცემლობა: „სანატი“

ტიქნიკური კლასიკური: ასმთი უიფია